

ბაზეთი ბამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



www.ilori.ge

№105 (166) 1-8 თებერვალი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულადი მოგზაური კოლუმბი, თუ ქართველი ბათა ქექია...

ყველას კარგად გახსოვთ შესანიშნავი ქართველი მწერალი-კლასიკოსის მიერ გამოძერწილი ლიტერატურული გმირი ბათა ქექია, რომელმაც კვაჭი კვაჭანტირაძესავით "მარიფათიანად" მოიარა დუნია და შინ დაბრუნებული მეზობელს რომ შეხვდა:

– ჩვენები როგორ არიან? – ჰკითხა ბათამ მეზობელს.

– არა უშავს რა, მაგრამ თქვენი ძაღლი მოკვდა! – შესჩივლა მეზობელმა.

– ძაღლი რამ მოკლა?

– თქვენი ცხენის ხორცი შეჭამა!

– ცხენს რაღა მოუვიდა?

– თქვენი თავლა დაიწვა და შიგ ჩაიბუგა!

– თავლას ცეცხლი რამ გაუჩინა?

– ცეცხლი ჯერ შენს სახლს წაეკიდა, შენი დედმამა და რძალი შიგ ჩაიწვნენ, მერე გადავიდა თავლაზე... – "აუხსნა" მეზობელმა.

საქართველოშიც ასეა და ალბათ ამიტომაც არ უნდა იკითხოს შორეულ მოგზაურობებში უვადოდ გადახვეწილმა სააკაშვილმა: "ჩვენები როგორ არიანო".

ვართ ასე დამწვარ-დაბუგულები, მშივრები, შეციებულები, ჩაუცმელ-დაუხურავები, ნორმალურ ცხოვრებას დანატრებულები...

ჩვენი ნეტარი პრეზიდენტი კი დაჰქრის აღმადაღმა თავისი ამალით, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, თვითმფრინავის ძრავს არ თიშავენ მისი პირადი მფრინავები – ვინ იცის, როდის მოეპრიანება "სახელიმილიან ვარსკვლავბიჭუნას" მორიგი ვოიაჟი, თავისი "ლამაზი", ხალხმრავალი ამალის თანხლებით, ევროპისა თუ ამერიკის ქვეყნებში...

ახლაც ამერიკაში იყო და ბარაქ ობამას შეხვდა, რისი გაპიარებითაც ქვეყნიერება აიკლეს მისმა ჯიბის ტელევიზიებმა: "ჩვენი პრეზიდენტი ამერიკის პრეზიდენტმა "ჩაიხუტა", იგი ისევ მსოფლიო პოლიტიკის მჭიდეშია! ახლა ნახეთ, რუსეთს რა დღე დაადგებაო!" რუსები კი უკვე აღარ რეაგირებენ ყოველგვარი კანონისა და კანონიერების დამწიხლავი ჩვენი ხელისუფლების ისტერიკაზე, რადგან კარგად იციან, რომ **"Дуракам закон не писан!"**

ჩასვლით კი ჩავიდა მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში, პრეზიდენტ ობამასაც შეხვდა, მაგრამ საქართველოს რა კონკრეტული შედეგი მოუტანა ამ შეხვედრამ, ამაზე მისი ჯიბის ტელევიზიები კრინტს არ ძრავენ.

როგორც დიდი ილია ამბობდა: "რა გითხრათ, რით გაგახაროთ!.."

მაგრამ, ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე პოლიტოლოგი ცოტნე ბაკურია ობამასა და სააკაშვილის შეხვედრაზე შემდეგს იტყობინება:

"თქვენ შტეფან ცვაიგის "ამოკი" წაგიკითხავთ? კლასიკურ შედარებას გეუბნებით. აი, ასევე არანორმალური სიშმაგით დასდევს თქვენი პრეზიდენტი ბარაკ ობამას, ხან სად დაუხვდება და ხან რომელი შენობის წინ აეტუზება, კაცი ვერ გაიგებს.

არანაირი 25-წუთიანი შეხვედრა არ ყოფილა. კენედის ცენტრში, ჰოლბრუკის მემორიალიზე დაიპატიჟა თავი. ბარაქ ობამას ფოიეში დაყუდებული ელოდებოდა და როგორც კი ქართულმა დელეგაციამ ფოიეში პრეზიდენტის გამოსვლა დაინახა, იმავე წამს ჟივილ-ხივილით მისცვივდნენ. ნუ, ახლა ბარაქ ობამას რა ექნა, მუშტს ხომ არ ამოარტყამდა ცხვირ-პირში?! რამდენიმე წუთი იძულებით იდგა და დიადი ქართული თავდაცვისუნარიანობისა და დიდი მთავარსარდლის გმირობის შესახებ უსმენდა ზღაპარს, ბოლოს რომ მობეზრდა, მხარში ხელი წამოარტყა და წავიდა.

ბარაქ ობამას პრეზიდენტობის დროს თეთრი სახლი სად მდებარეობს, საერთოდ თუ იცის თქვენმა პრეზიდენტმა? ჰავაიზე მაინც ჩამოსულიყო, ვულკანების ამოფრქვევას ნახავდა და იმ სახლსაც დაათვალიერებდა, სადაც ამერიკის პრეზიდენტი ბარაქ ობამა დაიბადა, იქნებ განგებას მისი აზროვნებისათვის დადებითი წყალი გადაესხა".

ესეც შენი პოლიტიკურ "მჭიდეში ყოფნა"!

ამ სამარცხვინო საქმესთან დაკავშირებით საინტერესოა ექსპერტ-კონფლიქტოლოგის პაატა ზაქარეიშვილის აზრიც: "ობამა სააკაშვილს შეხვდა როგორც კერძო პირს, რა გითხრათ, ისე, როგორც ხვდება ბიზნესმენს ან სხვა ვინმეს, და რაც მთავარია, საქართველომ ამაში ძალიან დიდი ფული გადაიხადა. პრაქტიკულად სააკაშვილმა იყიდა თავისი შეხვედრა ობამასთან. ფული ობამას კი არ გადაუხადა, არამედ ლობისტურ ორგანიზაციებს, რომლებიც მას ლობირებდნენ". ეს ლობისტებიც ცნობილია – არავისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის, რომ "ნაციონალური მოძრაობა" და თვით სააკაშვილი სან-ფრანცისკოელი მილიონერი სომხების პროექტია და, გასაკვირი არ არის, რომ სააკაშვილის პიარი ნაწილობრივ მათაც დააფინანსონ. ამას დიდი მტკიცებულებების მოყვანა არ სჭირდება, რადგან თვით ნაციონალებისა და მათი ბელადის საქართველოს გასანადგურებლად მიმართული ქმედებები ღაღადებენ ყველაფერზე.

ასევე საინტერესოა ქართველი პოლიტოლოგის რამაზ კლიმიაშვილის მოსაზრება მიხეილ სააკაშვილის ამერიკულ ვოიაჟზე:

"სააკაშვილი კორიდორში ჩაუსაფრდა ობამას, იმიტომ, რომ მე რაც კადრები ვნახე, ეს თეთრ სახლში არ არის გადაღებული, ეს იქვე, დაკრძალვის ცერემონიის დროს მოხდა. ჩვენთან ძალიან ბედნიერები არიან ამით, 25 წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა შეხვედრაო. რას ნიშნავს 25 წუთზე მეტი, 25 წუთი და 25 წამი? კადრში ასევე კარგად ჩანს, რომ მიშა ვერა ქობალიასთან ერთად არის, ვერ გავიგე, საქორწინო მოგზაურობაშია წასული? რა ხდება საერთოდ?!"

არაფერიც არ ხდება. მოგზაურობს კაცი, იმიტომ, რომ უკვე საქართველოში აღარ დაედგომება – იცის, რომ გატანჯული ხალხისაგან ზიზღის მეტი არაფერი მოედინება, რესტორანში ვერ შესულა თავის ნებაზე, რადგან მშიერ-მწყურვალი ხალხი მიუვარდება და ლუკმას ჩაამწარებენ. უცხოეთში კი გამკითხავი არავინაა, იქ ყველა დაარწმუნა, რომ საქართველო შენდება და მშვენდება, რომ ხალხს კონცერტებზე სიარულისა და დროსტარების მეტი საზრუნავი არაფერი აქვს!

სულ მიკვირდა, რატომ გააძვირეს თბილისში დასუფთავების მომსახურეობის ღირებულება. სახელისუფლებო გათვლა აქაც მარტივი, მაგრამ საკმაოდ ვერაგული აღმოჩნდა. თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი (ძირითადად უმუშევრად და უსასოოდ დარჩენილი ინტელიგენცია) ნაგავში ნარჩენების მოძებნით ირჩენს თავს. ადრე ნაგავი დღეღამის განმავლობაში ერთხელ გაჰქონდათ ქალაქიდან, ნაგავს მოსახლეობა ძირითადად საღამოს საათებში ჰყრიდა, დღის განმავლობაში იგი საკმაოდ გროვდებოდა და გაღატაკებული ადამიანები მაინც პოულობდნენ ნაგავში იმდენ რამეს, რომ თავი ასე თუ ისე გაეტანათ. სანაგვე ყუთებთან მოფუსფუსე ჩანთიანი ადამიანებს კი უცხოელებიც ხედავდნენ, რაც ააშკარავებდა სააკაშვილის ხელისუფლების სიცრუეს, რომ თითქოს ქართველი ხალხი მისი მმართველობის პერიოდში გაბედნიერდა და ყოველმხრივ უზრუნველყოფილია! ახლა კი ნაგავი დილა-საღამოს გააქვთ (რამაც გამოიწვია ამ მომსახურეობის გაძვირება), სანაგვე ყუთები ცარიელია და ხალხს იქ არაფერი სახეირო ეგულება. ამიტომაც მიატოვა დამშეულმა ხალხმა ნაგავში ქექვა. აქედანაც კარგად ჩანს, რომ საქართველო და ქართველი ხალხი სააკაშვილსაც ფეხებზე ჰკიდია და, მით უმეტეს, ამერიკელებსაც!

მართლაც სატანის ნაშობი და უფრო დიდი სატანის აღზრდილი უნდა იყო ძეხორციელი, რომ ამგვარი საზიზღარი აზრი მოგივიდეს თავში და ნაგვის იმედად მყოფ ადამიანებს უკანასკნელი თავის სარჩენი წყარო გადაუკეტო, იმიტომ, რომ შენი უბადრუკი პიროვნება წარმატებულ სახელმწიფო მოღვაწედ წარმოაჩინო!

ზიზღის დიდი მუხტია დაგროვილი ქვეყანაში და როდის იფეთქებს უკმაყოფილება ქართველ ხალხში, არავინ იცის. ყირგიზებმაც უშველეს საკუთარ თავს, ტუნისელებმაც და ეგვიპტელებმაც, მაგრამ ქართველი ხალხი რამ დაადამბლავა ასე, ვერ გაგვიგია. სწორედ ამიტომ სჭირდება სრულიად საქართველოს რეალური ოპოზიციური ძალა, რომელიც საძულველი ხელისუფლებისადმი მასობრივი ზიზღისა და უკმაყოფილების კუმულირებას მოახდენს კონკრეტული საძულველი ძალის წინააღმდეგ, რათა მასიური საპროტესტო გამოსვლები იმ უმართავ, დამანგრეველ პროცესად არ გადაიქცეს, რომელმაც 1992 წელს თავზე დაგვამხო მთელი საქართველო! სხვაგვარად არც შეიძლება – ზოგ დიქტატორს (რომელიც შევარდნაძესავით გაიძვერაა) ხალხი ოცდაათი წელიწადი ითმენს, ზოგი კი რამდენიმე თვესაც ვერ ძლებს დიქტატორის სავარძელში, რადგან საკუთარ სისულელეს, უზრდელობას და წრესგადასულ ამპარტავნებას ემსხვერპლება ხოლმე.

ჩვენდა სამწუხაროდ, სამეგრელოდან, წალენჯიხიდან დაიწყეს "ნაციონალებმა" და მათმა ბელადებმა "ჯვაროსნული სვლა" საქართველოს წინააღმდეგ, მცირე დემოკრატიის ნიშანწყალიც კი ამოშანთეს ჩვენი რეალობიდან და ყველა დონის არჩევნების თავხედურად გაყალბებით დაგვაბრუნეს ბოლშევიკური ერთპარტიული დიქტატურის საძრახის ეპოქაში. ამიტომ, სწორედ სამეგრელოდან უნდა აგორდეს პროტესტის ტალღა, რომელიც ისტორიის სანაგვეზე მოისვრის საქართველოს მოძალადე ხელისუფლებას!

სამეგრელოს არაერთგზის გადაურჩენია საქართველო ერთიანი ძნელბედობის ჟამს. იმედია, შეურიგებელი ოპოზიციური ძალა, მალე, სწორედ სამეგრელოში ჩამოყალიბდება და წინ გაუძღვება დათრგუნულ ქართველ ხალხს, რათა კიდევ ერთხელ გადაარჩინოს საქართველო და ქართველი ხალხი სრულ განადგურებას!

გაიღვიძეთ, ხალხნო, საქართველოა გადასარჩენი!


სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

4 თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

გზა ხსნისა 2

ეს ფული ჩვენი ჯიბიდან ამოიღეს

7-12 ნოდარ ჯავახიშვილი:




ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა ხსნისა

## (მიმართვა საქართველოს მასმედიას და მოსახლეობას)

*"გაღმა გასვლისა მსურველთა,*
*უკუღმა მიგვყავს ბორანი."*
(ვაჟა-ფშაველა)

2010 წლის 14 ნოემბერს, **"9 აპრილის"** საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ და გამოხატეს პატივისცემა ოციწლისდროინდელი ისტორიული თარიღისადმი. წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ყველა მათგანს, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაიღუპა.

1990 წლის 14-15 ნოემბერს, პარლამენტის შენობაში გაიმართა საქართველოს ისტორიაში, პირველი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც გამოაცხადა 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული პირველი ჭეშმარიტად დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების შედეგები. საქართველოს მოსახლეობის 87-მა პროცენტმა აირჩია ეროვნული ხელისუფლება. ფაქტობრივად, იურიდიულად 1990 წლის 14 ნოემბრიდან იწყება დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრება.

2010 წლის 14 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე შეკრებილი საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების ინიციატივით დაფუძნდა **ახალი ეროვნული მოძრაობა "სამშობლო"**. ახალი ეროვნული მოძრაობის იდეა გამოხატულია მის დევიზში **"ილიას გზით!"** მისი მიზანია: **"საქართველოში ეროვნული ერთიანობის აღდგენა; ქვეყანაში კანონიერების აღდგენა და ადამიანის უფლებების დაცვა"**. ზრუნვის საგანი (პრიორიტეტი) იქნება: **საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების მოგვარება; აფხაზ და ოს ხალხთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენა; მეზობელი ქვეყნების ხალხებთან – პირველ რიგში რუსეთთან, კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცება, საქართველოში რუსულ ენასთან, ლიტერატურასთან და კულტურასთან სიახლოვისადმი ხელშეწყობა.** ჩვენი იარაღია **მხილება და კეთილი ნება. არ გამოვიყენებთ ძალადობას სამართლიანობის აღსადგენად. მოქმედებას მივმართავთ არა რომელიმე პუტჩისტის, ან სხვა მოძალადის წინააღმდეგ, არამედ ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის მსხვერპლნი ეს ადამიანები არიან. ძალადობას არ ვუპასუხებთ ძალადობით და არ ვიფიქრებთ შურისძიებაზე. მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში წესრიგი უნდა ემყარებოდეს სამართლიანობას, ეს კი მომავლის იმედს იძლევა.**

საქართველოში დღეს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, ახალი ეროვნული მოძრაობა აცხადებს:

1992 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობა ძირითადად ორ ნაწილად არის გაყოფილი, **"ზვიადელებად"** და **"ედუარდისტებად"**; კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომხრეებად და სახელმწიფო კრიმინალური გადატრიალებით, ანუ პუტჩის შედეგად ძალადობით მოსული არაკანონიერი, არალეგიტიმური ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების მომხრეებად. ამჟამად, ამ მეორე ნაწილს წარმოადგენს ედუარდ შევარდნაძის უშუალო მემკვიდრე სააკაშვილის ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები.

ე. შევარდნაძეს ჰყავდა საკუთარი ოპოზიცია. მ. სააკაშვილსაც ჰყავს თავისი ოპოზიცია, რომელიც პერიოდულად **საქმეს უნდა "უჩმახებდეს" ხელისუფლებას**. ამ ოპოზიციამ თავისი საქმიანობა (მიტინგები, აქციები და სხვა) ბიზნესის საქმედ აქცია. ე. შევარდნაძის დროს გამდიდრებულები ახლა უფრო მეტად მდიდრდებიან ფულის გათეთრების გზით (ერთის მხრივ **"ფულს უტეხავენ"** უცხოელ და საქართველოში მყოფ დამფინანსებლებს, ხოლო მეორე მხრივ რაიონებიდან ჩამოყვანილ უბრალო ხალხს, რომელიც ფულით ჰყავთ დაინტერესებული – თბილისში ყოფნისას ხშირად ფულს აღარ უხდიან), რასაც ქუჩურად **"გადაგდება"** ჰქვია. ამჟამად ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მორიგი გარიგებაა. ოპოზიციამ ხელისუფლებისაგან მიიღო ახალი მითითება: **"რაც გინდა ის ილაპარაკეთ, ოღონდ არ იმოქმედოთ"**. მართლაც ასეა, – ლაპარაკით ბევრს ლაპარაკობენ, საქმით კი წელიწადში 10 თვე **"შვებულებაში გახლავან"**. წესად იქცა, ოპოზიცია მომიტინგეებს წელიწადში რამდენჯერმე (თარიღებს უსადაგებს) ატარებს. ასე იყო გასულ წელს (9 აპრილი, 7 ნოემბერი). დასასრულ, დაასახელეს 4 ნოემბერი, როცა თითქოს ბოლო უნდა მოღებოდა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას. შემდეგ, სახალხო წარმომადგენლობითი კრების თარიღად 25 ნოემბერი დასახელდა. როგორც ამბობენ, კრებად მონათლული მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი და **"ფულის ჩამდები"** გაოპოზიციონერებული ნინო ბურჯანაძეა. ამათ, ანუ მიტინგის ორგანიზატორებს ჰგონიათ, რომ ხალხს მეხსიერება არა აქვს, რომ ხალხმა მიუტევა **"რკინის ლედის"** უპატიებელი შეცოდებანი. სახელი **"რკინის ლედი"** მას ნათლია მ. სააკაშვილმა დაარქვა, დიდი დამსახურებისათვის, ანუ ორჯერ გაპრეზიდენტებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის – ნ. ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობას წარმატებით უთავსებდა რეგიონებში გასული პრეზიდენტობის კანდიდატ-მოქალაქე მ. სააკაშვილის მხარდამჭერი აგიტატორის სამუშაოს. დღეს, ამ ოპოზიციას (გარკვეული ზემოქმედების შედეგად) ლიდერად და ქვეყნის პრეზიდენტად ნ. ბურჯანაძე ჰყავს მოაზრებული, **საზოგადოებას კი კარგად ახსოვს**: პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ბურჯანაძემ მოქ. ე. შევარდნაძეს როგორ დაუმტკიცა კრწანისის სამთავრობო აგარაკის რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწა; ნ. ბურჯანაძემ, კანონის უგულვებელყოფით, მაშინდელ ოპოზიციონერებთან შეთანხმებით (ლ. გაჩეჩილაძე და სხვ.), საზოგადოებრივ მაუწყებელში როგორ მოიყვანა თავისი მხარდამჭერი არაკვალიფიციური (ტელემაუწყებლობის არმცოდნე) სამეურვეო საბჭოს წევრები (ლ. გახელაძე და სხვ.), როგორ მიმდინარეობდა შიმშილობის აქცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის (ნ. ბურჯანაძის) მისაღებში; აგრეთვე, 2009 წლის 9 აპრილი, როცა რუსთაველზე, პარლამენტის წინ, ოპოზიციის მიტინგზე ტრიბუნასთან მისულ ნ. ბურჯანაძეს ხალხი როგორი სტვენითა და შეძახილებით შეხვდა, როცა სკანდირებდნენ **"ბურჯანაძე შორს!"** ასე იყო 2010 წლის 9 აპრილსაც, როცა ნ. ბურჯანაძე 9 აპრილის ტრაგედიის ადგილზე მივიდა, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების მონაწილეებმა სტვენა დაუწყეს და შეძახილებით **"ბურჯანაძე წადი!"** აიძულეს სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას. ამ **"გაკვეთილებიდან"** ბურჯანაძემ შესაბამისი დასკვნა გააკეთა, 2009 წლის აპრილ-მაისში, როცა დაახლოებით 200-300 კაცი ამ მიტინგზე გროვდებოდა, მას თავისი **"ტაშისდამკვრელები"** მიჰყავდა, როგორც კი წავიდოდა, ისინიც უკან მიჰყვებოდნენ. ამგვარ **"მექანიზმს"** ბურჯანაძემ არაერთგზის მიმართა და ახლაც იყენებს. გამოცდილება მიღებული ჰქონდა ჯერ კიდევ პარლამენტში ყოფნისას როცა სააკაშვილის მხარდასაჭერად მას და მის **"ლიუბიმჩიკს"** **"ტაშისდამკვრელები"** ყვითელი ავტობუსებით თბილისიდან სხვადასხვა რაიონებში გადაჰყავდათ... 2010 წლის 25 ნოემბერს, იგივე სცენარით მოიყვანეს მისი **"ტაშისდამკვრელები"...** კრება არ შეიძლებოდა ყოფილიყო წარმომადგენლობითი ორგანო, რადგან ამ პროცესში არ იყო ჩართული ყველა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალა, ანუ იქ იყვნენ შერჩევით მისულები. კრება იყო ორი პოლიტიკური პარტიის უზრუნველყოფის ორგანო. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა იმ ფუნქციის მატარებელი, რომლის იმედსაც მასზე მოსახლეობა ამყარებდა. ეს იყო მასმედიით ფართოდ გაშუქებული პიარი ოპოზიციის იმ ჯგუფისა, რომელიც იბრძვის გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის, ანუ **"სკამების ოპოზიციისა"** რომელიც მოქმედებს დევიზით **"შენ ადექი, მე უნდა დავჯდე!"** ოპოზიციაში არიან შევარდნაძისა და სააკაშვილის გუნდიდან წამოსულები. **"მოქკავშირიდან"** აფრენილი **"მტრედები"**. ეს ხალხი იყო მთავრობაში, როცა შევარდნაძე ცდილობდა ძალადობით მოსული თავისი ხელისუფლების დაკანონებას, როცა ეკლესიებს ანგრევდნენ და სხვა. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ოპოზიცია არ მოითხოვს: 1991-92 წლების კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების გამოძიებას; თბილისში, 1992 წლის 3 იანვარს მეტროს სადგურ **"დიდუბესთან"** და 2 თებერვალს ცირკის მიდამოებთან მშვიდობიანი მანიფესტანტების დახვრეტის გამოძიებას; 1992-93 წლებში რეგიონებში (განსაკუთრებით სამეგრელოში) მშვიდობიანი მოსახლეობის დახვრეტის საქმის გამოძიებას; შევარდნაძისათვის ნ. ბურჯანაძის და ზ. ჟვანიას მიერ გადაცემული კრწანისის აგარაკის ჩამორთმევას და მის დაპატიმრებას; 1994 წელს **"9 აპრილის"** მუზეუმში განხორციელებული ტერაქტის გამოძიებას; **"9 აპრილის"** მუზეუმის და ჟურნალისტთა კავშირ **"სხივის"** ფარული პრივატიზების საქმის გამოძიებას და თავის კანონიერ ფართში მისი ფუნქციონირების აღდგენას; გამომცემლობა **"სამშობლოს"** შენობის ფარული პრივატიზაციის და ამ შენობიდან ძალადობით გამოყვანილი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების საქმის გამოძიებას; საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ლ. გახელაძისა და გენდირექტორ გ. ჭანტურიას გადაყენებას და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას; ეროვნული მოძრაობის ლიდერების თემურ ჟორჟოლიანის, ზაზა დავითაიას და ცოტნე გამსახურდიას განთავისუფლებას; გურამ შარაძის საქმის ობიექტურად გამოძიებას და სხვა.

მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ოპოზიციას ჩვენ ორჯერ **შევთავაზეთ გზა ხსნისა:**

2008 წლის 20 იანვარს, თბილისში, იპოდრომზე, მრავალათასიან მიტინგზე, ორგანიზატორებს ვთხოვეთ მიტინგის დასრულების შემდეგ ხალხი დაგვეძრა ფილარმონიისაკენ და რუსთაველის ძეგლთან ჩაგვეტარებინა სახალხო ყრილობა; აგვერჩია ალტერნატიული მთავრობა და სხვა ორგანოები. იმ დროს სააკაშვილის ინაუგურაცია ტარდებოდა, პარლამენტის შენობის წინ. რუსთაველის ძეგლის მიდამოები პარლამენტის შენობისგან, დაახლოებით ერთი კილომეტრით არის დაცილებული. აზრი ჯერ მოეწონათ, შემდეგ კი გვითხრეს, დაპირისპირება მოხდებაო. ფაქტობრივად, ყინვიან ამინდში, თოვლში მდგარი 300 ათასი ადამიანი, რომელიც მზად იყო აქტიური მონაწილეობა მიეღო ხელისუფლების შეცვლის პროცესში, ოპოზიციის თავკაცებმა 2-3 საათის შემდეგ იპოდრომიდან შინ გაუშვა. ხალხი ოპოზიციის გადაწყვეტილებას უკმაყოფილო შეხვდა (მათ ლაძღვითა და წყევლით მოიხსენიებდნენ), რადგან 2007 წლის 7 ნოემბრიდან მოყოლებული, მათ ხელისუფლების მიმართ ჰქონდათ უაღრესად უარყოფითი მუხტი. ისინი მზად იყვნენ ყველაფრისათვის, ოღონდ სასიკეთო ცვლილება მოჰყოლოდა იპოდრომზე მათ შეკრებას (ითხოვდნენ შედეგს).

როდესაც რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, ოპოზიციის წარმომადგენლებმა პარლამენტის წევრების მოწმობები დემონსტრაციულად მაკრატლებით დაჭრეს, შევთავაზეთ (ბ-ნ ლ. გაჩეჩილაძეს, დ. გამყრელიძეს და სხვ) მოეწვიათ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები; მიეცათ მათთვის შესაძლებლობა, რომ კანონიერ ხელისუფლებას თბილისში ჩაეტარებინა სხდომა, დაენიშნა კანონიერი არჩევნები, რითაც **მოხდებოდა კიდეც დიდი შერიგება და დაიწყებოდა ეროვნული თანხმობის პროცესი.**

ორივე წინადადება, მართალია თავიდან მოიწონეს, მაგრამ **არ განახორციელეს...**

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 2 ნოემბერს, თბილისში, რუსთაველზე, ოპოზიციის მიერ გამართული ხალხმრავალი მიტინგის მიმდინარეობისას, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, მიტინგის ორგანიზატორებს (წამყვანებს) სთხოვეს მიეცათ მათთვის შესაძლებლობა მიკროფონით სიტყვით გამოსვლისა. სამწუხაროდ, გაუკეთეს ბლოკირება, ანუ არ მისცეს უფლება ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს მიტინგის მონაწილეების წინაშე საჯარო გამოსვლისა...

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები მეტწილად დაკავშირებულია ოპოზიციასთან. მათ თავი ვერ გაართვეს დასახულ მიზანს, სანახევროდაც ვერ მიუახლოვდნენ მას. 7 ნოემბერს ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით დარბევისას მათ თავი **პარლამენტს შეაფარეს**. ფაქტიურად, რუსთაველზე მყოფი მხარდამჭერები მიატოვეს. დაახლოებით ორი კვირის მანძილზე დაზარალებულები საავადმყოფოებში იყვნენ, ოპოზიციამ კი ისინი ერთხელაც არ მოინახულა. ამრიგად, მიტინგზე მოყვანილი სოციალურად გაჭირვებული ხალხი, **ვაიორგანიზატორებმა "საზარბაზნე ხორცად" გამოიყენეს...**

მიგვაჩნია, რომ ოპოზიციის ხელმძღვანელებმა საჯაროდ, სრულყოფილი **პასუხი უნდა გასცენ მოსახლეობის კითხვებს:**

რას ეძახიან თბილისში განხორციელებულ 1991-92 წლების მოვლენებს (ზოგი მათგანი ტელევიზიით გამოსვლისას ამ მოვლენებს სამოქალაქო ომს უწოდებს).

მიაჩნიათ თუ არა ე. შევარდნაძის ხელისუფლება კანონიერად.

მიაჩნიათ თუ არა სააკაშვილი და მისი ხელისუფლება შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების უფლებამონაცვლედ, მემკვიდრედ.

ფაქტები გვიჩვენებს, რომ 1991-92 წლების და შემდეგი პერიოდის მოვლენებთან დაკავშირებით ყველანი ვდუმვართ – არ ვაძლევთ მათ სამართლებრივ შეფასებას, სხვას ველოდებით – მოვა და ჩვენს ქვეყანას დაალაგებს, ააყვავებს, სამართლიანობას აღდგენს... ლოდინში გადის წლები, ქვეყანა და ხალხი კი იღუპება! ასე არ უნდა გაგრძელდეს, მიდგომა, ანუ ხედვა უნდა შეიცვალოს. ქვეყნის გადარჩენისათვის საჭიროა მართვის არსებული სისტემის ახლით შეცვლა, რაც ახალ პირობებში, ახალი წარმატებული ქვეყნის აშენების საფუძველს მოგვცემს. კოსმეტიკური ცვლილებები (საპრეზიდენტო მმართველობის საპარლამენტოთი შეცვლა, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და სხვა) რასაც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად (ხან ცალ-ცალკე) აკეთებს, ვერ გადაწყვეტს ქვეყნისა და ერის გადარჩენის და წინსვლის საკითხს. ეს არის ისევ და ისევ პიარი, ანუ – ხალხის ყურადღების გადატანა მორიგი ე.წ. აქტუალურ საკითხებზე, უცხოეთის ქვეყნების მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დასანახად; საბაბის შექმნა მორიგი დამკვირვებლების საქართველოში ჩამოყვანისათვის, რომლებმაც უნდა დააფიქსირონ, რომ არჩევნები წინანდელზე უფრო დემოკრატიულად ჩატარდა, ანუ, ვიშ, რა წარმატებულია ქვეყანა, რომელიც დემოკრატიისა და რეფორმების ჩატარების გზით ვითარდება!..

ჩვენ შეძლებისდაგვარად ცდას არ ვაკლებთ, გვინდა მოლაპარაკება-შეთანხმება საქართველოსა და საზღვარგარეთის ყველა იმ პატიოსან ორგანიზაციასთან და პიროვნებასთან, ვინც ჩვენს პრინციპებს იზიარებს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნ. ბურჯანაძე (და მისთანანი), მნიშვნელობა არა აქვს გვერდით ცნობილ მოჭადრაკეს, მოჭიდავეს, მორბენალს თუ მწერალს დაიყენებენ, ისევ ისეთები არიან, როგორებიც იყვნენ 1992, 2003 წლებში, ან თუნდაც 1-2 წლის წინ, ძალიან ძნელია – სავლე გახდეს პავლე, ქართველმა კი კარგად იცის, რომ **"არ გათეთრდების ყორანი..."**

შეგნებული მოსახლეობის უფროს თაობას გაშიფრული ჰყავს **"ვაიპატრიოტები"**, ახალგაზრდებს კი ვურჩევთ იცოდეს ვინ ვინ არის. ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის გზა სამართლიანობის აღდგენასა და ეროვნულ ერთიანობაზე გადის!

**თამაზ ბიბილური**

# კოლხეთის საქართველო კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი



**იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე**

**პროფ. ლევან სანიკიძე**

**დასაწყისი №97,98, 100, 101, 102, 103, 104.**

## აფრიკაში "მეგრელი ზანგები" ცხოვრობენ

1897 წელს ჟურნალ **"მოამბის"** მიმოხილვაში: **"ჩვენსა და სხვაგან"**, აგრეთვე გაზეთ **"ივერიაში"** და **"ცნობის ფურცელში"** გამოქვეყნდა გამოჩენილი რუსი მეცნიერის, მეცნიერებათა დოქტორის, ცნობილი რუსი მოგზაურის, საქართველოში ნამყოფი და საქართველოს კარგად მცოდნე ა.ვ. ელისეევის ნაშრომი იმის შესახებ, რომ აფრიკაში, საჰარის უდაბნოს პირას, ქალაქ უარგალში (ვარგლაში) უძველეს დროიდან ცხოვრობდნენ და ამჟამადაც ცხოვრობენ ქართველები. ა.ვ. ელისეევმა ეგვიპტეში, ტუნისში, ალჟირში საჰარაში მოგზაურობის შედეგები დ შთაბეჭდილებები აღწერა წიგნში **"По белу свету"**. ა.ვ. ელისეევს ქართული საუბარი თვითონ აქვს მოსმენილი და ჩაწერილი (ახსენებს გვარებს: გუგუნავას, ჭანუყვაიას და სხვა).

აღნიშნულ საკითხზე გაზეთ **"ახალგაზრდა კომუნისტში"** (1989 წელი) მასალები გამოაქვეყნა ჟურნალისტმა გიორგი კურტანიძემ. აფრიკაში ნავსადგულ ალჟირში ნამყოფი ქართველი მეზღვაურის სიორიძის მონათხრობის მიხედვით, აგრეთვე პირად საუბარში, სიორიძე აღნიშნავს, რომ მან და სხვა ქართველმა მეზღვაურებმა ნახეს ქართველი ზანგები, რომლებიც მძიმე ყუთებით ტვირთავდნენ ფრანგულ გემს. ქართველმა **"ზანგმა"** უთხრა ქართველ მეზღვაურებს, რომ: დღეს აქ ვმუშაობთ ათი ქართველი, ყველა ერთი სოფლიდან, და აქ, უჯდასთან (მაროკოს საზღვრისპირა ქალაქი) ქართველების რამდენიმე სოფელია, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გუგუნარის (ე.ი. გუგუნავას) გვარს ატარებს, მეტად ღატაკურად ვცხოვრობთ, ჩვენი ბავშვები ჩამოხეულები, ფეხშიშველები დადიან. ქართველმა მეხომალდეებმა ვერ მოახერხეს გაეგოთ **"ქართველი ზანგების"** სოფლების სახელწოდება და მათი წინაპრების წარმომავლობა, რადგან ფრანგმა ზედამხედველმა **"ქართველ ზანგს"** საუბარი შეაწყვეტინა. ეს ვერ შეძლო ჟურნალმა **"მოამბემ"** საუკუნის წინ დაედგინა. პროფ. ილია ტაბაღუა ორჯერ იყო ალჟირში – 1964 და 1967 წელს, მაგრამ ვერ დაადგინა ქართველი (მეგრელი) **"ზანგების გაზანგების საკითხი"**.

1972 წელს **"აფრიკელი ქართველების"** საოცარი ისტორიის შესახებ გაზეთმა **"სოფლის ცხოვრებამ"** გამოაქვეყნა დ. ფაშტინის ვრცელი წერილი **"საიდან მოხვდნენ აფრიკაში?"** ქართველ საზოგადოებას აინტერესებს და აწვალებს კითხვები **"საიდან"** და **"როდის"**?

ქართველი ზანგების შესახებ დოკუმენტური მასალები აქვს გამოქვეყნებული გიორგი მახარაძეს წიგნში **"არდავიწყება მოყვრისა"**, რომელშიც არის ასეთი თავი: **"აფრიკის ანუ უარგლელ-უჯდელი ქართველები"**.

ჟურნალი **"მოამბე"** საუკუნის წინ წერდა: **"პლინიუსი თავის ბუნებრივ ისტორიაში მიუთითებდა: ვარონი გვარწმუნებს, რომ იბერნი და სხვა ხალხი დასახლდნენ მთელ ესპანეთში და ესპანეთიდან აფრიკაში გადასვლა ხომ ადვილზე უადვილესია"**. მაგრამ ჟურნალ **"მოამბეს"**, ეს ჰიპოტეზად მიაჩნია და მას უპირისპირებს ამონარიდს განის წიგნიდან **"უძველესი მწერალთა ცნობარი კავკასიის შესახებ"**.

ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის "საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში, რომელიც გამოიცა სამჯერ (1943, 1946 და 1948 წლებში) და რუსულად ორჯერ (1946 და 1948 წლებში) და რომელმაც სტალინური პრემია მიიღო, ნათქვამია: **"უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, ხეთურ-იბერიულ გვარ-ტომებს, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს, ვრცელი მიწა-წყალი ეჭირათ აზიაში და აგრეთვე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში"**.

წიგნის რუსულად გამოცემამ მთელი საბჭოთა კავშირის მეცნიერება აღაფრთოვანა – მაგრამ იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ, მოსკოვმა წიგნი აკრძალა, მოძველდაო, და მოითხოვა ახალი სახელმძღვანელოს დაწერა, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით.

ცნობილი მეცნიერი, პროფესორი ზურაბ რატიანი წერს: **რუსმა შოვინისტებმა ისე დაგეშეს ქართველები, რომ მათ წინააღმდეგ თვით აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილს, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, არაფერი გაუვიდა. სახელმძღვანელოში, რომელიც სულ მცირე, ქართველი ერის ისტორიის 2.500 წელია მოპარული, არ შეიძლება რაიმე მეცნიერული ღირებულება ჰქონდეს. ახალ სახელმძღვანელოში,** – ხაზგასმით წერს პროფესორი ზ. რატიანი, – **მთლიანად გაყალბებულია და შეთითხნილია ქართველი ერის და უძველეს სახელმწიფოთა წარმოშობის ისტორია.**

ბოლოს, ისტორიულად ცნობილია, რომ ვინც ბერძნებამდე ელადაში ცხოვრობდა პელაზგებად ითვლებიან. პელაზგების ფუძის დამდები – ეპონიმი ყოფილა პელაზგოსი, რომელიც **"ეგეოსურ ადამად"** არის ჩათვლილი, ჰომეროსი მას **"ღვთისადარ"** პელაზგოსად თვლის, ჰესიოდეს და აპოლონიოს როდოსელის მონაცემებით, პელაზგოსი დედამიწისგან წარმოშობილი პირველი ადამიანია. პელაზგოსი მიჩნეულია ქალღმერთ ჰერას წინაპრად (აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი).

ზემოთ მითითებულმა აღმოჩენებმა და დასკვნებმა, რომლებიც მსოფლიოს და ქართველი გამოჩენილი მეცნიერებისგანაა მოპოვებული, არ შეიძლება, დღეს თუ ხვალ, თუ მრავალი წლის შემდეგ, მიმართულება არ შეუცვალოს მსოფლიო მეცნიერებას – რომ კოლხ-პელაზგები – ადამის დროინდელი პელაზგოსი, პირველი პელაზგოსია, რომელსაც თითქმის მთელი მსოფლიო ეკავა (პლუტარქე) – ჩვენი სამყაროს პირველი ხალხია. კოლხეთ-პელაზგოსი მსოფლიოს პირველი ქვეყანაა. კოლხურ-პელაზგების ენა მსოფლიოს პირველი ენაა. აღნიშნული აღმოჩენების ფართო აღიარება აუცილებლად მოხდება, რადგან ისინი მსოფლიო ისტორიული აღმოჩენებია. და მათი მუდმივად მიჩუმათება შეუძლებელია.

სიტყვა ადამიანი წარმოშობილია სიტყვა ადამისაგან. სხვა არც ერთ ხალხის ენაში მსგავს მოვლენას არ აქვს ადგილი.

**კლიმენტი შელია,**
**აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

***(გაგრძელება შემდეგ ნომერში)***



## ნიკა დალაქიშვილმა ზაზა გოროზიასთვის ფულის მიცემა ისევ დაადასტურა

იტალიურ ფირმა **„ფერერო როშეს"** სამეგრელოში დაფუძნებული შვილობილი კომპანიის **„აგროჯორჯიას"** მარკეტინგის მენეჯერმა ნიკა დალაქიშვილმა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ისევ დაადასტურა ერთი კვირის წინათ მიცემული ჩვენება, რომლის თანახმად, მან რამდენიმეჯერ გადასცა ფული სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს – ზაზა გოროზიას. მან ბოლო სასამართლო პროცესზე დააზუსტა, რომ პირველად 3500 ლარი მისცა გოროზიას, სოფელ განმუხურში მიწის გადაცემის საფასურად. ნიკა დალაქიშვილმა და მასთან ერთად პატიმრობაში მყოფმა კობა აბრალავამ აღიარეს დანაშაული. მათ ბრალად ედებოდათ 240 000 ლარის ღირებულების 150 ტ დიზელის საწვავის გატაცება. პროკურორმა მათი დარბაზიდან გათავისუფლება მოითხოვა. საპროცესო გარიგების თანახმად, ყოველგვარი საჯარიმო თანხის გადახდის გარეშე, გარკვეული პირობითი სასჯელის მისჯით, ნიკა დალაქიშვილი და კობა აბრალავა სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ნაკლებ სარწმუნოა, რომ ეს **სამარცხვინო ინციდენტი ამით ამოიწუროს. მოვლენათა შემდგომი განვითარების თაობაზე დაწვრილებით ინფორმაციას მივაწვდით ჩვენს მკითხველებს.**

## შაშკინმა დირექტორი სკოლიდან გააგდო

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა წალენჯიხის **№1** საჯარო სკოლის დირექტორი, რობერტ ციმინტია თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამის მიზეზი სკოლიდან **5** ბავშვის გარიცხვა გახდა.

აღნიშნული სკოლის



ხელმძღვანელობამ ბავშვების გარიცხვის გამო გაფრთხილება გასულ წელს მიიღო.

**„დირექტორმა მოწაფეები სკოლიდან ე. წ. „ხლაპუშკების" აფეთქების გამო გარიცხა, რისი უფლებაც, კანონმდებლობის მიხედვით, არ ჰქონდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას, კანონით, დისციპლინარული საბჭო იღებს. სკოლაში გენერალური ინსპექციის შესვლის შემდეგ დირექტორმა დისციპლინარული საბჭოს დასკვნები წარმოადგინა, მაგრამ იგი გაყალბებული იყო, რადგან აღნიშნულ სკოლაში არანაირი დისციპლინარული საბჭო არ მოქმედებს. აღნიშნულის შემდეგ რობერტ ციმინტიამ გაფრთხილება მიიღო და მდგომარეობის გამოსასწორებლად ვადები განსაზღვრა, მაგრამ სკოლაში მდგომარეობა არ შეცვლილა. ამის შემდეგ ციმინტია მეორედ გააფრთხილეს, ხოლო მოგვიანებით თანამდებობიდან გაათავისუფლეს"**, – განაცხადა წალენჯიხის რაიონის განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა **რუსიკო სამუშიამ.**

დირექტორის განცხადებით მან განთავისუფლების ბრძანება გასულ პარასკევს მიიღო, თუმცა სამსახურის დაკარგვის მიზეზები მისთვის უცნობია.

**„როდესაც გენერალურმა ინსპექციამ პრეტენზიები წამოგვიყენა, მე სამინისტროს ახსნა-განმარტება ჩავაბარე, მოგვიანებით კი სკოლაში გათავისუფლების ბრძანება მოვიდა. სამინისტროს გადაწყვეტილებით, როგორც მე, ისევე სკოლის შემადგენლობა, გაკვირვებული დავრჩით. დეტალების შესახებ საქმის კურსში არ ვართ"**, – აცხადებს ციმინტია.

შეგახსენებთ, რომ რობერტ ციმინტია, როგორც წალენჯიხის №1 საჯარო სკოლის არჩეული დირექტორი, აღნიშნულ პოსტზე 2007 წლიდან მუშაობდა.

## ქართულ ბაზარზე შოკოლადიც გაძვირდება

საერთაშორისო ბაზრებზე, შოკოლადის მკვეთრი გაძვირების პარალელურად, ქართულ ბაზარზე შოკოლადის ფასიც მოიმატებს. შოკოლადის მწარმოებელ ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანია **„როზალიში"** აცხადებენ, რომ მარაგები ფასის მატებამდე შეიძინეს, ამიტომ ფასს ჯერჯერობით სტაბილურად ინარჩუნებენ.

თუმცა, მენეჯმენტის განმარტებით, საერთაშორისო ბაზარზე ფასები ყოველდღიურად იცვლება: გაძვირდა შაქარი, რაც, შესაძლოა, შოკოლადის საბოლოო ფასზე აისახოს. **„როზალი"** შოკოლადის ნედლეულის იმპორტს ბელგიიდან ახორციელებს. მათ მიერ წარმოებული 1 კილოგრამი შოკოლადის ღირებულება საშუალოდ 30 ლარია.

## ინდმეწარმეებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ

ინდმეწარმეებისთვის სასაქონლო ზედნადების ახალი ფორმის გამოყენება სავალდებულო 15 თებერვლიდან



გახდება. **"გადასახადების ადმინისტრირების შესახებ"** ბრძანებას კახა ბაინდურაშვილმა 31 დეკემბერს საღამოს მოაწერა ხელი და კანონი მეორე დღესვე, 1 იანვრიდან, ამოქმედდა. აქედან გამომდინარე, გაუქმებულია სასაქონლო ზედნადების ძველი ფორმა. თუმცა ინდმეწარმეები ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გააფრთხილეს. რამაც მათი შეშფოთება გამოიწვია. თუმცა, როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ძველი ფორმების გამოყენებისთვის 15 თებერვლამდე არავის დააჯარიმებენ. როგორც ჩანს, ამ ფორმით მთავარი ფინანსური უწყება საკუთარი დაუდევრობის საზიანო შედეგების გამოსწორებას ცდილობს.

## „დახვრეტილი საქართველო"

საქართველოში ზუსტად 19 წლის წინათ მოხდა ერთ-ერთი შემზარავი ფაქტი – სახელმწიფოს სათავეში მოსულმა სამხედრო ხუნტამ ცეცხლი გაუხსნა მშვიდობიან მანიფესტანტებს. ამ დღის აღსანიშნავად 2 თებერვალს ხსოვნისა და გლოვის აქცია მოეწყო.

**,,დღევანდელი დღე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია...** – ამბობს 9 აპრილის საზოგადოების თავმჯდომარე და ახალი ეროვნული მოძრაობა **„სამშობლოს"** ლიდერი თამაზ ბიბილური, – **1992 წლის 2 თებერვალს, როცა ვაგზლის მოედანზე შეკრებილი მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეები ქალაქის ცენტრისკენ მიემართებოდნენ, ხუნტისტებმა მშვიდობიან მანიფესტაციას გმირთა მოედანთან ცეცხლი გაუხსნეს. აქ სხვა გმირებთან ერთად დაიღუპა ახალგაზრდა კაცი – მედროშე მამუკა ტერიშვილი.**

**ამ დღეს საბოლოოდ გამჟღავნდა ხუნტის დამოკიდებულება მოსახლეობისადმი, გაშიშვლდა მისი მიზნები: მოდიოდნენ დემოკრატიის ნიღბით, მაგრამ მოგვევლინენ მკვლელებად, ტერორისტებად''.**

აქციის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა, რომელშიც მოითხოვენ იმ ტრაგიკული მოვლენების გამოძიებას და შესაბამის შეფასებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

როგორ ესმოდა მტრის ზურგში გამართული ომის ამოცანები ბერიას? მთავარია – გერმანელთა ჯარების რაც შეიძლება მალე გადარეკვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან არსებული მწირი რეზერვებით და ნაკლები დანაკარგებით. ამიტომ, ფრონტის ხაზს მიღმა ომს იგი ხედავდა როგორც სპეციალური დივერსიული და სადაზვერვო ოპერაციების უწყვეტ ჯაჭვს, რომელსაც ჩაატარებდნენ პროფესიონალი სპეციალისტები, რა თქმა უნდა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხის ხელშეწყობით. ბერია ხომ თავად გახლდათ სპეცოპერაციების უბადლო სპეციალისტი, კონსპირატიული მოქმედებების დიდი გამოცდილებაც ჰქონდა – 20-30-იანი წლების ამიერკავკასიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს რწმუნებულს ამგვარი გამოცდილების დაგროვების დიდი შესაძლებლობები გააჩნდა.

ამასთან, ბერიას წადილი, რომ ეხელმძღვანელა გერმანელთა ზურგში გამართული პარტიზანული ომისათვის, არ იყო იმით განპირობებული, რომ თავი მოეწონებინა სტალინისათვის თავისი უსაზღვრო შესაძლებლობებით. ბერიას ამის გარეშეც საქმე თავზესაყრელად ჰქონდა, ამიტომ მისთვის წარმატება მხოლოდ ნიშნავდა ამ საქმეების წარმატებით დაგვირგვინებას.

აი, პონომარენკო კი...

არა, პონომარენკოსაც ეწადა სწრაფი გამარჯვება, ისევე, როგორც ლავრენტი ბერიას. მაგრამ პონომარენკო იყო პარტიული **"გენერალი"**, თანაც, ჯარის გარეშე. ბელორუსია ხომ ოკუპირებული იყო. ასე რომ, სწორედ პონომარენკო უნდა ყოფილიყო უფრო მონდომებული სტალინთან: ბელორუსიის მიწა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა მიერ გაჩაღებული ცეცხლით იწვის, ამხანაგო სტალინ, სახალხო შურისმაძიებელთა მოძრაობას კი ხელმძღვანელობს ჩვენი მშობლიური პარტია... ე.ი. პონომარენკო. ახლა გეკითხებით: ვინ მოქმედებდა აქ კარიერისათვის ინტრიგების გამოყენებით?

ბოლოს და ბოლოს, პარტიზანული მოძრაობის სპეციალური შტაბი **(პმსშ)** შეიქმნა პონომარენკოს ხელმძღვანელობით. მაგრამ შევადაროთ ერთმანეთს ორი თარიღი... **პმსშ** შეიქმნა 1942 წლის 30 მაისს. 1942 წლის 18 მაისს კი კოვპაკმა მიიღო თავისი პირველი ოქროს მედალი **პმსშ**-ს უფროსის **"სახელმძღვანელო მითითებების"** გარეშე, მაგრამ არც იმ იარაღის, კადრებისა და დავალებების (ესეც ხომ დახმარებაა!) გარეშე, რომლითაც მათ უხვად ამარაგებდა ბერია.

რა თქმა უნდა, ომის მსვლელობის განმავლობაში **პმსშ**-მ უფრო მეტი სასარგებლო საქმე გააკეთა, ვიდრე საზიანო. მაგრამ, მაინც, ბევრი არაფერი. ვფიქრობ, რომ პარტიზანული მოძრაობა მთლიანად შინსახკომის მე-4 სამმართველოსათვის რომ ჩაებარებინათ, უფრო მეტი სასარგებლო საქმე გაკეთდებოდა. ბერია ხელს კი არ უშლიდა, არამედ ყოველმხრივ ახალისებდა **"ადგილობრივი ძალებით"** შინსახკომის რაზმების ქსელის გაფართოებას, რომელთაც შემდეგ გამოცდილი სამხედროები უდგებოდნენ სათავეში. მათ კარგად იცოდნენ, რომ პარტიზანულ ბრძოლებში გადამწყვეტია არა ხალხის რაოდენობა, არამედ მათი ბრძოლისუნარიანობა. ასეა ფრონტებზეც, ხოლო ფრონტის ხაზს მიღმა

პროფესიონალი სტანისლავ ვაუპშასოვი მარტოდმარტო აღმოჩნდა უაღრესად მწვავე სიტუაციაში და ხშირი ბუჩქებიდან გაუხსნა ცეცხლი გერმანელთა სადამსჯელო რაზმის წევრებს, რომლებიც არხეინად იყვნენ შეკრებილი მინდორზე. ვაუპშასოვმა ექვსი კაცი ერთმანეთს მიაწვინა. ჰოლივუდის ბოევიკებში ეს იოლი საქმეა, რეალობაში კი, საკმაოდ რთული...

დიახ, პროფესიონალ ჩეკისტ ბერიას ჰქონდა თავისი ხაზი და მიზანდასახულად მიჰყვებოდა ამ ხაზს. **"პროფესიონალი აპარატის მუშაკი"** პონომარენკო კი **"კონცეფციას კონცეფციაზე"** აცხობდა და ხან მცირერიცხოვანი პარტიზანული რაზმების შექმნაზე ზრუნავდა, ხან კი კოვპაკის შენაერთის ტიპის დიდი ქვედანაყოფების ჩამოყალიბებაზე. 1942 წლის ივლისში პონომარენკომ მოამზადა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის (ე.ი. სტალინის) ბრძანების პროექტი პარტიზანული მოძრაობის გაძლიერების შესახებ, რომელიც ასე პროექტად დარჩა – ძალიან არაკონკრეტული და აბდაუბდა ბრძანება გამოვიდა, რომელსაც რეალობასთან არაფერი ჰქონდა საერთო და უფრო უტვინო ჩინოვნიკის ნაბოდვარს ჰგავდა.

პონომარენკო წერდა:

**"გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მრავალრიცხოვანი, ხშირად მრავალათასიანი პარტიზანული შენაერთი მოუქნელია და მტერს იოლად შეუძლია მიაგნოს მას... გაძნელებულია მისი მართვაც...**

*** * ***

**ვბრძანებ:**

*** * ***

**4.შეწყდეს მსხვილი პარტიზანული შენაერთების ჩამოყალიბება (ეს ფრაზა მართლაც პარტიული უტვინობის კლასიკური ნიმუშია – ს.კ.)... რადგან გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ბევრად უფრო პრაქტიკულია პარტიზანული ბრძოლებისათვის 60-100-კაციანი რაზმები.**

**5. პარტიზანული მოძრაობის წევრებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ მოხდეს მეთაურთა შეცვლა"** და ა.შ.

სიდორ კოვპაკი, ამ დროს, თავისი ორიათასკაციანი პარტიზანული შენაერთით ატარებდა რეიდებს მტრის ზურგში, თითქმის იგივე რაოდენობის მებრძოლებს მოუყარა თავი ალექსეი ფედოროვ-ჩერნიგოვსკიმ, რომელიც უკვე ასევე ბრწყინვალე პარტიზანულ რეიდებს ატარებდა, პონომარენკოსაგან დამოუკიდებლად ყალიბდებოდა ახალი პარტიზანული შენაერთები, რომელთაც სათავეში უდგებოდნენ გამოცდილი მეთაურები. რეალურ სიტუაციას ადგილებზე აყალიბებდა ცხოვრების მოთხოვნები და არა **პმსშ**-ს ქაღალდები.

პარტოკრატიული ნიმუშის შედევრად კი მე მიმაჩნია პონომარენკოს მიერ, 1943 წლის 4 მარტს, იოსებ სტალინის სახელზე შედგენილი მოხსენებითი ბარათი. მე მას სრულად მოვიყვან:

**"უკრაინასა და ბელორუსიაში წითელი არმიის მიერ მიღწეული წარმატებების კვალდაკვალ განუხრელად ძლიერდება პარტიზანული მოძრაობა. პარტიზანული რაზმების რიცხვმა ბელორუსიაში შეადგინა 460, რომელშიც გაერთიანებულია 60.000-ზე მეტი პარტიზანი, ფარული რეზერვი კი 200.000 კაცს შეადგენს. უკრაინაში, მხოლოდ ჟიტომირის, როვენსკისა და ჩერნიგოვის ოლქებში პარტიზანული რეზერვის რიცხვმა 60.000 ადამიანს მიაღწია.**

**გთხოვთ თქვენს მითითებას, რათა შემგომი განვითარების გზები დაისახოს პარტიზანული მოძრაობის აღმავლობისათვის.**

**პ. პონომარენკო"**

არა, **"ფარული რეზერვი"** მართლაც კარგი რამაა! პონომარენკოს პარტოკრატიული სულისკვეთება მის ამ ერთ ფრაზაშიც კარგად გამოსჭვივის: **"ფარული რეზერვი!"** სამწუხაროდ, სწორედ ასეთი კადრების აყვანით სცოდავდა ხოლმე სტალინი, თუმცა მას შეეძლო საკუთარი შეცდომების სწრაფად გამოსწორებაც.

ლავრენტი ბერიამ ფრონტის მიღმა გადააგზავნა ორი ათასზე მეტი სათანადოდ გაწვრთნილი ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც 15.000 მებრძოლი შედიოდა. ხომ ცოტაა პონომარენკოს მიერ მოხმობილ ციფრებთან შედარებით? მაგრამ, არც მთლად ასეა საქმე... ესენი ხომ არიან არა მხოლოდ შეიარაღებული მებრძოლები, არამედ კვალიფიციური ადამიანები, რომელთაც გაიარეს სპეციალური თეორიული და პრაქტიკული მომზადება, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ კონკრეტული მიზნობრივი დავალებებით და ჰქონდათ რადიოკავშირი მოსკოვთან. ადგილებზე კი ისინი ახალ ძალებს იზიდავდნენ და მათი რაზმებიც თანდათან იზრდებოდა.

და არა მხოლოდ ოპერატიული ჯგუფების, არამედ დიდი პარტიზანული შენაერთების მამოძრავებელ ბირთვს სწორედ სსრკ შინსახკომის მიერ მომზადებული კადრები წარმოადგენდნენ. საბჭოთა კავშირის გმირი პარტიზანები დიმიტრი მედვედევი, სტანისლავ ვაუპშასოვი, დიმიტრი ემლიუტინი, ვიქტორ კარასევი, ალექსანდრე საბუროვი, ნიკოლოზ პროკოპიუკი, ევგენი მირკოვსკი – ყველანი სსრკ შისხახკომში აღზრდილი კადრები იყვნენ.

საბჭოთა კავშირის გმირები, იატაკქვეშა ცენტრების ხელმძღვანელები ვიქტორ ლიაგინი, ივანე კუდრია, ვიქტორ მოლოდცოვი – ასევე კადრის ჩეკისტები იყვნენ.

და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია სამშობლოს იმ დამცველებისა, რომლებიც ლავრენტი ბერიას უწყებაში აღიზარდნენ და დაფრთიანდნენ.

1943 წელს მინსკში საკუთარ საწოლში ააფეთქეს ოკუპირებული ბელორუსიის გაულაიტერი **კუბე**. სამმა ქალმა – ელენე მაზანიკმა, მარია ოსიპოვამ და ნადეჟდა ტროიანმა, ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის, 1943 წლის 4 ნოემბერს საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავები მიიღეს ჯილდოდ. მაგრამ თვით ოპერაცია დაიგეგმა სსრკ შინსახკომში და ჩატარდა სსრკ გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს მონაწილეობით.

როვნოში, საბჭოთა კავშირის გმირის ნიკოლოზ კუზნეცოვის (**"პაულ ზიბერტი"**) მიერ ჩატარებული შურისძიების მეტად ეფექტური ოპერაციები შემუშავებული გახლდათ ლუბიანკის პროფესიონალების მიერ, რომლებსაც ამზადებდნენ ასევე ლიუბიანკის პროფესიონალები დიმიტრი მედვედევი და ალექსანდრე ლუკინი, მაგრამ თვით ნიკოლოზ კუზნეცოვიც ხომ პროფესიონალი დახლდათ, და ისიც – ლიუბიანკიდან!

მართლაც, **პმსშ**-ს ხელმძღვანელობაში, ასევე რესპუბლიკურ შტაბებში, ძირითადად შედიოდნენ სსრკ შინსახკომის წარმომადგენლები, მათ შორის ჩეკისტები სტროკაჩი, სპროგისი...

და, მიუხედავად ამისა, ბერიამ თავისი 1942 წლის 13 ივლისის დირექტივით აკრძალა პარტიზანული მოძრაობების შტატებისათვის გერმანელ-ფაშისტთა ზურგში მომქმედი სპეციალური დანიშნულების სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების, სადაზვერვო რეზიდენტურის, შიკრიკების და მეკავშირეთა გადაცემა, ასევე მიმოწერა შინსახკომის პარტიზანულ რაზმებთან (ცნობები, მონაცემების, შეტყობინებები, მოხსენებები, რადიოგრამები)... მას ახლა ამას დანაშაულად უთვლიან, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ დროული და სავსებით სწორი იყო. ის, რაც ბერიამ შინსახკომის კომპეტენციაში დატოვა, მართლაც რომ მეტად **"ფაქიზი"** და ღირებული გახლდათ. და მათი მოუქნელ ხელში გადაცემა მართლაც დიდი სისულელე იქნებოდა. და ამ საქმეში ბერიას აწუხებდა არა პირადი ამბიცია, არამედ მკაცრი კონსპირატიულობა და იმ ხალხის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, რომელთაც მტრის ზურგში ყოველდღიური რეალური საფრთხე ელოდათ.

ბერიას ასეთ **"წრესგადასულ"** სიფრთხილეს რეალური საფუძველი გააჩნდა. არსებობს თვითმხილების (მართალია უნებლიე, შეუგნებელი) დამამტკიცებელი ისტორიული დოკუმენტი – **პმსშ**-ს უფროსის პ.კ.პონომარენკოს წერილი, რომელიც მან 1943 წლის 10 თებერვალს პარტიის სმოლენსკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს დ.მ. პოპოვს მისწერა. ამ წერილში პონომარენკო აღნიშნავდა, რომ: **"...ზოგიერთი ამხანაგები ოკუპირებულ ტერიტორიებზე აყალიბებენ რევოლუციურ კომიტეტებს, რომლებიც წარმოდგენილია საკაოდ ფართო სპექტრით, აწყობენ თათბირებს, სხდომებს, მოისმენენ ბრიგადებისა და რაზმების პოლიტმუშაკთა ანგარიშებს... და ამასთან, ყურადღებას არ აქცევენ... ღრმად კონსპირირებული ბოლშევიკური იატაკქვეშეთის დებულებებს"**.

შეიძლება ვენდოთ ამგვარ **"სხდომებს-გადაყოლილ"** მზვერავთა ქსელს, მათ კადრებს, მეკავშირეებს? პასუხი, რა თქმა უნდა, სრულიად ერთმნიშვნელოვანია, თუმცა, ლავრენტი ბერიამ არ გამოიჩინა ის დამოკიდებულებს, როცა **"სხვა სხვის ომში ბრძენი და დიდი სტრატეგოსია"**! მაგალითად, 2001 წელს მინსკში გამოვიდა ვ.ი. ბოიარსკის წიგნი **"პარტიზანები და არმია (დაკარგულ შესაძლებლობათა ისტორია)"**, სადაც ნათქვამია:

**"უამრავი უხეში შეცდომა და უზუსტობა განპირობებული გახლდათ... სსრკ შინსახკომის ხელმძღვანელობის უმეცრებითა და არაპროფესიონალიზმით, რომელიც ყოველთვის უწყებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და ანგარებით ცდილობდა ფრონტების მართვის ყველა სადავეების ხელში ჩაგდებას."**

თუნდაც მხოლოდ ამ ერთ ფრაზაში გამოსჭვივის ის, რომ ბევრი ვერ ჩასწვდა ბერიას და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობის უნიკალურობას დიდი სამამულო ომის წლებში. რა თქმა უნდა, ჩეკისტებიც ადამიანები იყვნენ და თავმოყვარეობა მათთვისაც არ იყო მთლად უცხო ხილი, თუმცა, წრეს არასოდეს გადადიოდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რა დატვირთვის აღება შეეძლოთ საკუთარ თავზე, იმიტომ, რომ პროფესიონალები იყვნენ. ეს მხოლოდ მოყვარულებს შეუძლიათ იკისრონ ის ტვირთი, რომლის ზიდვა აშკარად აღემატება მათ ძალებს.

და, რომ დავასრულოთ თემა **"ბერია-პარტიზანი"**, მე გავაცნობ მკითხველს კიდევ ერთ ამონარიდს პონომარენკოს წერილიდან, რომელიც მან 1943 წლის მარტში მისწერა მე-4 დამრტყმელი არმიის პოლიტსაბჭოს წევრს ა.ა. სტულოვს. მკითხველს ალბათ ახსოვს ეს **"პარტოკრატიული გვარი"** ვიტებსკის გარნიზონის პროკურორისადმი მიწერილი პატაკიდან. ეს სწორედ ის სტულოვი გახლავთ. 1943 წელს იგი ჯერ კიდევ ვიტებსკის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო. პონომარენკო მას სწერდა:

**"მივიღე თქვენი მოხსენებითი ბარათი (...) იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი პარტიზანული ბრიგადისა და რაზმის მეთაურები და პოლიტკომისრები ანგარიშს არ უწევენ პარტიის საოლქო კომიტეტს. (...) ეჭვს-გარეშეა, რომ პარტიზანულ მოძრაობაში უნდა გაიზარდოს საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების როლი. პარტიის საოლქო კომიტეტი ვალდებულია მკაცრად აღკვეთოს მისადმი ანგარიშის არგაწევის ყოველი ფაქტი.**

**ახლა როცა საოლქო კომიტეტი აღარ მდებარეობს ვიტებსკში, თქვენ კვლავაც წააწყდებით პარტიზანული მოძრაობის მხრიდან საოლქო კომიტეტის გვერდის ავლით მოქმედების ფაქტებს. სულ სხვა საქმეა, თუ საოლქო კომიტეტი იქნება იქ, სადაც მოქმედებენ პარტიზანები. მაშინ, საოლქო კომიტეტის ხელში თავს მოიყრის პარტიზანული მოძრაობის მართვის ყველა ძაფი..."**

სტულოვის კოლეგა, უკრაინის კომპარტიის ჩერნიგოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფედოროვი იყო სწორედ იქ, სადაც **"მოქმედებდნენ პარტიზანები"** – იგი დიდ შენაერთს მეთაურობდა. ამიტომაც გახდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, მისი პარტიული ამხანაგი სტულოვი კი, როგორი მშიშარა და უნიჭო ომის დასაწყისში იყო, ასეთივედ დარჩა – მხოლოდ კიდევ ერთი **"თბილი"** სკამი იშოვა ომის დროს – მეოთხე დამრტყმელი არმიის სამხედრო საბჭოს წევრი გახდა. და არცერთ **"მაღალ"** სკამზე მას თავი დიდად არაფრით გამოუჩენია.

იგი ხომ მართვის ოსტატი არ გახლდათ – ბერიასაგან და მისი თანამებრძოლი სუდოპლატოვის, ვაუპშასოვის, მედვედევისა და პროკოპიუკისაგან განსხვავებით...

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე ურწმუნო თომათა ვნებანი

*(ვისთვის წამალია, ვისთვის – საწამლავი...)*

ამ სათაურით 2010 წლის 9 იანვრის "ილორში" გამოქვეყნდა ვრცელი წერილი სახალხო მკურნალ ბიჭიკო გაგნიძესა და მის სასწაულმომქმედ პრეპარატზე, რომელიც ავთვისებიან სიმსივნეებს ლამის ყველა სტადიაზე, გაფანტულ სკლეროზსა და დღევანდელი კლასიკური მედიცინისათვის მოურჩენელად აღიარებულ მრავალ მძიმე დაავადებას არჩენს. პრეპარატების სასწაულმოქმედების დასტური გახლავთ მძიმე სენისაგან დახსნილი ადამიანების მიერ გამოგზავნილი ათასობით სამადლობელო წერილი. ამიტომ, სიცოცხლეს მოწყურებული პაციენტები დღეობით იდგნენ დიდ რიგში სახალხო მკურნალთან მოსახვედრად თბილისში, აწყურის ქუჩის №31-ში მდებარე ოფისთან. მაშინ ჩვენ ვთხოვეთ სახალხო მკურნალს, რომ რაიონიდან ჩამოსული ხალხისათვის რიგში დგომით შექმნილი პრობლემების გადასაჭრელად სამეგრელოში გაეხსნა ფილიალი, სადაც ხალხისათვის გაიოლდებოდა სათანადო კონსულტაციის მიღება და პრეპარატის შეძენა. ამას წინათ შევიტყვეთ რომ ქალაქ ზუგდიდში, დადიანის ქუჩა №13-ში გაიხსნა ბიჭიკო გაგნიძის სამკურნალო კაბინეტის ფილიალი და სამეგრელოს მკვიდრთ ამის შემდეგ აღარ მოუწევთ პრეპარატის შესაძენად თბილისში ჩამოსვლა.

მადლობის მეტი რა გვეთქმის გულისხმიერი სახალხო მკურნალისადმი, რომელც ცნობილია თავისი ქველმოქმედებით. მაგრამ ყველაზე დიდი ქველმოქმედებაა მისი მთლიანი მოღვაწეობა. ჩვენ უკვე ვაქვეყნეთ მასალა იმის თაობაზე, თუ როგორ სთხოვდნენ გულიკო ჩაფიძის სახელობის კლინიკის მესვეურები რამდენიმედღიან მკურნალობაში პენსიონერ ქალს 2.000 ლარს და ფულის არგადახდის შემთხვევაში სახლ-კარის წართმევით ემუქრებოდნენ. ძვირადღირებულ ოპერაციებს რომ თავი გავანებოთ (ოპერაცია საერთოდ გამორიცხავს გაგნიძის პრეპარატები), პაციენტს მკურნალობა და პრეპარატები, მაშინაც კი, როცა რეალური შედეგი სახეზე არ არის, ათიათასობით ლარი უჯდება, მაშინ, როცა მძიმე დაავადებისაგან თავის დახსნისათვის აუცილებელი მკურნალობა პაციენტს სახალხო მკურნალთან მხოლოდ 600-800 ლარი თუ დაუჯდება.

**როგორ ფიქრობთ, გაღატაკებულ ქვეყანაში მოურჩენელი დაავადებისაგან თავის დახსნა ამ თანხით, ქველმოქმედება არ არის?**

კიდევ ერთხელ შევახსენებთ ჩვენს მკითხველს ბატონ ბიჭიკო გაგნიძესა და მის პრეპარატებთან დაკავშირებულ ბატალიებს.

გასული წლის ოქტომბერში ტელეარხმა **"საზოგადოებრივი მაუწყებელი"** სპეციალური გადაცემა მიუძღვნა სახალხო მკურნალ დომენტი (ბიჭიკო) გაგნიძეს და სასწაულმოქმედ პრეპარატებს. ამ პრეპარატებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვიეს კლასიკურ სამედიცინო წრეებში, რაც, ბუნებრივია, პაციენტთა ნაწილსაც გადაედო, მაგრამ არა იმათ, ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ამ მართლაც სასწაულმოქმედი პანაცეის ჯადოსნური ძალა და სასიკვდილოდ განწირულები, ექიმებისაგან **"განაჩენგამოტანილი"** უიმედო ავადმყოფები ჯანსაღ ადამიანებად დაუბრუნა ოჯახსა და საზოგადოებას!

კიდევ ერთხელ შევახსენებთ ჩვენს მკითხველს, რომ სახალხო მკურნალის მიერ შექმნილი პრეპარატები **"დომენტოლი"** და **"გაგენოლი"**, რომლებზეც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი სააგენტოს მიერ გაცემულია სათანადო ლიცენზია, არჩენს ფილტვის, კუჭნაწლავის, საშვილოსნოს, სარძევე ჯირკვლების და სხვა ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს ასევე შველის გაფანტულ სკლეროზს, ცერებრალურ დამბლას, გულსისხლძარღვთა დაავადებებს, ციროზს I-II სტადიებში, C ჰეპატიტს, ბოტკინს, ტუბერკულოზს, სპობს აზოტს თირკმელებში. პრეპარატები კარგ შედეგებს იძლევიან ფსიქიურად დაავადებულ პაციენტებზე, პარკინსონისმ დაავადებებზე, ასთმურ შეტევებზე, კვანძოვან ჩიყვზე, პანკრეასის ჯირკვალზე, დიაბეტზე, ეპილეფსიაზე, შიდსზე, თავის ტვინის დაავადებებზე, სექსუალურ დარღვევებზე, განგრენაზე. სახალხო მკურნალი ასევე წარმატებით ებრძვის პოდაგრას, ჭინჭრის ციებ-ცხელებას, წითელ ქარს, ალერგიას, რადიკულიტს, ნერვის ანთებას, ნევროზს, კოლიტს, პროსტატიტს, ბუასილს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, ფისტულას, ოსტეოქონდროზს, ყურებიდან ჩირქდენას, სისხლის დაავადებებს, ბოტულისმს, კანის, ნაღვლის ბუშტისა და წყლულოვან დაავადებებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, ფსორიაზს, სახსრების ანთებებს...

პრეპარატი ასევე სწრაფად ხსნის ნარკოდამოკიდებულებას.

ზემოთხსენებული ტელეგადაცემა ჟურნალისტ ვახო სანაიას მიჰყავდა, რომელიც, როგორც წესი, პასუხგაუცემლად არ სტოვებს ნებისმიერ პრობლემასთან დაკავშირებულ შეკითხვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გადაცემაში ასე არ მოხდა და მისი დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო მეტი შეკითხვა დაუგროვდათ იმ ადამიანებს, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე დგანან და კლასიკური მედიცინისაგან იმედგადაწურულები სახალხო მკურნალებისაგან ელიან ხსნას. ამ ადამიანების უსასოოდ დატოვება კი არა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულია, არამედ ღმრთისმგმობელობაც.

და რაც მთავარია, თუ ვინმე შემეცოდა ამ გადაცემაში, გახლდათ არა სახალხო მკურნალი ბიჭიკო გაგნიძე, რომელიც ისე იყო "მედიცინის მამათა" მოსმენით გაოგნებული, რომ ალბათ ერთი პირი ისიც კი გაიფიქრა – ადამიანების მოსარჩენი წამალი გამოვიგონე თუ მათი საწამლავიო. შემეცოდნენ ქართული ონკოლოგიის მამები, რომელმაც ყველაფერი თქვეს გარდა იმისა, რომ, სახალხო მკურნალის მიერ შემოთავაზებული წამლები მართლაც სასწაულს ახდენენ.

შესანიშნავი ფილმის **"შინდლერის სია"** შესავალში მოხმობილია სიტყვები იუდეველთა ხუთთავიდან, თორადან: **"თუ შენ გადაარჩინე ერთი ადამიანის სიცოცხლე, შენ გადაარჩინე სამყარო"!** არავინ იცის, რამდენჯერ გადაარჩინა ბიჭიკო გაგნიძემ სამყარო, რისი დადგენაც იმ ათასობით მადლიერი პაციენტის ბარათებითაც კი გაძნელდება, რაც სახალხო მკურნალს თავისი პრაქტიკის განმავლობაში მიუღია.

პირველი, ვინც წინ აღუდგა ბიჭიკო გაგნიძის განსაცვიფრებელ ნოვაციას, იყო ე.წ. **"წამლის მაფია"** და ქართული ფარმაციის ის მამები, რომლებიც გაგნიძეს მათი ჯიბის კონკურენტებად მიიჩნევენ და თვლიან, რომ რაც უფრო მეტი პაციენტი მიმართავს სახალხო მკურნალს, მით უფრო დიდ შემოსავალს დაკარგავენ ისინი.

ალბათ გაიხსენებთ, იმდენად ძლიერია წამლის მაფიის პოლიტიკური გავლენა საქართველოში, რომ ახლადდანიშნულმა ჯანდაცვის მინისტრმა მათი მადის დასაკმაყოფილებლად რეცეპტის გამოწერაც კი კინაღამ ფასიანი გახადა, რამაც ფეხზე წამოაყენა მთელი ერი, მაგრამ არა პატივისცემის, არამედ

რისხვის გამო! უკვე ყველასთვის ნათელია, რომ საქართველოს ფარმაკომაფია არის დანაშაულებრივი სახელმწიფო ვერტიკალის ერთერთი მძლავრი მეტასტაზი.

მენტი) დომენტი გაგნიძის მიერ გამოგონებული წამლებისათვის მწვანე გზის მიცემის შემდეგ აფთიაქებიდან რამდენიმე ასეული უსარგებლოდ ქცეული ის პრეპარატი იქნება ამოსაღები, რაც დღეს სისხლის ფასად მიეყიდება მოსახლეობას. მაგრამ, მაინც ვერ დაიჭირა **"სიკვდილი, ვერც ვიწრო და ვერც კლდოვანმა გზამ"** და მკურნალმა უკვე მოიპოვა საერთო აღიარება და მალე იმედია, რომ მთელი მსოფლიო გამოიყენებს გაგნიძის მიერ სიკვდილის დამამარცხებელ პრეპარატს, რომლის სექმნას უშედეგოდ შეალია მსოფლიოს კლასიკურმა მედიცინამ საუკუნეობით შრომა. ყოველივე ეს კი იმის იმედს გვინერგავს, რომ მალე საქართველოს ეყოლება თავისი ნობელის პრემიის ლაურეატი!

ხეთა ნაყოფებს და მინდვრის ბალახებს, რასაც სახალხო (და, არც თუ იშვიათად – კლასიკურიც) მედიცინა იყენებს ადამიანთა მძიმე სნეულებებისაგან დასახსნელად, თავიანთი კანონები აქვთ. თუმცა, ადამიანებს შორის დამოკიდებულების წესები ბევრად უფრო რთულია, მაგრამ ისინიც განსაზღვრულ წესრიგზეა დაფუძნებული.

ბიჭიკო გაგნიძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ამ წამალს მან მაშინ მიგნო, როცა მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა – ჯერ კიდევ 1985 წელს ცნობილმა დასტაქარმა გელა მუხაშავრიამ უმძიმესი დიაგნოზი დაუსვა და შინ გაუშვა, რადგან მისი განკურნება შეუძლებლად მიაჩნდა.

გაგნიძეს მართლაც სიზმარში გამოეცხადა ადამიანი, რომელმაც ბალახეულზე მიანიშნა და ურჩია, რომ ამათი ნაყენი მიიღეო. ბიჭიკოც ასე მოიქცა და საბოლოოდ განიკურნა. შემდეგ კი ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ეს უებარი წამალი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა.

მაგრამ ამას წინ უძღოდა დიდი და საკმაოდ სახიფათო ექსპერიმენტი – პრეპარატის საბოლოო დახვეწამდე მისი გამოყენება საკუთარ თავზე. სამჯერ რეანიმაციაში მოხვდა, მაგრამ, სიზმარში გამოცხადებული ღმერთის წყალობით თავადაც გადარჩა და სხვაც ბევრი გადაარჩინა.

ერთადერთი მყარი არგუმენტი, რაც დღეს ოფიციალურ სამედიცინო წრეებს გააჩნიათ ბიჭიკო გაგნიძის ამ მართლაც გენიალური გამოგონების წინააღმდეგ, არის ის, რომ **"დღემდე მსოფლიო მედიცინამ ავთვისებიან სიმსივნეს ვერაფერი დაუპირისპირა და ეს უბრალო თელაველი არამედიკოსი კაცი ამდენს როგორ მოახერხებდაო"**.

მაგრამ, ხომ მოახერხა?

რაიმე უსიამოვნებაში რომ არ გავხვიო, ამიტომ არ ვაკონკრეტებ ცნობილი ქართველი პროფესორმედიკოსის ვინაობას, რომლის ძმას ყელზე ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა და უკვე გამაყუჩებლებზე უნდა გადაეყვანათ.

გაგნიძის პრეპარატის მესამე ინექციაზე მას ტკივილი საერთოდ გაუქრა, შემდეგ კი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა. იგი, თურმე, უკვე სუფრებზეც კი თამადობს! არ დამავიწყდება აღფრთოვანებული პროფესორის სიტყვები: **"ეს მართლაც სასწაულია, ბატონო როლანდ, ჩემი თვალით რომ არ მეხილა, არ დავიჯერებდიო"**.

ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატის სამედიცინო სფეროში ჩართვას ყველაზე აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ ის მედიკოსები, რომლებიც თურმე თავად ჩუმად იყენებდნენ მის პრეპარატს პროფოოლაქტიკის თვალსაზრისით, რაც მოგვიანებით გახდა ჩვენთვის ცნობილი.

მოსწრებულად ამბობენ რუსები – ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ, არც შენ უნდა ჩამოუშვა ხელები და დღემუდამ ციური მანანას მოლოდინში არ უნდა იდგე ზეცისაკენ სახეაპყრობილი...

არ არსებობს იმაზე ამაღლებული და ზეციური მადლით მოფენილი საქმე, ვიდრე დაავადებისაგან დათრგუნული ადამიანების გამოჯანმრთელება, მათი ფეხზე წამოყენებადა კვლავ ერისა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენება. განა ეს არ არის სამშობლოზე ფიქრი და ზრუნვა, მით უმეტეს, თუ სახალხო მკურნალი ამას აკეთებს როგორც ქველმოქმედი (მე თავად ვყოფილვარ იმის მოწმე, რომ მას არამც თუ წამალი მიუცია უსასყიდლოდ გაჭირვებული ადამიანებისათვის, არამედ ფულიც ხშირად უჩუქნია მათთვის) და არა პოლიტიკურ და ფინანსურ დივიდენდებს დახარბებული ადამიანი.

ზემოთხსენებულმა ტელეგადაცემამ ვერ შესძლო პასუხი გაეცა ყველა შეკითხვისათვის, მაგრამ მას რეფრენად გასდევდა იმ ადამიანების გამოძახილი, ვინც ბიჭიკო გაგნიძის მადლიანი მარჯვენის წყალობით მძიმე დაავადებას დაუსხლტა კლანჭებიდან და კვლავ საზოგადოების სრულუფლებიან წევრად იქცა. ისიც ფაქტი გახლდათ, რომ თვით სამედიცინო მამების მხრიდან იგრძნობოდა პოზიციის შერბილება, რაც იმის წინაპირობა გახლდათ, რომ ისინი თვალს უსწორებდნენ ჭეშმარიტებას!

არა და, ჩვენ თავის დროზე დიდ გამარჯვებად მიგვაჩნდა ის, რომ წამალი ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში კვლევაზე დააყენეს, ლიცენზიაც მისცეს, მაგრამ არა როგორც პრეპარატზე, არამედ როგორც ბიოსტომულატორზე.

მაშინ, როცა არავის უნდოდა შეესმინა ამ პრეპარატის ყოვლისშემძლეობა და ცინიკურად უყურებდნენ თვით დოკუმენტურ მტკიცებულებებსაც კი, ესეც საქმე იყო, მაგრამ არა ის, რაც უამრავ ჯანმრთელობაშერყეულ და მედიცინაზე რწმენადაკარგულ, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ ადამიანებს სჭირდებოდათ.

არაერთგზის გვითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: ბოლოს და ბოლოს, უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ **"დომენტოლმა"** და **"გაგენოლმა"** საბოლოოდ გაიმარჯვეს ანგარიშიან ოფიციოზზე!

იმედია, საქართველოს ხელისუფლება იზრუნებს იმაზე, რომ გაგნიძის პრეპარატებს გზა გაეხსნას საერთაშორისო არენაზე. ჯერ ერთი, ეს დიდ შემოსავალს მოუტანს საქართველოს ბიუჯეტს, და მეორეც, დადებითად იმოქმედებს ქვეყნის საკმაოდ შერყეულ იმიჯზე!

**როლანდ ჯალაღანია**

## „აფხაზეთის თოლიებმა" ენგური ვერ გადმოლახეს

გალის რაიონის სოფელ პირველ ოტობაიაში რამდენიმე წელია ფუნქციონირებს ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი **„აფხაზეთის თოლიები"** (ხელმძღვანელი ე. პატარიძე). მათ არაერთი კონცერტი ჩაუტარებიათ გალის, ოჩამჩირისა და სოხუმის ხალხით გაჭედილ დარბაზებში. მათ მიერ შესრულებულ ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს აღფრთოვანებაში მოუყვანიათ აფხაზები და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

ვერა და ვერ გადმოლახეს **„აფხაზეთის თოლიებმა"** მდინარე ენგური და ვერ ეღირსნენ კონცერტების ჩატარებას ზუგდიდსა და დანარჩენ რაიონებში. ვის არ მიმართეს თხოვნით, რომ მიეცათ მათთვის შესაძლებლობა, თავიანთი ოსტატობა ენგურსგაღმელებისთვისაც ეჩვენებინათ, მაგრამ მათთვის არავის ყურადღება არ მიუქცევია. არადა, საქართველოს სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებისგან მათ თანადგომა და დახმარება აუცილებლად სჭირდებათ.

თუ აფხაზები და რუსები უსმენენ და უყურებენ ქართველი პატარების შემოქმედებას, ჩვენ რა გვჭირს? რატომ უგულებელყოფენ და რატომ უკლავენ ამ პატარებს ქართულ სულისკვეთებას?

## ევროკავშირს ახალი კრიზისი ელის

მიუხედავად საუბრებისა იმაზე, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაძლეულია და მხოლოდ აღდგენის პროცესის დასრულებასღა ელის მსოფლიო, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კომისიამ გამოაქვეყნა მონაცემები ახალი რისკების შესახებ. ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, 2011 წელს ევროკავშირს კრიზისის ახალი ფაზა ელის და ეს ვარდნის განმეორებით ფაზაში შესვლას გულისხმობს. როგორც მოხსენებაში **„მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა და პერსპექტივები 2011 წელს"** წერია, მიუხედავად ბიუჯეტის უმკაცრესი ეკონომიისა, რომელთა შესაბამისი ზომები ნაწილობრივ მიღებულია, ნაწილობრივ კი – დაგეგმილი, ევროკავშირი შესაძლოა კვლავ ვარდნის სტადიაში აღმოჩნდეს. მთავარ რისკს საბრძნეთი, ირლანდია, პორტუგალია და ესპანეთი წარმოადგენენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტერ-მოყვარე ვერ გაგვერჩიოს ერთმანეთისაგან!..

*(საშინელი იუდეური წყევლა)*

უკვე მერამდენე წელიწადია საქართველოსა და რუსეთს მთელი მსოფლიო ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად მიიჩნევენ, გარდა რუსებისა და ქართველებისა, რადგან ამ ორი ქვეყნის ხელისუფალთა არც თუ თბილი ურთიერთდამოკიდებულება სრულიადაც არ ასახავს ორი ისტორიულად მოძმე ერის აზრს მშვიდობიან და მეგობრულ თანაცხოვრებაზე!

მაგრამ, როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როცა რუსეთის ხელისუფლება ღიად აცხადებს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკურ ლეშად (რაშიც მათ ჩვენც ვეთანხმებით) და უარს ამბობს მასთან ყოველგვარი პოლიტიკური დიალოგის წარმოებაზე? სააკაშვილი კი ჯიუტობს, და მიუხედავად ქართველი ხალხის მრისხანე პროტესტისა, მაინც არ აპირებს გადადგომას?

ამ შემთხვევაში ხომ კლასიკურ პოლიტიკურ ჩიხთან გვაქვს საქმე?

მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლებას მანიად ექცა ჩვენს ქვეყანაში რუსი ჯაშუშების მოძალება, რომელთა მთავარ მიზანს საქართველოს **"ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის დასუსტება და განადგურება"** წარმოადგენს! რომელი რუსი მიაყენებს იმხელა ვნებას საქართველოს სახელმწიფოებრიობას, რასაც **"ნაციონალები"** და მათი პირღიმილიანი ბელადი აყენებენ? საილუსტრაციოდ თუნდაც იმის შეხსენება დაგვჭირდება, რომ **"მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის" 2010 წლის შემაჯამებელი ავტორიტეტული დასკვნა"** 139 ქვეყანას შორის 93-ე ადგილს მიუჩენს საქართველოს და მას უსწრებენ თვით აფრიკის ჩამორჩენილი განვითარებადი ქვეყნები!

რა, ესეც რუსების ბრალია?

ჩვენი ბრალია, იმიტომ, რომ მასონური ძალების შეკვეთით სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ შეგნებულად გამოთიშა საქართველო პოსტსოციალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრციდან, ახლაი კი ვერაფერი შეგვთავაზა და თავიან-ფეხიანად კოლაფსში აღმოვჩნდით!

ასე რომ, შერქმნილი სიტუაციიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია – რუსეთის ხელისუფლება უნდა დაელაპარაკოს ქართველ ხალხს და არა მიხეილ სააკაშვილს, რომელთან საუბარი უკვე ქართველ ერსაც კი აღარ სურს! და რაც მთავარია, უნდა მოხდეს პოზიციების დაახლოება ქართველ და რუს ხალხს შორის, რომელიც გარკვეული ურთიერთდათმობების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. ჯერჯერობით კი გაგვაჩნია ფრიად არასახარბიელო სურათი – ორივე ქვეყნის სახელისუფლებო თუ არასამთავრობო სტრუქტურები ყველა სასიკვდილო ცოდვაში ადანაშაულებენ ერთმანეთს, რაც არამც თუ აახლოებს ერებს, არამედ კიდევ უფრო აშორებს მათ ერთმანეთს.

გასაგებია, რომ წყენის დავიწყება იოლი საქმე არ გახლავთ და ერთად ყოფნის წარსული პერიოდის მანძილზე გარკვეული არაკეთილსინდისიერი სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოღვაწეების მტრული ქმედებების შედეგად ქართველებმა და რუსებმა არაერთი წყენა მივაყენეთ ერთმანეთს. მაგრამ, ნუთუ იმდენად გაგვაბოროტა ღმერთმა, რომ მიტევების უნარი სავსებით დაგვაკარგვინა? რა შუაში ვარ მე, ერთი რიგითი ქართველი, თუ შევარდნაძემ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საბჭოთა კავშირს, ან თუ სააკაშვილმა შეურაცხყო პუტინი არაკორექტული, სახელმწიფოს მეთაურისათვის აშკარად შეუფერებელი გამოთქმებითა და საქციელით? ან რა შუაშია ერთი უბრალო რიგითი რუსი, თუ როდიონოვმა და შევარდნაძემ ერთობლივი ქმედებით დაარბიეს მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რასაც მსხვერპლი მოჰყვა, ან თუ, რომელიმე ტვინგადალესილმა რუსმა გენერალმა არაადექვატურად უპასუხა ქართულ სამხედრო პროვოკაციას სამაჩაბლოში საომარი ქმედებებისას?

რატომ უნდა დაისაჯონ და გულნატკენები დარჩნენ ის უბრალო რუსი და ქართველი მოქალაქეები, რომელთაც ერთმანეთი არ ეთმობათ, მაგრამ ერთმანეთთან კონტაქტს ერიდებიან იმ უბრალო მიზეზით, რომ მათ **"კრემლის"** ან **"საქართველოს"** აგენტები არ უწოდონ!

ამაზე მეტი აბსურდი ვინმეს სადმე გინახავთ?

როგორც კი ურთიერთწაკიდებით გამოწვეული ტკივილი მიგვიყუჩდება და ამ ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის შანსი გაჩნდება, მაშინვე გამოხტება ხოლმე რომელიმე არამკითხე პოლიტიკოსი ან სტრუქტურა, წამიერად დაძაბავს თვეობით და წლობით ნალოლიავებ დამშვიდებულ სიტუაციას და, უკვე მერამდენედ, თავიდან ეზიდებიან პოლიტიკის მწვერვალზე **"სიზიფეს ლოდს"** ქართველები და რუსები.

ჩვენც რომ დავიღალოთ და თავი ვანებოთ ამ ავადსახსენებელი პოლიტიკური **"სიზიფეს ლოდის"** ზიდვას, მერე რა ვქნათ: დავრჩეთ ერთმანეთის მტრებად?

ვის აძლევს ხელს ამგვარი სიტუაცია?

რუსს?

არა მგონია!

ქართველს?

არა მგონია!

ესე იგი, არსებობს მესამე ძალა, რომელსაც ხელს არ აძლევს ქართველებსა და რუსებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება და წარმატებით უახლოვდება საკუთარ მიზანს – სამუდამოდ დააშოროს ერთმანეთს ეს ორი ერი. ჩვენ კი, თუ, თუ ეს მესამე ძალა ვერ გამოვთვალეთ და ხელი არ შევუშალეთ, გამოდის, რომ საკმაოდ გონებაჩლუნგები ვყოფილვართ! დიდ ბოდიშს მოვუხდი ქართველებსაც და რუსებსაც, მაგრამ სხვა შეფასებას მე ვერ გავაკეთებ.

თუ რამ სიკეთეზე შეიძლება საუბარი, რახან ამ ორი ქვეყნის ხელისუფლება ერთმანეთს **"ემდურის"**, სასურველია, რომ სახელმწიფოთაშორის დიალოგს წარუძღვნენ რუსული და ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მეცნიერები, სპეციალისტები, ადამიანები, რომელთაც ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნიათ და ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მეგობრულ ურთიერთობებს. თორემ, მალე ორივე ქვეყანაში ერთმანეთს გაუცხოებული თაობა მოვა და მერე გინდათ რუსებსა და ქართველებს უსაუბრიათ ერთმანეთში და გინდათ ავსტრალიელ აბორიგენებს და კანადელ ინდიელებს...

საუბარს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ადამიანებს ერთმანეთისა გულით ესმით და არა მხოლოდ ყურით...

მე უკვე ვწერდი, თუ როგორ გაიცნეს ერთმანეთი ბაქოში გამართული წყალბურთელთა შეჯიბრების დროს, თბილისის ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტმა, ჩემმა ცხრამეტი წლის შვილიშვილმა (რომელმაც, ჩემდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ, რუსული ენა არ იცის) და მისმა მოსკოველმა თანატოლმა. მათი მეგობრობა დღესაც გრძელდება, მაგრამ ინტერნეტის მეშვეობით. როცა გაოცებულმა ვკითხე, შენ რუსული არ იცი და რა ენაზე ესაუბრებით ერთმანეთს-მეთქი, არანაკლები გაოცებით მომიგო:

– მერე რა, რომ რუსული არ ვიცი, ჩვენ ინგლისურ ენაზე ვსაუბრობთო!

ძალიან დამწყდა გული, მაგრამ საყვედური ვერ უთხარი, რადგან აქეთ დამადანაშაულებდა – გესწავლებინა რუსული ენა და ვისწავლიდიო. მართალიც იქნება (მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ ისე წაიყვანა საქმე, რომ რუსული ენა გინდა გცოდნია და გინდა არა – მაინც ვერაფერში გამოიყენებ, რუსებთან ურთიერთობა კი იმის საშიშროებას არ გამორიცხავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს **"კრემლის აგენტის"** იარლიყი მოგაკერონ) – ისიც ფაქტია, რომ ქართველი და რუსი ერების ურთიერთგაუცხოებაში ჩემი თაობის ადამიანების წვლილიც ძევს, რადგან თავის დროზე არ დავარისხეთ განგაშის ზარები. არ ავტეხეთ ხმაური იმის თაობაზე, რომ ასე ხელაღებით არ შეიძლება რუსი ერისა და რუსეთის სახელმწიფოს სახით იმ თანამდგომის დაკარგვა, რომელმაც გაქცია ერთერთ ძლიერ ინდუსტრიულ ცენტრად, ძნელბედობის ჟამს გაგიმთლიანა სამშობლო, შეგინარჩუნა კულტურა, **"ენა, მამული და სარწმუნეობა..."** რაც შეეხება ჩემს შვილიშვილს, მასზე გული მხოლოდ იმიტომ კი არ მწყდება, რომ რუსული ენა არ იცის, არამედ იმაზე, რომ დედანში ვერ წაიკითხავს პუშკინს, გოგოლს, ჩეხოვს, ტოლსტოის, დოსტოევსკის...

შეიძლება ამ ავტორთა ნაწარმოებები წაიკითხოს ინგლისურ ენაზე, მაგრამ მაშინ რუსულ ფენომენალურ უბრალოებას, რუსულ სიკეთეს, რუსულ ვაჟკაცობას ვერ ჩასწვდება, რადგან თარგმანი ვერასოდეს სრულფასოვნად ვერ გაიყოლებს დედნის სულისკვეთებას. მალე, ასევე არაფერი ეცოდინება რუს ყმაწვილს ქართულ უბრალოებაზე, ქართულ სიკეთესა და ქართულ ვაჟკაცობაზე (აღარაფერს ვამბობს ქართულ ღვინოსა და **"ბორჯომზე"**, რაც, ჩემის ღრმა რწმენით, მავანთა ასევე გაუაზრებელ პოლიტიკურ კაპრიზებს ემსხვერპლა).

ეს უკვე გაუცხოებაა, რაც არც ერთ მხარეს არ მოუტანს სიკეთეს!

ყველაფერზე ვისაუბრე, მაგრამ, ის მაინც ვერ დავადგინე, თუ ვის აძლევს ხელს ქართველი და რუსი ხალხის ამგვარი ურთიერთგაუცხოება. იქნებ ჩვენმა რუსმა მეგობრებმა და კოლეგებმა გაგვცენ ამ საკრამენტალურ შეკითხვაზე პასუხი.

ყველამ, ქართველმაც და რუსმაც, დიდმაც და პატარამაც უნდა ვიცოდეთ, რომ მიუხედავად ხელისუფალთა შორის არსებული სერიოზული განხეთქილებისა, ჯერ კიდევ არსებობს იმის შანსი, რომ რუსეთმა და საქართველომ საბოლოოდ არ აქციონ ზურგი ერთმანეთს!..

სწორედ ამიტომ, ჩვენ ახლა მხოლოდ ამ ხალხების დაახლოებაზე ზრუნვა გვმართებს და არა უსაფუძვლო ბრალდებების ერთმანეთისადმი წაყენება, რაც კიდევ უფრო აღრმავებს უფსკრულს ორ ისტორიულად მოძმე ერს შორის!

ჩვენ, რუსებიცა და ქართველებიც ბრძენი ერი ვართ და ისეთი რამ არ უნდა გავაკეთოთ, რომ მტერი ჩვენზე ვაცინოთ და გავახაროთ! რა, ცოტა ვაცინეთ და ვახარხარეთ ჩვენი მტრები და ავის მსურველები გაეროს სხდომებზე თუ ევროკავშირის ბიუროებზე ერთმანეთისადმი უაზრო დაპირისპირებითა და ლაფის შესხმით?

იქნებ, კმარა ერთმანეთისათვის ქვების დაშენა, რომელიც არც რიგით რუსს მოსწონს და არც რიგით ქართველს?

ან იქნებ ის ამიხსნას ვინმემ, თუ როდის და რის გამო გავხდით ერთმანეთისათვის დაუძინებელი მტრები? ნუთუ მხოლოდ ხელისუფალთა ნებამ უნდა გადაწყვიტოს როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან მრავალმილიონიან სახელმწიფოებს?

და თუ ეს ასეა, მაშინ დროს ნუღარ დავკარგავთ ხალხის ნების უზენაესობასა და დემოკრატიაზე ლაყბობით! მაშინ, დაველოდოთ, თუ როდის ინებებს უფალი, რომ მოგვივლინოს ბრძენი და კაცთმოყვარე მმართველები, რადგან მიზანთროპებით და პოლიტიკური კაცუნებით (ფიზიკურ მონაცემებს მნიშვნელობა არა აქვს) შორს ვერ წავალთ!

**როლანდ ჯალაღანია,**

> ### "ციტატა-შეხსენება
>
> დასავლური ფენომენი მიუღებელია მართლმადიდებლური შეგნებისათვის, რომელიც ეფუძვნებაჰუმანიზმს, ხელგაშლილობას, მგრძნობიარობის რაციონალურზე სიჭარბეს, კოლექტივიზმს, კაცთმოყვარეობას, ცხოვრებასა და ბრძოლას მხოლოდ საზოგადოებაში, სხვებთან ერთად. მეტიც, პროტესტანტულ ფსიქოლოგიას მკვეთრად ეწინააღმდეგება კათოლიკური შეგნებაც, კათოლიკური მსოფლმხედველობაც კი. ზუსტად ამის გამო კათოლიკური ხალხები "ცხოვრების დასავლური წესის" ათვისებაში "ჩამორჩებიან": იტალიელები, ესპანელები დასავლეთში ამ თვალსაზრისით "ჩამორჩენილ" ერებად ითვლებიან, ფრანგები აქტიურად ეწინააღმდეგებიან საკუთარი ქვეყნის ამერიკანიზაციას, ირლანდიელები ომობენ ინგლისელებთან. ამიტომ თეზისი იმის შესახებ, რომ ჩვენი დასავლეთთან ერთობის ფაქტორს "საერთო რელიგია" წარმოადგენს, უსაფუძვლოა. აქედან კი გამომდინარეობს მცდარი აზრი თითქოსდა საერთო მენტალიტეტის შესახებ. ქართული საზოგადოება ტრადიციული საზოგადოებაა.
>
> ვიმეორებ, თვისებები, რომელიც პროტესტანტულ-ინდუსტრიულ საზოგადოებას ახასიათებს, ჩვენთვის უცხოა და კატეგორიულად მიუღებელი."
>
> ალექსანდრე ჯაჯია,
> 1997 წლის ივნისი".

### ვედირთუნ ეფერ დღა

ელახიჭი გელესარკ,
დუდი გეშაჭოფუ ბჟაქ,
ქიანერობაშ გვერიდს
ამდღარ დღა
იჭყაფუ თაქ...
მინშე იჭყაფ ჭიროთით
მონშე ხოლო ხიოლით,
მუჭო გოჭყაფილ რენ თეში
ოროიან რსიოლით...
ელახიჭი გელესარკ,
დუდი გეშაჭოფუ ბჟაქ,
ვაგგოჭყორდან, დღას ვედირთუნ,
ვედირთუნ ფერ
დღა იჭყაფ...

### ჯგირო ქორდა

(ნანწკუმა წაკინდებულო ნაჭარა)
ჯგირო ქორდა, ჯგირო ქორდა,
ჯგირო ქორდა, ვაგოლოქ და...
ჩქინი ჭიჭე სქვამ ყუდესი
სი ქორდა დო მა ვავორდა ...
ანწიანიშ წიმი ჩქიმო
ვეყი ხიოლი დო ბირა,
იმენდ მიღუ, კალკალეშა,
სქუალეფსი ქუმოძირა...
ჯგირო ქორდა, ჯგირო ქორდა,
ვამოკოქ დო ვაგოკოდა,
მა სი, ხვალე ართის რთხულე:
– ბოშეფ ჩქინი ართო მობრდათ...
ჯგირო ქორდა, ჯგირო ქორდა,
– ირიათო ჯგირო ქორდა...

### როკი ბაბუ

ჩქიმ ფრიმულამ როკი ბაბუს
ეჩ დო ვითი მოთა არდუ,
ოთხონეჩის მიკაჩირთ დო
ყოროფილშა მირაბადუ...
მოგოთანეთ გემნოტყობუნს:
– "ჭკვერას ქორდა",– მირაგადუ...
– ფარა ქომუ, ვარა იდფელს
ქოითხობელა – ურაგადუქ...
– "წიე, სი მუს ოცირქინა",
გოძიცელო მირაგადუ,
– "დადის მუთუნ ვაუწუა დო
ირფელ სქანეთ მოკო, ბაბუ"...

### ნეძიშ ხიმფორეფიცალო

ზეფირს გეპუნქ მუნაფილი,
ომარგალეშ მომინჯურო,
კოჩიშ მონძე ველამირე
გური ველაძუნა შურო...
ანდა მიყორდ, ანდა მიყორთ,
დაცალო დო ჯიმაცალო,
გემათუთას ქუდოგიცენთ
ნეძიშ ხიმფორეფიცალო...

### ციზი

ციზის ცუნდიქ ქუმაყუნ,
მუნაფემქი გიკინეს,
ენაულა ქამელიენქ
დუდი გემწაციკინეს...
ოჭმარეშე გოცქვირონდეს,
ბჟაქ გოტიბუნ, გოპირეს...
ირშიალნა დღაშ დო სერით
თე ორთაში ობირეს...

### მარდის მუგოშინა

ღორონთ, მუშენ გომორჩქინი,
მოკოდუო მა გორჩქინა?..
მარა იშენ გორჩქინაშე,
იშენ მარდის მუგოშინა...

**რამაზ კუპრა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ფული ჩვენი ჯიბიდან ამოიღეს

**ნოდარ ჯავახიშვილი: სააკაშვილმა 3 წელიწადში 60 მილიონი დახარჯა იმისათვის, რომ მსოფლიო საქართველოში მომხდარი სასწაულებით მოატყუოს!**

*რაში უნდა იხარჯებოდეს და რაში იხარჯება საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები იმ დროს, როცა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება დღითი დღე მძიმდება, საკვებ პროდუქტებზე ფასები კატასტროფულად მატულობს და ტელევიზიები ყოველდღიურად გვიბურღავენ ტვინს, მსოფლიოში სასურსათო კრიზისია მოსალოდნელიო. აღნიშნულის შესახებ "ეროვნული ფორუმის" წარმომადგენელი, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი გვესაუბრება.*

**— ბატონო ნოდარ, ყოველდღე სატელევიზიო სიუჟეტები იწყება იმით, რომ მსოფლიოში საკვებ პროდუქტებზე ფასები იზრდება და სასურსათო კრიზისია მოსალოდნელი. რა ელის ასეთ ვითარებაში ჩვენს ეკონომიკას?**

— ის, რომ მსოფლიოში ფასები ასე კატასტროფულად იზრდება, გადაჭარბებულია, მაგრამ მე მიჩნდება ასეთი შეკითხვა, რომელზეც ჩვენი ტელევიზიების ჟურნალისტებს ჯერ არ უსაუბრიათ. თუ მსოფლიოში სასურსათო კრიზისია მოსალოდნელი, რას აკეთებს ჩვენი მთავრობა იმისთვის, რომ მოსახლეობას ცხოვრება შეუმსუბუქოს? **ქვეყანა, რომელიც მოსახლეობას მისთვის საჭირო მარცვლეულის მხოლოდ 2,5 პროცენტით უზრუნველყოფს, მხოლოდ 30 პროცენტით უკმაყოფილებს მოთხოვნას ხორცპროდუქტებზე, ბუნებრივია, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება! არაერთხელ მითქვამს, ჩვენ საკვები პროდუქტების 75 პროცენტს ვყიდულობთ.**

სააკაშვილის ხელისუფლება შეგნებულად მიდის სოციალური მდგომარეობის დამძიმებაზე. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. **პირველი:** სააკაშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ ის ადგას სინგაპურიზაციის გზას, ანუ ქვეყანამ არაფერი უნდა აწარმოოს და გახდეს მხოლოდ მომხმარებელი. **მეორე:** ქვეყანაში მოსახლეობა უნდა შემცირდეს. **მესამე:** ჩვენგან უნდა ჩამოყალიბდეს მოსამსახურე ფენა (სოციალურად ძლიერი მოსახლეობისაგან ეს არ გამოვა). არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც, ჩემი აზრით, უმთავრესია: **სააკაშვილმა დაინახა, რომ ჩვენს მოსახლეობას არა აქვს ადეკვატური რეაქცია. რაც უფრო გვჩაგრავს, მით უფრო თავდაღუნულები ვართ და მით უფრო ნაკლებია ჩვენში ღირსებისა და ყოფიერებისათვის ბრძოლის მუხტი!!!**

მე მაქვს დასაბუთებული პასუხი შეკითხვაზე, რას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება იმ დროს, როცა, მათივე თქმით, მსოფლიოში კრიზისია მოსალოდნელი. ამ დროს ჩვენი ხელისუფლება ხალხის ჯიბიდან ამოღებულ ასეულობით მილიონ ლარს საკუთარი დროსტარებისა და პიარკამპანიებისთვის ხარჯავს.

**— თქვენ შეისწავლეთ პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გახარჯული თანხები. საერთოდ, რისთვის არსებობს ასეთი ფონდები და რაში დაიხარჯა გასულ წელს ამ ფონდების 100-მილიონიანი ბიუჯეტი?**

— პირდაპირ გეტყვით, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები კატასტროფულად უყაირათოდ, მეტიც — დანაშაულებრივად იხარჯება!

ასეთი ფონდები არსებობს ყველა ქვეყანაში, ისინი განკუთვნილია სტიქიური უბედურებების დროს მოსახლეობის დასახმარებლად და სხვა ისეთი ხარჯებისათვის, რომელიც მოულოდნელი იყო და რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტით არ მოხდა. ასეთი ფონდი არსებობდა შევარდნაძის დროსაც და მაშინ საკანონმდებლო დონეზე იყო გაწერილი, თუ რაში შეიძლებოდა დახარჯულიყო ეს თანხა. ჩვენმა მთავრობამ საკანონმდებლო ჩანაწერი გააუქმა და დღეს აღნიშნული ფონდები საკანონმდებლო დონეზე გახდა მათი **"უპრაგონო"** მოხმარების წყარო. პრეზიდენტს და მთავრობას ამ ფონდების სახსრების დახარჯვისას არანაირი შეზღუდვა არა აქვთ. ანუ, როცა პრეზიდენტი რაღაც ხარჯს ეწევა, რომელიც არ არის საზოგადოებრივად აუცილებელი ხარჯი, მას იურიდიულად პასუხს ვერ მოსთხოვ, იმიტომ, რომ გაუქმებულია ყველანაირი შეზღუდვა.

დავიწყოთ იმით, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებში სულ არის 110 მილიონი ლარი. აქედან 55 მილიონი ლარი პრეზიდენტის ფონდშია და 55 მილიონი ლარი — მთავრობის ფონდში. ეს არის ხალხის ჯიბიდან ამოღებული ფული, ანუ ჩვენი ფული. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა 2010 წლის 9 თვის ხარჯები. ამ 110 მილიონი ლარიდან 9 თვეში დახარჯულია დაახლოებით 90 მილიონი ლარი. მათ შორის 19,5 მილიონი ლარი გადარიცხულია უშიშროების საბჭოსათვის. თავდაპირველად მინდა, სწორედ ამაზე ვისაუბრო.

ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია, თუ რა მიზნებისთვის გადაირიცხა უშიშროების საბჭოში 20 მილიონ ლარამდე და რაში დაიხარჯა ეს თანხა, მაგრამ ყველა ამ ხარჯს ადევს **"გრიფით საიდუმლო"**. აქვე გეტყვით, რომ უშიშროების საბჭოში 20 მილიონი ლარი მხოლოდ 2010 წელს არ გადარიცხულა. ბოლო სამი წლის განმავლობაში გადარიცხულია 60 მილიონზე მეტი, მაშინ, როცა ამ სამ წელიწადში უშიშროების საბჭოს ოფიციალური ბიუჯეტი დაახლოებით 3 მილიონი ლარია. როცა 3-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე სტრუქტურას პრეზიდენტი ურიცხავს 60 მილიონს, ეს ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ იქ მიდის ხარჯები, რომლებიც არ შეიძლება საზოგადოებისათვის იყო ცნობილი. თანაც თანხა ერთბაშად კი არ არის გადარიცხული, არამედ ირიცხება თითქმის ყოველთვიურად, ანუ ვიღაცასთან რაღაცის მომსახურეობაზე, რომელიც არ შეიძლება საზოგადოებისთვის ცნობილი იყოს. ანუ სათანადო ხელშეკრულებაა გაფორმებული და ეს ვიღაცა იღებს გასამრჯელოს.

**— უშიშროების საბჭო არ არის ღია სტრუქტურა... ხომ შეიძლება, რომ ეს ხარჯები ქვეყნის უსაფრთხოებისათვის იყოს საჭირო?**

— ქვეყნის უსაფრთხოებას ეს ხარჯები არანაირად არ ეხება, იმიტომ, რომ უშიშროების საბჭო არის მხოლოდ საკონსულტაციო ორგანო, რომელსაც არანაირი შესყიდვების უფლება არა აქვს. მე მივმართე პარლამენტის ნდობის ჯგუფს, რომ მათ შეესწავლათ ეს ხარჯები და თუ დარწმუნდებოდნენ, რომ მართლაც ქვეყნის ინტერესებისთვის გაღებული ხარჯია, დაეტოვებინათ საიდუმლოდ. **მე ვამბობ, რომ ეს თანხა დახარჯულია სააკაშვილის პიარკამპანიისათვის, ეს თანხა დახარჯულია მსოფლიო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად. მაქვს დიდი ეჭვი, რომ უშიშროების საბჭოს საიდუმლო გრიფით სააკაშვილი ყიდულობს მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებს, რათა იქ დაიბეჭდოს მისი ავადმყოფური შეფასებები და ამით მოტყუვდეს მთელი მსოფლიო.** ხომ ვხედავთ, რომ მთელი მსოფლიო მართლაც მოტყუებულია? ბალტიისპირელები ფიქრობენ, რომ საქართველო აყვავებულია. მოლდოველები ჩამოვიდნენ და გვითხრეს, გვასწავლეთ, როგორ ახდენთ ამ სასწაულებსოო. მათ ერთი დღეც რომ გაატარონ ჩვენნაირ რიგით ოჯახთან ერთად, მიხვდებიან, რა **"სასწაულებს"** ახდენს ეს ხელისუფლება!

მოკლედ, სააკაშვილმა 3 წელიწადში 60 მილიონი დახარჯა იმისათვის, რომ მსოფლიო საქართველოში მომხდარი სასწაულებით მოატყუოს. ახლა ვნახოთ, თუ რაში დაიხარჯა დანარჩენი 70 მილიონი ლარი.

დანარჩენი ხარჯები შედარებით უფრო ღიაა, ანუ მითითებულია დანიშნულება. აქაც შეფასება ერთმნიშვნელოვანია: **პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი არის სააკაშვილის პირადი შს, რასაც უნდა, იმას აკეთებს და არცერთი მისი ქმედება მიმართული არ არის ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ!!!**

2010 წლის 9 თვეში 11,5 მილიონი ლარია დახარჯული კონცერტებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებისათვის. მინდა, ხაზი გავუსვა ერთ რამეს. ეს 11,5 მილიონი ლარი დახარჯულია მხოლოდ პრეზიდენტის და მთავრობის ფონდიდან. ამას გარდა, კონცერტებს აფინანსებს კულტურის სამინისტრო, მერია, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. საბოლოო ჯამში ეს გამოდის უზარმაზარი თანხა. ახლა კონკრეტულად გეტყვით: **კრის დე ბურის კონცერტი პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსდა 1 მილიონ 700 ატასი ლარით, პლასიდო დომინგოს კონცერტი — 700 ათასი ლარით, მაია ქეის კონცერტი — 371 ათასი ლარით.** ქართველ საზოგადოებას მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო: ავსტრალია არის უნიკალური ქვეყანა, ცხოვრების დონის უმაღლესი ინდექსით. ეს არის ქვეყანა, რომელსაც საქართველოსთან შედარებით 80-ჯერ მეტი აქვს მთლიანი შიდა პროდუქტი და 65-ჯერ მეტი — ბიუჯეტი. ავსტრალიის მთავრობამ 5 მილიონი დახარჯა კონცერტზე და მთელი მოსახლეობა ფეხზე დადგა, როგორ ბედავთ, რომ ჩვენ ფულს ხარჯავთ კონცერტზეო? ავსტრალიის ხელისუფლება ამის მერე ვეღარ გაბედავს, რომ მოსახლეობას ე.წ. უფასო კონცერტები გაუმართოს.

**— ანუ, ეს კონცერტები სულაც არ არის უფასო...**

— რასაკვირველია. ეს კონცერტები უფასოა მხოლოდ იმ რამდენიმე ათასი უპასუხისმგებლო ახალგაზრდისათვის, რომელიც კონცერტზე მიდის. თუ რატომ ვუწოდებ უპასუხისმგებლოს ამ ახალგაზრდებს, ახლავე განვმარტავ: როცა ჩვენს ფულს შენი ერთი გართობისათვის ხარჯავ ისე, რომ მე არც მეკითხები, ამას სწორედ უპასუხისმგებლობა ჰქვია. მართალია, ამ ფულს მთავრობა ხარჯავს, მაგრამ ის ხომ შენთვის ხარჯავს და შენ რომ არ მიხვიდე იქ, ვერ დახარჯავს!

**ამ კონცერტზე გასართობად რომ მიდიხარ, უნდა წარმოიდგინო, რომ ეს ფული წაართვეს შენს მამას, დედას, ბებიას, ბაბუას, ისე, რომ არ უკითხავთ, კონცერტი ურჩევნია თუ ლუკმა-პური.**

ეს არის ჩვენი სისხლით და ხორცით შევსებული ბიუჯეტი, რომელსაც ხარჯავენ ე.წ. უფასო კონცერტებზე. ხომ გეუბნებით, ავსტრალიის მოსახლეობამ ლამის მთავრობა გადააგდო ამის გამო. თუ ეს კონცერტები უფასოა, მაშინ სააკაშვილმა თავისი ხელფასიდან და თავისი ბაბუის მონაგარიდან გადაიხადოს თანხა!!!

**— რაშია დახარჯული სხვა თანხები?**

— 733 ათასი ლარია გადახდილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი ღონისძიების მოსაწყობად ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს ოპერის თეატრში. ერთი მითხარით, რისთვის იყო ეს საჭირო? ნორვეგიელი მოსახლეობა სიხარულით არის გადარეული საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით? ნორვეგიელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საერთოდ არ იცის, სად არის საქართველო. რა, ვერ დავეტიეთ ქართველები საქართველოში, რომ აქ აღვნიშნოთ ჩვენი დამოუკიდებლობის დღე?

ან რატომ მაინცდამაინც ნორვეგიაში და ოსლოში? უამრავი ქალაქია მსოფლიოში არანაკლებ ლამაზი და ბარემ, მსოფლიო დღესასწაული მოგვეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. მითხარით, რა სიკეთე გვექნება აქედან, გარდა იმისა, რომ სააკაშვილი წავა და გაერთობა იქ? რომელი ქვეყანა აღნიშნავს სხვა ქვეყანაში ასე მასშტაბურად საკუთარი დამოუკიდებლობის დღეს? ჩვენზე ბევრად ძლიერი ქვეყნები შემოიფარგლებიან იმით, რომ საელჩოში მართავენ წვეულებებს.

2 მილიონ 200 ათასი ლარია დახარჯული ანაკლია-განმუხურში ჩატარებულ ღონისძიებებზე. მათ შორის, ამ ფულით მიიღეს ბელორუსი ახალგაზრდების 7 ნაკადი, სომეხი, პოლონელი და მოლდოველი ახალგაზრდების 2 ნაკადი. არ ვიცი, ეს ფული იმათი დროსტარებისთვის დაიხარჯა, თუ სააკაშვილის დროსტარებისთვის, მაგრამ ჩვენ დღეს ამისთვის გვცალია, როცა ხალხი პურს ვერ ყიდულობს?

6,3 მილიონი ლარია დახარჯული ტურიზმის განვითარებისათვის. მათ შორის 1.150.000 ლარი — სარეკლამო რგოლებისა და კლიპების განსათავსებლად ამა თუ იმ ქვეყნის სატელევიზიო არხებზე. აქედან, მილიონზე მეტია ჩარიცხული უკრაინის ტელეარხებისათვის. **რეალურად, ეს მილიონი გადახდილია იმისათვის, რომ სააკაშვილისთვის უკრაინის ტელეარხები გახდა საკუთარი ტელეარხებივით და კვირაში ერთხელ გვმოძღვრავს იქიდან.** ის ამაში იხდის ფულს, თორემ რომელი ტურისტული პოტენციალის რეკლამირებაზეა ლაპარაკი?

**საერთოდ, რა ტურიზმზეა ლაპარაკი ქვეყანაში, რომელიც პესტიციდებით გაჟღენთილი და გენმოდიფიცირებული პროდუქციით კვებავს მოსახლეობას? დღეს საქართველოში ტურიზმზე საუბარი არის გაუგებარი, აბსოლუტურად უსაფუძვლო ცნება.**

იცით, მარაზმი სადამდე მიდის? პრეზიდენტს დაფინანსებული აქვს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანის შესახებ გადაღებული კლიპი. სხვა ქვეყნის დედაქალაქს შენ რატომ უწევ რეკლამირებას, გამააგებინე ერთი! საუბარია 34.000 ლარზე. მსოფლიოში ვერ ნახავთ ამისთანა რამეს, რომ რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი საკუთარი ჯიბიდან იხდიდეს ფულს სხვა, მას ათჯერ უფრო ძლიერი ქვეყნის დედაქალაქის რეკლამირებისათვის.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 450.000 ლარია გადარიცხული სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ანგარიშზე. მიზანი არ გაინტერესებთ? სიტყვასიტყვით წერია: **"დაკისრებული ამოცანების შეუფერხებელი შესრულებისათვის"**. კი მაგრამ, რისთვის აქვს ამ სააგენტოს 5,5 მილიონიანი ბიუჯეტი? თანაც, ეს 450.000 ლარი 24 თებერვალს არის გადარიცხული, ანუ მაშინ, როცა სააგენტოს მთელი ბიუჯეტი ჯერ კიდევ დასახარჯი აქვს. ეს ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტმა ამ სააგენტოს რაღაც ისეთი დავალება მისცა, რომლის შესრულება მის ფუნქციაში არ შედიოდა და ამიტომ ბიუჯეტით არ იყო გათვალისწინებული.

ანალოგიური საბაბით, ანუ **"დაკისრებული ამოცანების ჯეროვანი და შეუფერხებელი შესრულებისათვის"** 104.000 ლარი გამოეყო პარლამენტის ანტიკრიზისულ საბჭოს, რომლის ხელმძღვანელიც **გია თორთლაძე** გახლავთ. პირადად ჩემთვის ეს სრულიად გასაგებია, **გია თორთლაძე მართლაც ჯეროვნად ასრულებს პრეზიდენტის მიერ მისთვის დაკისრებულ ამოცანებს, რომელიც ქართველი ხალხის სასარგებლოდ ნამდვილად არის მიმართული. შეიძლება ითქვას პირიქითაც, გია თორთლაძე არ მოღვაწეობს ქართველი ხალხის სასარგებლოდ და პრეზიდენტი ამას ჯეროვნად უფასებს, თორემ რა გააკეთა თორთლაძემ იმისთანა, რომ პრეზიდენტს მისი საბჭოსათვის დამატებით 104.000 ლარი ჩაერიცხა?**

ანალოგიური მუხლით 234.000 ლარი არის გამოყოფილი **აშშ**-ში საქართველოს საელჩოსთვის. 35.000 ლარი გადარიცხულია გერმანიაში საქართველოს საელჩოსათვის. ეს უკანასკნელი ძალიან საინტერესოა. გასული წლის 27 იანვრიდან მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის ფონდიდან პირადად აფინანსებს გერმანიის საელჩოში ვიღაც შტატგარეშე მუშაკის ხელფასს. ამისთვის სამჯერ არის თანხა გადარიცხული, რაც საერთო ჯამში 35.000 ლარს შეადგენს. გამაგებინეთ, ვინ არის ეს პიროვნება ამისთანა, რომ მან არ შეიძლება, საელჩოდან მიიღოს ხელფასი, როგორც ჩვეულებრივმა მუშაკმა? ხომ გაჩნდება ეჭვი? და საით წავა ეს ეჭვები, როცა ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია? რა, თავის საყვარელს ინახავს ის გერმანიაში? თანაც წლის დასაწყისშია ეს ხელფასი დანიშნული და რატომ არ ჩასვეს საელჩოს ბიუჯეტში?

გაუგებარია, რატომ არ შეიძლება, ბიუჯეტში ჩაისვას და სახელმწიფოსგან დაფინანსდეს სახელმწიფო ჯილდოები და პრემიები? წესით, ხელისუფლებამ წინასწარ უნდა იცოდეს, სახელმწიფო პრემიის რამდენი ლაურეატი ეყოლება და რა თანხა ექნება გადასახდელი. რატომ უნდა იხდიდეს ფულს სააკაშვილი პირადი ფონდიდან? ეს რას ნიშნავს, იცით? **სააკაშვილი გეუბნება, შენ სახელმწიფო კი არ გაჯილდოებს, პირადად მე გაჯილდოებ ჩემი ჯიბიდანო. ამას აკეთებს იმისთვის, რომ პირადად იყო მისადმი ვალდებული. არადა, ეს სახელმწიფო აღიარებაა და არა პრეზიდენტის ხუშტური.**

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს, რომელსაც 41 მილიონი აქვს წლიური ბიუჯეტი, მათ შორის, 7,5 მილიონი საქონლისა და მომსახურეობის შესყიდვაზე, კიდევ 400.000 ლარი აქვს მიღებული პრეზიდენტის ფონდიდან საქონლის და მომსახურეობის შესაძენად. ეს თანხა ჩაერიცხა გასული წლის იანვარში, როცა მთელი წლის ბიუჯეტი ჯერ ასათვისებელი იყო, და მერე კიდევ დამატებით ორჯერ ჩაერ-

გაგრძელება მე-12 გვ.

# მეფეთმეფის ღვთაებრივი დიდება



8 თებერვალი წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. ამ დღეს ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში ერთხელ კიდევ გაცოცხლდება "საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ოვსეთიდან არაგანამდე", "საყდარი დავითიანი" და "სხვად ათინად" აღმოცენებული გელათის ბრწყინვალება. ამ დღეს ჩვენს ყურთასმენას კვლავ შეარხევს მწარე სინანულით აღსავსე სულიერი კათარზისის აღმძვრელი უკვდავი საგალობელი, რომელიც მრავალ ჩვენგანს დააფიქრებს წუთისოფლის იდუმალ ბედისწერაზე.

**"ჟამი რაი წულილთა და ჰმელთა**
**აღმოფშვინვაი წარმოდგეს,**
**ზარი მეფობისი წარჰდეს**
**და დიდებაი დაშრტეს,**
**შუებაი უმქ იქმნნენ,**
**ყუავილოვნებაი დაჭნეს,**
**სხუამან მიიღოს სკიპტრაი,**
**სხუასა შეუდგნენ სპანი,**
**მაშინ შემიწყალე, მსაჯულო**
**ჩემო!"...**

ძლევამოსილი მეფის ეს სიტყვები მთელ ეპოქას იტევს. **"გალობანის"** ავტორი აქ უკვე სრულიად ახალი ზნეობრივი კულტურის გამომხატველია. როგორც ჩვენი ისტორიოგრაფები აღნიშნავენ, დავით მეფემ შეძლო შეეცვალა ტრადიციული ბრუნვა ქართველთა ბედისწერისა, შემოატრიალა **"მამულისა ჩვეულებისამებრ სვლა"**, იოანე საბანისძისეული ჭირთა თმენის ფილოსოფია... **"არცა სცა ძილი თუალთა, არცა რული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვისთა. არა მიდრკს გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცთასა, არცა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა – სიღოდათა, და არათურთითა არარა ხორციელთა შეაკრა გონება"** – ასეთი იყო ამ ახალი ეპოქის შემომქმედი, – სიბრძნითა და უსაზღვრო ენერგიით აღსავსე პატრონი თავისი ქვეყნისა.

დავით აღმაშენებელმა კატეგორიულად უარყო პასიური მჭვრეტელის როლი, იგი არასოდეს დალოდებია **"ისტორიის წყალობას"**, არასოდეს ჩამდგარა **"მდევრის"** მდგომარეობაში. მან უარი თქვა ეროვნული ხსნის ტრადიციული გზის გაგრძელებაზე, არ ისურვა დრო და ენერგია დაეხარჯა ყოვლისშემძლე მოკავშირეების ძებნაზე. მან ორიენტაცია აიღო თვით ქართველთა ერთიანობაზე, ქართველთა რეალური პოტენციალის სრულ გამოვლენაზე. დავითმა შეაერთა ქართველობა და იგი ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლ ძალად აქცია. შეერთებული **"ნათესავი ქართველთა"** კი საერთო-კავკასიური იმპერიის ბირთვად ჩამოაყალიბა. დიახ! არ ეძებდა დახმარებას უცხოეთში, არ სურდა სხვისი მფარველობის ქვეშ ყოფნა! მისი მეფობის დროს ქართველმა ერმა თავად შესძლო თავისი ბედის მართვა. ამიტომაც იყო, რომ დავითი გადაიქცა იმ მმართველად, **"რომლისა აჩრდილსა შეკრებილ იყვნენ ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთის და ყივჩაღეთისა, სომხეთისა და სპარსეთისანი"...**

აქ ნახსენები **"ფრანგეთისანი"** ევროპელ ჯვაროსნებს აღნიშნავს. საგულისხმოა, რომ თვით ჯვაროსნული ლაშქრობის მოთავენი დავითზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და ამას თავისი რეალური საფუძველი ჰქონდა.

მაგალითად, ზურაბ ავალიშვილი უაღრესად საინტერესო ფაქტებს მოგვითხრობს ქართულ-ჯვაროსნულ ურთიერთობათა შესახებ. მასვე მოჰყავს დასავლეთში ფართოდ გავრცელებული ლეგენდა **"მეფე-მღვდელმთავარ იოანეზე"**. ეს ლეგენდა მოგვითხრობს სპარსეთისა და სომხეთის მეზობლად მცხოვრებ მეფე-ხუცეს იოანეზე, რომელიც თავს დაესხა სპარსელთა და მიდიელთა მეფეებს და დაიპყრო მათი სამფლობელოს დედაქალაქი ეკბატანი. ამის შემდეგ გამარჯვებულმა იოანემ ჯვაროსანთა დახმარება გადაწყვიტა და იერუსალიმის გამოხსნის მიზნით ტიგროსს მიადგა. ხანგრძლივი წინსვლის შემდეგ, გემების უქონლობის გამო, მეფე-ხუცესი იძულებული გამხდარა უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ მის ლაშქრობას მაინც დიდი ზეგავლენა მოუხდენია ჯვაროსან მებრძოლთა საომარ შემართებაზე.

დღეისათვის ისტორიოგრაფიაში სადავო აღარ არის, რომ ლეგენდაში მოხსენიებული მეფე-ხუცესი დავით აღმაშენებელია. სხვათა შორის, აქ კარგად იგრძნობა დიდგორის გამარჯვების გამოძახილიც. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლათინურ ენაზე შედგენილ XII საუკუნის ერთ-ერთ ქრონიკაში პირდაპირაა აღნიშნული: **"მთელ საქრისტიანოში გავრცელდა ხმა, რომ მეფე დავითი, იოანე პრესვიტერად სახელდებული, აურაცხელი ჯარით დაიძრა ინდოეთიდან და უკვე დაიპყრო მიდია და სპარსეთიო"...**

ეს დავითის ძლევამოსილების მსოფლიო გამოძახილია, ახალი საქართველოს სიცოცხლისუნარიანობისა და დიდი შინაგანი ენერგიის დამადასტურებელი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია.

მით უფრო მრავლისმეტყველია, რომ სწორედ მან, დავით აღმაშენებელმა დაგვიტოვა ღრმა სინანულის გამომხატველი სულისშემძვრელი თვითგვემით აღსავსე საგალობლები.

**"მხეცთაგან შეზავებულსა**
**მხეცსა ვემსგავსე".**
**"ბილწთა მონებად მივჰყიდე**
**თავი".**
**"ვაცოდე ერი ჩემი".**
**"ბოროტად გადავხედე**
**საზღვართა".**
**"ცრემლნი ქურივთანი და**
**ობოლთა ტირილი არა**
**შევიწყალე".**
**"ვძლავრე საწოლსა ჩემსა"...**

**"ძრწოლით კითხულობ ამ დაუნდობელ თვითგვემას და გეუფლება გრძნობა განსაცვიფრებელი: რა სიმაღლეზე უნდა იყოს დიდი სახელმწიფოს, საერთო-კავკასიური იმპერიის აღმაშენებელი, რომ ასე უმოწყალოდ მოექცეს თავს. არა დიდების მოთხოვნა, არა ძეგლი, არა პირამიდა და მავზოლეუმი, არამედ ცდა უკანასკნელი, რომ საშინელი სამსჯავროს წინაშე, იმქვეყნიერად თვითონ იტვირთოს ერის ნებსითი თუ უნებლიე ცოდვა"** (ლ. ტუხაშვილი).

ამიტომაც შენიშნავდა მეორე დიდი ქართველი ილია ჭავჭავაძე დავითის განუმეორებელ ღვაწლთან დაკავშირებით: **"ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როცა იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლისა და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსებისა თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისგან"...**

* * *

კიდევ უფრო განსაცვიფრებელი, ალბათ, გელათის მონასტერში, ჩრდილოეთის შესასვლელთან დაგებულ ქვის ფილაზე ამოკვეთილი მეფეთმეფის უკანასკნელი სურვილია, რომლის ნათელი მთელი ათასი წლის შემდეგაც ინარჩუნებს თავის ღვთაებრივ დიდებას:

**ესე არს განსასუენებელი**
**ჩემი**
**უკუნითი უკუნისამდე;**
**ესე მთნავს;**
**აქა დავიმკვიდრო მე".**

* * *

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი არსენ იყალთოელის ეპიტაფია კი მთელი თავისი ტრაგიზმით წარმოაჩენს არა მხოლოდ მეფის და მეფობის, არამედ საერთოდ, კაცობრიული ყოფის ფართო შინაარსს.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ტრაგიზმი აქაც გვირგვინად ადგას დავითის მეფურ ღირსებას:

**"ვით ნაჭარმაგევს მეფენი**
**თორმეტნი პურად დამესხნეს,**
**თურქნი, სპარსნი და არაბნი**
**საზღვართა გარე გამეხსნეს,**
**თევზნი ამერთა წყალთაგან**
**იმერთა წყალთა შთამეხსნეს,**
**აწ ამათსა მოქმედსა**
**გულზედან ხელნი დამესხნეს"...**

თემურ ქორიძე,
ჟურნალ "ისტორიული მემკვიდრეობის" მთავარი რედაქტორი

## „მიშა – მაგარია!" (ორი არამოგონილი ამბავი ჩვენი დღევანდელი ცხოვრებიდან)

### ამბავი პირველი

ქ.თბილისის N180 საჯარო IVკლასის მოსწავლეებს დამრიგებელმა ღია გაკვეთილი ჩაუტარა, რომლის მთავარი თემაც პრეზიდენტი სააკაშვილი იყო: **ბავშვებს უნდა მოეძიებინათ მიხეილ სააკაშვილის შესახებ პოზიტიური მასალები და დაეწერათ, თუ რატომ მოსწონთ საქართველოს პრეზიდენტი (?!).**

**ლადო ბულბულაშვილი, ეროვნული საბჭოს წევრი:**

*„შემთხვევით წავაწყდი ამ ფაქტს. IV კლასის დამრიგებელის –* **ვერიკო პავლიაშვილის** *გაკვეთილის თემა იყო* ***„მიშა მაგარია!".*** *მან ბავშვებს დაავალა მოეძებნათ მხოლოდ და მხოლოდ კარგი ინფორმაცია სააკაშვილის შესახებ, დაეწერათ – რატომ მოსწონთ მიხეილ სააკაშვილი და თავადაც დაჰპირდა მათ შესაბამის მასალებს პრეზიდენტის გმირობებზე.* ***დამრიგებელმა კატეგორიულად მოთხოვა მოსწავლეებს, მშობლების აზრის დაფიქსირებაც (?!). როცა გაკვეთილზე ერთ-ერთმა ბავშვმა მასწავლებელს უთხრა, რომ ძალიან ბევრს არ მოსწონს მიხეილ სააკაშვილიო, მასწავლებელი გაბრაზდა, როგორ შეიძლება არ მოგწონდეს ჩვენი ბელადიო?!"***

**ქ.თბილისის N180 სკოლის დირექტორის მოადგილე:** ***„როგორ ჩაატარებდა გაკვეთილს მაგ თემაზე ვერიკო, როცა მაგ დროს ბაზარში იყო?*** (თუკი სადამრიგებლო კლასი ჰყავს, სასწავლო პროცესის დროს ბაზარში რატომ იყო? - საქინფორმი) *იცით, ასეთ თემას არ მისცემდა ბავშვებს. ეს, ალბათ, საუბარმა მოიტანა და მოსწავლეებს ესაუბრა პრეზიდენტზე, ჩვენ ამას დანაშაულად არ აღვიქვამთ, თუმცა* ***პრეზიდენტის ლანძღვას ჩვენს სკოლაში ნამდვილად ვკრძალავთ!"***

### ამბავი მეორე

ახალი წლის ღამეს, როდესაც ქართველი ხალხი საკუთარ ოჯახებში მოკრძალებულად აღნიშნავდა ახალი, 2011 წლის დადგომას, ხოლო ბათუმში წვიმასა და ჭყაპში აცეკვებდნენ ქართველ გაყინულ მოცეკვავეებს და ნახევრადდამშეულ ხალხს კონცერტი თითქმის ძალით აყურებინეს, **„ნაციონალური მოძრაობის" წევრები, გურამ დონაძესთან ერთად, მახინჯაურში, ერთ–ერთ ცნობილ რესტორანში აღნიშნავდნენ ახალ წელს.**

იმავე რესტორანში სხვა ადამიანებიც იყვნენ და ერთ–ერთი უნივერსიტეტის სტუდენტებიც, რომლებიც ძალაუნებურად მთელი საღამო **„მიშა მაგარიასა!"** და პატრულის სადიდებლად შექმნილ სიმღერებზე ცეკვავდნენ.

**„ნაცსუფრაზე"** ცოტა რომ **შეზარხოშდნენ, თამადა, თურმე, სკამზე დადგა და რესტორნის ყველა სტუმარს მიშას სადღეგრძელოს დალევა მოსთხოვა.** შემდეგ ისევ იგივე გაგრძელდა, ერთი და იგივე სიმღერები და ქება–დიდება.

**როდესაც იქ შეკრებილ საზოგადოებას „მიშა მაგარია!" კიდევ ერთხელ ჩაურთეს, ახალგაზრდებმა უკმაყოფილება გამოთქვეს. ამის შემდეგ უნივერსიტეტის ერთ–ერთი სტუდენტი, რომელმაც ეს აზრი ხმამაღლა გამოხატა, დარბაზიდან გაქრა... იგი მეგობრებმა გამთენიისას რესტორნის შორიახლოს გონდაკარგული და სასტიკად ნაცემი იპოვეს!**

სახეზე მას 10 ნაკერის დადება დაჭირდა, ხოლო სხეული მთლიანად დაბეჟილი ჰქონდა. მას მხოლოდ ის ახსოვს, რომ შავ **„ჯიპში"** ჩასვეს, რომელშიც ორი ადამიანი იჯდა, ორიც სხვა მანქანიდან გადმოუჯდათ და ამის შემდეგ მისი მეხსიერება გაითიშა...



## „ქართული აკადემია" პრეზიდენტ სააკაშვილს უტიფრობასა და ცინიზმში ადანაშაულებს

როგორც **„ქართული აკადემიის"** განცხადებაშია ნათქვამი, პრეზიდენტისგან ტყუილები ადრეც ბევრჯერ მოუსმენიათ, მაგრამ ის, რაც 25 იანვარს **"ტელეხიდის საშუალებით დადგმულ ფარსში"** მოისმინეს, ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

მათი თქმით, სააკაშვილის ზოგიერთი შოკისმომგვრელი გამონათქვამი მედიცინის სფეროს შესასწავლია. **„ქართული აკადემია"** ერთ ასეთ გამონათქვამად 5 მილიონი ტურისტის ჩამოყვანის შესახებ დაპირებას მიიჩნევს.

***"ძალიან გვაინტერესებს, როგორ აპირებს სააკაშვილი და მისი „პროგრესული" მთავრობა, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, ხუთი მილიონი ტურისტის მოზიდვას და მომსახურებას. ერთი ტურისტის სრულფასოვან მომსახურებას ოთხი ადამიანი სჭირდებაო, - აცხადებს თავად სააკაშვილი და, ნებით თუ უნებლიეთ, ამჟღავნებს ნაცხელისუფლების საბოლოო მიზანს, კერძოდ, ქართველებს არსებობის ძირითად ფორმად უცხოელთა მომსახურე ერის ფუნქცია განუსაზღვროს, რაზეც, სხვათა შორის, „ქართული აკადემია" წერდა და აცხადებდა დღიდან დაარსებისა.***

***რამდენადაც საქართველოს წელს, მთავრობის თქმით, ერთი მილიონი ტურისტი სწვევია, ამ რაოდენობის სტუმარს დიდი გაჭირვებით, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მაინც აუვიდა. მაგრამ რა ვუყოთ სააკაშვილის ზღვარდაუდებელი ფანტაზიის მორიგ ნაყოფს - მალე ტურისტთა რაოდენობა 5 მილიონს მიაღწევსო? საიდან უნდა გაჩნდეს საქართველოში მათი მომსახურებისთვის საჭირო 20 მილიონი ადამიანი? დაველოდოთ, რა გზებსა და საშუალებებს შემოგვთავაზებს სააკაშვილი ამ დემოგრაფიული რებუსის ამოსახსნელად",*** - ნათქვამია **„ქართული აკადემიის"** განცხადებაში.

აკადემია პრეზიდენტის უკიდურესი ცინიზმის გამოვლინებად მიიჩნევს მოშიმშილე ვეტერანების მიმართ გამოთქმულ ბრალდებას, **"რომელთაც პრეზიდენტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მეომართა მემორიალთან საცვლების გამოფენა და მარადიულ ცეცხლთან ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დააბრალა".**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო მილიარდერებს კარგავს

საბჭოთა ხანაში მილიარდერები და მილიონერები იუმორისტებისა და სატირიკოსების ვარჯიშის საგანი იყო. მარტო ქარხნების, გაზეთების, გემების მფლობელი მისტერ ტვისტერისა და მისი კარიკატურული თანამოსაქმეების დაუვიწყარი სახეები რად ღირს, რომლებიც, საბჭოური საგაზეთო ტრაფარეტების მიხედვით, თავიანთი ბანჯგვლიანი ხელებით ახლოაღმოსავლურ ნავთობს ან სამხრეთ აფრიკულ ალმასებს ეპოტინებიან...

სამაგიეროდ, ახლა მილიარდერობა ან უბრალოდ მილიონერობა ძალიანაც სასიამოვნო და საპატიოა, თუმცა, – დამქანცველიც. ფულის ტომრებს ყოველ კუთხეში უამრავი საფრთხე ჩასაფრებია, არც კი იცი, საიდან გესვრიან მოზრდილ ქვებს შენივე ადგილობრივი მაღალი ხელმძღვანელები, რომელთა ფხიზელ თვალს ვერც შემოსავლებსა და ვერც პირად ცხოვრებას დაუმალავ...

## უსარგებლო გაკვეთილი...

მილიარდერ **ბადრი (არკადი) პატარკაციშვილის** ტრაგიკულ ფიგურასთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის, ასე თუ ისე, ყველაფერი ნათელია. თავისი მოკლე ბიოგრაფიის რაღაც მომენტში მან, „ნაციონალური“ პროპაგანდისტების თქმით, პრეზიდენტობა მოისურვა და აშკარა დაბრკოლებები შეუქმნა მოქმედ „პირველს“ - თანაც ისე აქტიურად, რომ მის ქვეშ ტახტი მოირყა. ამას საგანგებო მოვლენათა ისეთი ნაკადი მოჰყვა, რომელმაც არსებულ ხელისუფლებას ჩამოგდების საფრთე შეუქმნა... საბოლოოდ რით დასრულდა ეს ყველაფერი, კარგადაა ცნობილი: ახალგაზრდობა, ოკეანისგაღმა პოლიტტექნოლოგიებსა და „ მახვილისა და მოსასხამის“ პროფესიონალთა მუშაობასთან ერთად, არა მარტო გამარჯვებას, არამედ სცენიდან სხვა კანდიდატებისთვის წარმოდგენილ სამაგალითო გაკვეთილსაც ზეიმობდა. კანდიდატებისა, რომლებმაც ტახტზე დაბრძანება „ზემოდან“ წამოსული მითითებებით კი არა, საკუთარი ხასიათის მოტივაციითა და დაგროვილი სიმდიდრით მოისურვეს!

თანამედროვე ქართული ისტორიის ამ საკმარისად ტრაგიკულ ფურცელზე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ კონკრეტულ საზოგადოებრივ ფორმაციაში სხვადასხვა მიმართულების ძალებად როგორ იქცნენ, ერთის მხრივ - საკმაოდ დიდი პრივატული კაპიტალი, ხოლო მეორე მხრივ - ხელისუფლების განწყობა, თავისი უმაღლესი მიზნისთვის დაექვემდებარებინა მთელი სამამულო ბიზნესი მისი მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსებითა და სამამულო უცხოური „ბიზნეს-შუქურებით“. მით უმეტეს, რომ ტახტისთვის მოგებული ბრძოლა მატერიალურ ჭრილში არათუ დამარცხება, არამედ აწ განსვენებული პატარკაციშვილის მილიარდების მსოფლიოში მიმოფენა აღმოჩნდა, რომლებიც, ცხადია, სახელმწიფოზე ვერც ცენტრალიზებულად და ვერც რაიმე მომგებიან პროექტებთან კავშირში ვეღარ იმუშავებდნენ. ეს, როგორც ზოგიერთი „ჩვენიანი“ ვარაუდობდა, „ნაციონალურ“ გუნდს არასაკმარისი გამოცდილებისა და ახალგაზრდულ-კომკავშირული მგზნებარებით დაემართა, რომელიც საშუალებას არ იძლეოდა, საკუთარი აზრი და გაუკონტროლებელი სიმდიდრე ჰქონოდა ვინმეს, გარდა პირველი პირისა და მისი უახლოესი გარემოცვისა. შედეგად, ხელისუფლების სათავეში ,,ვარდების რევოლუციის'' მეხოტბეთა მოსვლის მომენტიდან, იმ დროის ბიზნესმენებსა და თანამდებობაზე მყოფ საქმოსნებს თუ შეკვეთილი ჭიქა წყალში ქარიშხალი არა, უკიდურეს შემთხვევაში, პერმანენტული და პატარ-პატარა სკანდალები დაატყდათ თავს.

თავიდან ამ მოღვაწეებს ზურგსუკან გადაგრეხილი ხელებითა და გამარჯვებულთა მხრიდან დემოკრატიული ფურთხითა და შეძახილებით: „დააბრუნეთ მილიონები! დააბრუნეთ მილიონები!“ დაატარებდნენ. და მდინარედ დაიძრა ნაქურდალი ტუგრიკები ხაზინისკენ ან - სხვაგან, მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელოვანია, რომ ამ გზით გამოხატავდა საკუთარ თავს ჩვენი ფერადი რევოლუცია - იმავე (ბოლშევიკური) ტაძრების ნგრევითა და „თეთრ რაშზე“ თავმომწონე დამსჯელ-პროკურორ ირაკლი ოქრუაშვილით. ყველაფერი ეს დროთა განმავლობაში წარსულს ბარდება. არადა, განა სწორედ ასე არ მიმდინარეობდა ახალი მრუდე სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც უგულებელჰყოფდა კანონებს და ხაზინასაც თავდაპირველად ყაჩაღური ( ველური დასავლეთის მსგავსად) ექსპროპრიაციის, შემდეგ კი - მშრომელთა - ძირითადად, გარკვეული განტევების ვაცების სიაში მყოფთა და, ასევე, საშუალო მოვაჭრე კლასის ჯიბეებიდან გადასახადებისა და ჯარიმების სახით ხაზინას ავსებდა. უპირატესად, სწორედ ეს იქცა ახალი „თვითმმართველობის“ ფინანსურ დასაყრდენად, მართლმსაჯულებისა და პროკურატურის სახით, ფულის შოვნის ფაბრიკებთან ერთად. **სქემა შემდეგნაირია: პროცესუალური გარიგებებითა და სხვა ოინებით ივსება ან ბიუჯეტი, ან თანხები ნაცადი სქემებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობებში გადაირიცხება, რათა ფულის კეთების სამამულო სისტემას უცხოელმა ლიბერალ-დემოკრატებმა და უფლებათა დამცველებმა ხინჯი ვერ გამოუძებნონ.**

## „თხები და ციკნები“...

ამასთან დაკავშირებით, ალბათ, უნდა გავიხსენოთ სამაგალითო ბიზნესმენი („თხა“ კი არა, უბრალო სპორტსმენი და შსს ყოფილი გენერალი!) **გოჩა ძასოხოვი,** რომელიც, სხვათა შორის, დაუბრკოლებლად შედიოდა „პირველისა“ და მერაბიშვილის კაბინეტებში (ამასთან, მისი საბელზე დემონსტრირება, ქართულ-ოსური უჟანგავი მეგობრობის ნიშნად, პრეზიდენტ სააკაშვილსაც უყვარდა), ოდესღაც მთელი საპრეზიდენტო ამალის ფავორიტი და საქველმოქმედო ბიზნეს-ღონისძიებების ორგანიზატორი, შემდეგ კი, უცებ, დაუძინებელ მტრად ქცეული, ვეება სპორტულ მუშტს რომ უღერებდა მიშას! ერთი სიტყვით, არც ფული, არც ინვესტიციები... თუმცა ოდესღაც ბიზნესმენ-სპორტსმენის ქონება ასობით მილიონ დოლარად ფასდებოდა. კიდევ იყო ერთი შემთხვევა იმავე **ირაკლი ოქრუაშვილის** (ამჟამად გაქცეულის) პროკურორობის დროს. ჯოხი თვალის დახამხამებაში გადატყდა რუსი ბიზნესმენის, წარმოშობით ქართველი **მამუკა ჯინჭარაძის** ზურგზე, რომელიც შემდგომ მოსკოვში კრიმინალური გარჩევებისას მოკლეს. ის აქტიურად აფინანსებდა საქართველოში არა მარტო ეკლესიების მშენებლობას, არამედ ფულსაც აბანდებდა სხვადასხვა პროექტში. მის მეფურ საჩუქრად იქცა ჩვენი საპატრიარქოსთვის წმინდა სამების მშენებარე ტაძრის მოოქრული გუმბათიც. მოკლედ, საქართველოში პატივცემული ადამიანი, ზუსტად იმ დრომდე, სანამ იჯარით აღებული შვეულმფრენით, რომელსაც თავად მართავდა და რომელიც შსს საკუთრება აღმოჩნდა, ავარიაში არ მოყვა. შედეგად, ბატონი ოქრუაშვილის მეშვეობით, ინვესტიციებზე დამატებით, უსინდისოდ დაუწყეს მილიონის ამორთმევა დამტვრეული საფრენი აპარატისთვის, რომელიც ისედაც ჯართად უნდა ჩამოეწერათ. მომხდარის შემდეგ ძასოხოვს რა გრძნობებიც დაეუფლა, გასაგებია და ისიც ნათელია, თუ რას ფიქრობდა... შვეულმფრენის ღირებულების სრულად დაფარვისთანავე მან მშობლიური მხარე საჩქაროდ დატოვა, თავის რუსულ საქმეებს დაუბრუნდა და დაიფიცა, რომ მიშას საქართველოში ფეხსაც აღარ დაადგამდა...

ამგვარი, ახლობლების დასახმარებლად მზადმყოფი საქმიანი ადამიანებისადმი არაადექვატური დამოკიდებულების მსგავსი მაგალითების პოვნა მრავლად შეიძლება. თუმცა, ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია მიუკერძოებელი დასკვნის გამოსატანად.

## ივანიშვილი! «С вещами!»

ყოფილ ახალგაზრდობას, ამჟამად უკვე მოწიფულ ადამიანებს, ჩვენი ბედ-იღბლის ყოფილ და ამჟამინდელ განმკარგველთ, თვალსაჩინოდ უხეშებს, სწორედ დიპლომატია აკლიათ, ხოლო სისხლში ბრუტალობის მაღალი დონე აღენიშნებათ. შედეგად, წარმოიქმნა კოლიზია, რომელსაც ვერსად გაექცევი: წმინდა წყლის ქართული უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში ერთობ მცირე მოცულობით მუშაობს, ანუ **ქართველი ბიზნესმენები, უპირატესად, რუსეთიდან ან ევროპიდან არ ჩქარობენ სამეწარმეო საქმიანობის წარმართვას თბილისში, განსხვავებით რუსული ნაციონალური კაპიტალისაგან, რომლის წილსაც, მოცულობის მიხედვით, საქართველოში მეორე ან მესამე ადგილი უკავია.** რატომ? ეს ან სამამულო ფუნქციონერებისადმი უმაღლესი დონის უნდობლობის ნიშანია, ან – ქართული უცხოური ბიზნესის მხრიდან პატრიოტიზმის არარსებობა, რისი დაჯერებაც, ჩვენი ეროვნული ხასიათის თავისებურებების ცოდნიდან გამომდინარე, საკმაოდ ძნელია. ამასთან, ჩვენი დიასპორის საქმეების სამინისტროც, საკითხთა ფართო წრესთან შესატყვისობაში, პროფილით საქმიანობს. როგორც ჩანს, მოსკოვსა და პარიზში, ნიუ იორკსა და ვენაშიც მოიძებნება მშობლიურ ენაზე დამლაპარაკებელი... ფული კი ამ არხით საწარმოო თუ რომელიმე სხვა სფეროში წვრილ ნაკადად მოედინება... ასე რომ, ხელმძღვანელთა პირადი თვისებები, ხასიათის თავისებურებანი და, ასევე, ბიზნესმენებთან მუშაობის მეთოდები საერთო სახალხო საქმეს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვნებს.

მდიდარი ადამიანებისადმი სამხედრო-საველე ადმინისტრირების ბოლო აკორდმა, სავარაუდოდ, მილიარდერ **ბიძინა (ბორის) ივანიშვილის** შემთხვევაში გაიჟღერა, რომელმაც, მედიის ცნობით, საქართველოდან სასწრაფოდ გაასახლა თავისი ოჯახი ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ზეწოლის გამო. გასაგებია: გაღვივებულ კრიზისულ სიტუაციაში ზეწოლის ინიცირება მხოლოდ მის მილიარდებს ანდა რომელიმე „უმაღლეს პროექტში“ მისი ფულის ჩართვის „სამსახურებრივ აუცილებლობას“ შეეძლო! თუმცა ამის გარეშეც, **ივანიშვილის მიერ სამშობლოში უწინ განხორციელებული ნაბიჯებიც უმნიშვნელოდ არავის მოეჩვენება. ამბობენ, რომ თავის დროზე, ბადრი პატარკაციშვილთან ერთად, ქართული ადმინისტრაციის არცთუ მცირე ხელფასებით უზრუნველყოფის საქმეში იგი სოროსს „ეხმარებოდა“.** ხოლო იმ ხუთი წლის განმავლობაში, რაც შინ გაატარა, საცხოვრებელი სახლებისა და მნიშვნელოვანი ადგილობრივი სოციალური შეღავათების ჩუქებით საჩხერელი თანამემამულეების უსაზღვრო მადლიერება დაიმსახურა.

აღსანიშნავია, რომ მედიის ცნობას მილიარდერთან დაკავშირებით საკმაოდ სწრაფად გამოეხმაურა **,,ქართუ-ჯგუფის“** პრესსამსახური - ორგანიზაციისა, რომელსაც თავად ბიზნესმენი კურირებს. სავარაუდოდ, სწორედ ესაა თავად მილიარდერის „ხმა იატაკქვეშეთიდან“, რომელიც ხელისუფლებასთან უთანხმოების, მის მილიარდებზე თავდასხმისა და ყველა ბიზნეს-პროექტის „კონსერვაციის“ შესახებ მედიის მოსაზრებების მთელ ნაკრებს უგულებელყოფს.

თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ „უგულებლყოფას“ იოლად წასაკითხი ქვეტექსტი ანდა სტრიქონებს შორის ჩადებული ინფორმაცია ახლავს. მოვახდენთ, ჩვენი თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო ადგილის ციტირებას: ***,,ერთადერთი, შესაძლებელია ხელისუფლების მხრიდან, მისი*** (ანუ ივანიშვილის. - საქინფორმი) ***ფიზიკური განადგურება, თუმცა საკუთარ თავსა და ახლობლებს რატომ უნდა შეუქმნას საფრთხე ივანიშვილმა აქ, საქართველოში, ყოფნით, როცა მას და მის ოჯახს საშუალება აქვთ, იცხოვრონ იქ, სადაც ინებებენ“.***

გასაგებია?! **ერთობ გამჭვირვალე სიტყვებია, რომლებიც დასაშვებს ხდის, რომ ივანიშვილიცა და მისი ოჯახიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფებიან, რადგან, ერთადერთი საფრთხე, რომელიც მას ემუქრება, არა ფული, არამედ... მისი ფიზიკური განადგურების შესაძლებლობაა!** აქედან გამომდინარე (ჰიპოთეტურად), მას შეუძლია ოჯახთან ერთად საცხოვრებლად აირჩიოს ნებისმიერი ადგილი დედამიწაზე. ეს, რა თქმა უნდა, სენსაცია არა, მაგრამ „ქართუ-ჯგუფის“ ერთობ გულახდილი განცხადებაა. უფრო სერიოზულიც კი, ვიდრე მავანის მიერ ბატონი ბიძინას კაპიტალზე თვალის დაჭერა!

**თუმცა ცოტა გაურკვეველია, რისთვის უზღავენ სამაგიეროს ივანიშვილს?! პატარკაციშვილთან, ჟვანიასთან, პეტერბურგელ ებრალიძესა და რუს ვასაძესთან - ყოფილ და ამჟამინდელ პატივმოყვარეებთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია, მაგრამ ივანიშვილი ხომ პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავებაზეც არ თანხმდებოდა და პოლიტიკიდან შორს ყოფნას ამჯობინებდა?! მაშ, ჩვენს მამა-მარჩენალთა რისხვა რით გამოიწვია?**

იქნებ, ეს სულაც არ არიან ისინი - საერთაშორისო კოზა ნოსტრას ან რუსული ... ჯერჯერობით უცნობი მიმდევრები? ვინ იცის!... ყოველ შემთხვევაში, არც უმისობაა, რომ მილიარდერს საკუთარი თავისა და ახლობლებისთვის მშვიდი ნავსაყუდელი დასჭირდა. არადა, ბატონებო, **ეს ხომ ჩვენი მისამართით გადმოწიტებული ფურთხია - იმ კონტექსტში, რომ თავისუფალ, დემოკრატიულსა და წარმატებულ საქართველოში დიდი ფულის მფლობელ პიროვნებებსაც კი პერსონალური უსაფრთხოების გარანტია არ აქვთ!**

ამასთან, ბიძინა ივანიშვილის საკითხთან დაკავშირებით არავითარი ოფიციალური ინფორმაცია არ გაჟღერებულა! ასე რომ, დაველოდოთ..

აი ვაშინგტონში გამართულ ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე ჩვენი პრეზიდენტის საქებარი და სარეკლამო გამოსვლის გახსენება ნამდვილად ღირს. ის ვერასგზით ვერ გადაჭრის ამ და ვერც სხვა შიდა **პრობლემებს. ქართული ირაციონალობის სურათი, რომლითაც პრეზიდენტი სააკაშვილი ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატებების (რომელთაც რაციონალური ახსნა არ მოეპოვებათ) ახსნას შეეცადა, არამარტო საერთაშორისო აპლოდისმენტების, არამედ ბიზნესისა და ბიზნესმენთა მიმართ არაჯენტლმენური დამოკიდებულებისა და, ასევე, უკიდურესი სიღატაკის მაგალითებითაა მდიდარი! ქართველ პენსიონერთა თითქმის მილიონიანი არმია სახელმწიფოსგან დღიურად თავის შესანახად იმაზე ნაკლებს იღებს, ვიდრე თანამემამულე პატიმრები.** და ეს, უდავოდ, ადგილობრივი ირაციონალიზმის კიდევ ერთი მაგალითია.

საგენტო საქინფორმი

## გირგვლიანის მკვლელობისთვის ხელისუფლება პასუხს აგებს

დღეს, 28 იანვარს, სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან 5 წელი გავიდა. გაერთიანებული ბანკის თანამშრომელი 5 წლის წინათ 2006 წლის 28 იანვარს მოკლეს. ინციდენტი დაიწყო შარდენ ბარში, სადაც შსს-ს თანამშრომლებსა და სანდრო გირგვლიანს შორის შელაპარაკება მოხდა. სანდრო გირგვლიანი მეგობართან, ლევან ბუხაიძესთან ერთად ლესელიძის ქუჩიდან გაიტაცეს, მოგვიანებით კი გირგვლიანის ნაწამები ცხედარი ოქროყანის სასაფლაოზე აღმოაჩინეს.

მისი მკვლელობისთვის ამჟამად სასჯელს იხდიან კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები ავთანდილ აფციაური, გია ალანია, ალექსანდრე ღაჭავა და მიხეილ ბიბილურიძე, თუმცა იმ ადამიანებისთვის, ვინც დღევანდელ აქციაზე მივა, ეს მკვლელობა გახსნილი არ არის. ორგანიზაცია **“თავისუფალი საქართველოს”** ინიციატივით, საზოგადოება საღამოს 7 საათზე შარდენის ქუჩაზე შეიკრიბება და პატივს მიაგებს სანდრო გირგვლიანის ხსოვნას.

**მიმი გაბრიჩიძე, “თავისუფალი საქართველოს”** გენერალური მდივანი:

– ჩვენ ამ აქციით გვინდა, პირველ რიგში, სააკაშვილს და შემდეგ მის მთავრობას შევახსენოთ, რომ ეს დღე, ეს ადამიანი, ეს ფაქტი არასდროს დაგვავიწყდება და ქართველი ახალგაზრდებისა თუ საზოგადოების ის ნაწილი ყოველთვის იარსებებს, რომელიც ხელისუფლებას აუცილებლად მოსთხოვს ამ საქციელზე პასუხს.

## მთავრობის საინვესტიციო გეგმის შესრულება უკვე საფრთხის ქვეშაა

აღმოსავლეთის ქვეყნებში განვითარებულმა მოვლენებმა, შესაძლოა, საქართველოში ინვესტიციების შემოსვლა შეაფერხოს. ექსპერტების განცხადებით, საინვესტიციო საფრთხეს უმეტესწილად ჩვენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და საინვესტიციო გარემო ქმნის. მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ მთავრობამ 2011 წლის საინვესტიციო ფსონი არაბულ ქვეყნებზე დადო, გარკვეული პრობლემები შეიძლება შეიქმნას. ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენების გამო, ევროპის უმსხვილესმა ბანკებმა შეშფოთება გამოთქვეს. გარდა ამისა, აზიის საფონდო ბირჟებზე ინდექსებმა დაცემა დაიწყო.

**“არა მგონია, ეს არეულობები მალე დასრულდეს. უფრო მეტიც, იქაური ექსპერტები და ინვესტორები ამ ტალღის სხვა ქვეყნებზე გავრცელებასაც ვარაუდობენ. შესაბამისად, როდესაც საქართველოს საინვესტიციო გეგმები ამ ქვეყნებზეა მიბმული, ბუნებრივია, ეს გარკვეულ საფრთხეებს ქმნის,”–** განუცხადა საქინფორმს ეკონომიკურ საკითხთა ანალიტიკოსმა ვახტანგ გზირიშვილმა.

შეგახსენებთ, 2010 წლის საინვესტიციო კრახის შემდეგ, მთავრობა წელს 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციას აზიიდან და, უმეტესად, არაბული ქვეყნებიდან ელოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდით, დავჯდეთ ერთად!

2010 წლის ნოემბერში **"აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდთან"** – (ნდობის აღდგენისა და შერიგების ფონდი) არსებულმა ქართველ უხუცესთა საბჭომ ტელე-რადიოს საშუალებით და ქართულ და რუსულენოვან გაზეთებში გააჟღერა მიმართვა აფხაზ უხუცესთა საბჭოს მისამართით, რომელიც მალევე მიიღო მისმა თავკაცმა კონსტანტინე ოზგანმა.

მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია: **"ჩვენ შეგვიძლია და გვსურს, ერთობლივად შევიმუშაოთ მოქმედების გონივრული პროგრამა, რომელიც ურთიერთნდობის ზრდასთან, ჩვენი ხალხების შერიგებისა და ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების მრავალწლიანი ისტორიის მახასიათებელი ტრადიციული ღირებულებების აღორძინებასთან მიგვიყვანს..."**

ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას ჩვენი წილი ბრალეულობების აღიარებაზე... რომ ჩვენს მიმართვაში შერიგებისა და მეგობრობის აღდგენისაკენ გაწვდილი ხელი უპასუხოდ არ დარჩეს და სხვა.

მიმართვის სრული ტექსტი იმ საღამოსვე გადმოსცა **"რადიო თავისუფლებამ"** პრაღიდან (სადაც მათი მთავარი ოფისია). მიმართვას იმ საღამოსვე **"რადიო თავისუფლების"** კორესპონდენტების ძალისხმევით გამოეხმაურა აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავკაცი ბატონი კონსტანტინე ოზგანი. ბატონმა კონსტანტინემ ჩვენი საბჭოს შექმნა დადებითად შეაფასა და დაახლოებით თქვა: **"ალბათ საბჭოს შექმნა გადაწყდა იმის შემდეგ, რაც ჩვენმა საბჭომ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა საქართველოს გაზეთებში გამოთქმული არასწორი აზრი აფხაზეთში ამჟამინდელი ვითარების შესახებ"**. ბატონი კონსტანტინე ჩვენს შეხვედრას მიზანშეწონილად მიიჩნევს, თუ ჩვენი საბჭო სცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და სხვა.

უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ორგანიზაცია არასამთავრობოა და ხელისუფლებას მისი შექმნა არ დასიზმრებია.

საბჭოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი ამ წერილის ავტორი გახლავთ, რომელიც მაშინ (ომის დაწყებამდე) და ახლაც აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცების მცდელობის მეტი არაფერი გაუკეთებია. მას თბილისში ყოფნის განმავლობაში რამოდენიმე ათეული საგაზეთო წერილი აქვს გამოქვეყნებული, არაერთხელ გამოსულა ტელეეკრანზეც. რამოდენიმე წერილი აფხაზეთშიც წაუკითხავთ. ასე რომ, იმის ეჭვი, ვითომ ჩვენ მთავრობამ გვშობა, მხოლოდ ჭორად შეიძლება ჩაითვალოს, რაშიც იოტისოდენადაც არ ვადანაშაულებთ ბატონ კონსტანტინე ოზგანს.

აფხაზ მეგობრებს შეუძლიათ წაიკითხონ ეს წერილი და გაეცნონ როგორც აფხაზეთში, ისე საქართველოში, ცნობილ პიროვნებებს, რომლებიც ამშვენებენ უხუცესთა საბჭოს. აი, ისინი: ნაპო მესხია, გურამ გვეტაძე, ნოდარ ემუხვარი, ოთარ ვახანია, კონსტანტინე მარშავა, ლორენცო შარანგია, კონსტანტინე გულუა, მირიან ჯალაღონია, ტერენტი ხუბუა, ბიქტორ ზარქუა და ბევრი სხვა.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ბევრი რამ გაქვთ სათქმელი. ვიცით, რომ ტანკების მაგიერ სისტემატური – საჭირო დიალოგი რომ ყოფილიყო, შეიძლება სრულიად არაფერი არ მომხდარიყო.

განთქმული ნეიროქირურგის, მედიცინის დოქტორის ბატონ ნაპო მესხიას (მისი წიგნიდან **"როგორ გასხვისდა აფხაზეთი"**) თქმისა არ იყოს, მხოლოდ სიმართლისა და მხარეების მიერ ერთობლივად დაშვებული შეცდომების აღიარებით და ურთიერთმიმტევებლობით, აფხაზეთისათვის ალტერნატივისა და არჩევანის პირობების გაჩენით იყო შესაძლებელი ქართველებსა და აფხაზებს შორის ჩამოწოლილი გაუცხოების პროცესის შენელება და ურთიერთნდობის აღდგენა, მაგრამ ეს არ გაკეთდა.

იმასაც ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ არა გვაქვს სათქმელი. გვაქვს, მაგრამ საჭიროა კი ეს ახლა? მცირე ჯგუფზე გარეწრებისა, რომლებიც დამნაშავეებია ომის გაჩაღებაში – და შემდეგ ჩადენილ დანაშაულებზე, დაე იმსჯელონ მოსამართლეებმა და პროკურორებმა. ჩვენ კი უქმად ჯდომა დანაშაულად ჩაგვეთვლებ უთუოდ და ამიტომ ვაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია – უმოქმედობას მომავალი თაობა არ გვაპატიებს.

ვიცით, ჩვენს შორის დიალოგი არ იქნება იოლი. მას სჭირდება მიზანდასახული მოქმედება, ჭკუა და ობიექტურობა, ზრუნვა საერთო ინტერესებისადმი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას თქვენთან ერთად გავაკეთებთ (შევძლებთ).

არა მჯერა და ვერც ვერავინ დამაჯერებს იმაში, რომ ასე მალე გაქრა საუკუნოვანი მეგობრობა აფხაზებსა და ქართველებს შორის. ლაპარაკია ნამდვილ აფხაზებსა და ნამდვილ ქართველებზე.

იმის შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სიტყვა წარმოთქვა ევროპის ქვეყნების სამიტზე – აფხაზეთთან მიმართებაში ყველა საკითხის მშვიდობით გადაჭრის შესახებ, ჩვენ უფრო გავააქტიურეთ მუშაობა, თუმცა ხელისუფლებას არც მანამდე შეუშლია ხელი ჩვენი საქმიანობისათვის.

რა თქმა უნდა, შეიძლება უსასრულოდ ვუსაყვედუროთ ერთმანეთს დაშვებული შეცდომების გამო, მაგრამ ეგებ უკეთესია ჩვენი ძმური ურთიერთობების არც თუ ისე მცირე ხნის ისტორია გავიხსენოთ, რის მაგალითების სათვალავიც არ გვაქვს.

მართალია, კონსტანტინე ოზგანთან მე არ მქონდა ახლო ურთიერთობა, მაგრამ მას ვიცნობდი როგორც პრინციპულ, სამართლიან და ობიექტურ ადამიანს.

სწორედ ამიტომ, ჩვენი საბჭო იმედოვნებს, რომ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს აფხაზ უხუცესებთან ერთად – პირველ რიგში, ჩვენს შორის ნდობის აღდგენის საქმეში, რაც არც თუ ისე ცოტაა, რადგან ჩვენს შორის ნდობა ამჟამად აბსოლუტური ნულის ტოლფასია.

ჩვენ ერთად უნდა დავჯდეთ და დაუყოვნებლივ დავიწყოთ ფიქრი, როგორ აღვადგინოთ მეგობრული, ნათესაური, შერეული ოჯახებს შორის ურთიერთობა, მეორე მსოფლიო ომისა და აფხაზეთის ომის მონაწილეთა შეხვედრა. ჩვენი წინაპრების – ნათესავების სასაფლაოების თავისუფლად მონახულება (პალესტინასა და ისრაელს შორის მიმდინარეობს ომი, მაგრამ პალესტინელები თავისუფლად გადადიან საზღვარს და ნახულობენ თავიანთ სალოცავებს – სასაფლაოებს). სირცხვილია,



რომ ქართველებს ამდენი ხანია არ შეუძლიათ ეს. ჩვენ ქვეყნიერების დასაბამიდან ერთად ვიყავით და ვიქნებით ალბათ. ამის გათვალისწინებით უნდა დავფიქრდეთ!

აფხაზი ძმებო, მოდით ვცადოთ ის, რაც ჩვენ შეგვიძლია, რასაც ჩვენ ვერ შევძლებთ, ხელისუფლების ვალია გააკეთოს.

ზოგიერთ პიროვნებებს (რომლებსაც აფხაზები არ დაელაპარაკებიან) უნდათ, რომ ჩვენი შეხვედრა არ შედგეს – სცადეს კიდეც, მაგრამ მათი გამომჟღავნებისთანავე კურდღლებივით მიიმალნენ.

ბატონო კონსტანტინე, მოდით, მტრის ჯინაზე, შევხვდეთ ერთმანეთს და თუ ეს შევძელით, ბევრ საქმეს გავაკეთებთ. ეს კი მომავალი თაობისათვის მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს.

მოდით, ვცადოთ.

შეხვედრის იმედით:

**ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,**
**მამანტი ჯოლია**

## სკანდალი სიმღერის – „გამარჯობა, აფხაზეთო შენი" ირგვლივ

სოციალურ ქსელებში **„იუთუბსა"** და **„ფეისბუქზე"** ბოლო დღეებში ახალი ვიდეო აიტვირთა. ამ ვიდეოში გალაკტიონის ცნობილ ლექსზე სიმღერას არა ზუმბა ან ქართული ესტრადის წარმომადგენლები, არამედ მომღერალთა გუნდი ასრულებს.

სიმღერისთვის მუსიკა კომპოზიტორმა გოგი ჩლაიძემ დაწერა აფხაზეთის ომის დასრულებიდან სულ ცოტა ხანში სოხუმის თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლისთვის "ზღვა, რომელიც შორია". სწორედ ამ სპექტაკლში გამოიყენეს ეს სიმღერა პირველად.

**„პატრინოტის"** კონკურსზე ზუმბას სიმღერამ **„გამარჯობა, აფხაზეთო შენი"** გაიმარჯვა, რაზეც შემდეგ ცნობილი კლიპი გადაიღეს. მუსიკის ავტორად ზაზა კორინთელი იყო მითითებული. კონკურსში ამ სიმღერის გამარჯვების შემდეგ მუსიკოსთა წრეში მცირე სკანდალი მოხდა, მაგრამ არ გახმაურებულა. ზუმბა პლაგიატობაში დაადანაშაულეს და გოგი ჩლაიძის მუსიკის მითვისებაში დასდეს ბრალი. ამ თემაზე საუბარი ბოლო დღეებში ისევ განახლდა.

სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ კომენტარებში ნათლად ჩანს, რომ, როგორც მოყვარულების, ასევე პროფესიონალი მუსიკოსების მოსაზრება პლაგიატის ბრალდებასთან დაკავშირებით ორად იყოფა.

მომღერალ ზაზა კორინთელის აზრით, ის სიმღერა, რომლის მუსიკის მითვისებაშიც ადანაშაულებენ, აბსოლუტურად განსხვავდება მისი სიმღერისაგან და გალაკტიონის ლექსზე სიმღერის დაწერა არავის ექსკლუზივი არ არის.

## სად მალავს ორ ნაცემ პატიმარს ყველაზე „ჰუმანური" მინისტრი

როგორც საქინფორმს საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან – **„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს"** აცნობეს, ქსნის №15 კოლონიის ხელმძღვანელობა პატიმრების მიმართ, უკვე რამდენიმე თვეა, სასტიკი დამოკიდებულებით გამოირჩევა. ეკა ბესელიას თანაშემწის განმარტებით, ციხის უფროსი შოთა თოლორდავა და მისი თანამშრომლები პატიმრებს სასტიკად ეპყრობიან, რის გამოც ისინი შველას ითხოვენ.

ორგანიზაციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 21 იანვარს პატიმრები გიორგი ოგანეზოვი და შოთა ნიკოლეიშვილი თოლორდავას დავალებით უმოწყალოდ სცემეს, რადგან ამ ადამიანებმა მსგავსი ფაქტების გახმაურება დაიწყეს, რა მიზნითაც ბესელიას მოძრაობას დაუკავშირდნენ. ცემის შემდეგ ნიკოლეიშვილი და ოგანეზოვი საპყრობილედან წაიყვანეს, თუმცა ამჟამად სად იმყოფებიან, უცნობია.

ამასთან, ბესელიას მოძრაობა ამ საქმის საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გადაგზავნას გეგმავს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქინფორმი თავდაპირველად სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან დაკავშირებას რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ.

სააგენტო პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრს, დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძესაც დაუკავშირდა, რომელმაც პატიმრების გაუჩინარების ფაქტი დაგვიდასტურა და განმარტა, რომ ყოველ წუთს ელის ახალ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით.

დეპუტატი პასუხისმგებლობას მინისტრ კალმახელიძეს აკისრებს და იმედს გამოთქვამს, რომ ის ამჯერად მაინც გააკეთებს განცხადებას ნიკოლეიშვილისა და ოგანეზოვის გაუჩინარებასთან დაკავშირებით.

**„ამ საქმეში პირადად სახალხო დამცველი გიორგი ტუღუშია ჩართული, საქმის კურსშია ეკა ბესელიაც. ვადასტურებ, რომ ეს პატიმრები გაურკვეველი მიმართულებით არიან გადაყვანილი და მიზეზი, სავარაუდოდ, ისაა, რომ ისინი სასტიკად სცემეს. ჯერჯერობით დაუზუსტებელი ინფორმაციით, ერთ–ერთ მათგანს „კარმუშკაში" თითებიც მოაყოლეს. მსგავს სიტუაციაში, ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მინიმუმ, სასჯელაღსრულების მინისტრი მაინც გააკეთებდა განცხადებას, რადგან ის ამაზე უშუალო პასუხისმგებელია. თუმცა ვეღარ გავიგე, საერთოდ საით მივდივართ, კრიმინალურ ბანდებთან გვაქვს საქმე თუ რა ხდება?"** – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე მინისტრი კალმახელიძე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის დროზე ყველაზე **„ჰუმანურ"** ადამიანად დაასახელა და ამ პრინციპითვე დანიშნა სასჯელაღსრულების მინისტრად, ამ დრომდე დუმს. მას ნაცემი პატიმრების გაუჩინარებასთან დაკავშირებით განცხადება ჯერაც არ გაუკეთებია.

## ამერიკული ფონდი „მემკვიდრეობა" – გეგმები საქართველოში

დღეს საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ მთელი რიგი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტის კონტროლქვეშ მუშაობენ. ერთ–ერთი მათგანია ფონდი **„მემკვიდრეობა"**, რომელიც საერთაშორისო არენაზე საქართველოს საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებს.

ამერიკულმა ფონდმა **„მემკვიდრეობამ"** მოამზადა ღონისძიებათა გეგმა ოფიციალური თბილისის მხარდასაჭერად საერთაშორისო საინფორმაციო–პროპაგანდისტული კამპანიის ჩატარების საკითხში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან საქართველოს კონფლიქტების თაობაზე. ამ კამპანიის ფარგლებში, 2011 წლის განმავლობაში **„მემკვიდრეობა"** აშშ–ში კონფერენციების სერიის ჩატარებასა და სამეცნიერო გამოკვლევებისა და დოკუმენტური ფილმების გადაღებებისთვის პრემიების დაწესებას გეგმავს შემდეგ თემებზე:

– რუსეთის ფედერაციის მონაწილეობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების **„გაჩაღებაში"**;

–სამხრეთ კავკასიაში სამხედრო, ეკონომიკური, ენერგეტიკული და საინფორმაციო უსაფრთხოების პრობლემები;

–დევნილებისა და ლტოლვილების მდგომარეობა საქართველოში;

–ეთნიკური უთანხმოების დაძლევა ქართველ საზოგადოებაში.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია პოსტკონფლიქტური დარეგულირების პრობლემებზე მომუშავე ანტირუსული მიმართულების სამოქალაქო სამეცნიერო ინიციატივების, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციების, ბლოგერთა ჯგუფებისა და სტუდენტური ასოციაციების (აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან სტუდენტების მონაწილეობით) შექმნა და განვითარება.

ფართო საერთაშორისო რეზონანსისა და მსოფლიო თანამეგობრობაზე აქტიური საინფორმაციო ზემოქმედების უზრუნველსაყოფად დაგეგმილია შემუშავებული პროექტების სარეალიზაციოდ პარტნიორულ ორგანიზაციათა რესურსებისა და გამოცდილების, ასევე, საქართველოსა და აშშ–ის ცნობილი პოლიტიკოსების, მეცნიერებისა და კინოდოკუმენტალისტების მოზიდვა.

ზემოხსენებული პროექტის ბიუჯეტი არცთუ დიდია – სულ რაღაც 365 ათასი აშშ დოლარი.

**(საინფორმაციო–ანალიტიკური სააგენტო საქინფორმი ამ ინფორმაციას აქვეყნებს ვებსაიტის – www.heritage.org მასალების მიხედვით)**

## ნანა კაკაბაძე: არ გამიკვირდება, თუ კანონში იმასაც ჩაწერენ, რომ პოლიციელი უფლებამოსილია, ადამიანებს სახლებში შეუვარდეს და ოჯახები დააწიოკოს

**"პოლიციის შესახებ კანონში"** შეტანილი ცვლილებების თაობაზე, რომელიც სამართალდამცავთათვის **"გონივრული ეჭვის"** საფუძველზე, მოქალაქის შეჩერებისა და ზედაპირული ჩხრეკის უფლების მინიჭებას გულისხმობს, **"საქინფორმს"** ესაუბრება ადამიანის უფლებათა დამცველი, **ადვოკატი ნანა კაკაბაძე.**

– ქალბატონო ნანა, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ სამართალდამცავთა უფლებების გაზრდის შესახებ ინიცირებულ კანონპროექტში შავით თეთრზე წერია, რომ „პოლიციელი უფლებამოსილია, შეაჩეროს პირი, თუ არსებობს გონივრული ეჭვი მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ". თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე და რაში მდგომარეობს ამ ცვლილებების მთავარი არსი?

– ამჟამად ჩვენს კანონმდებლობაში შედის ცვლილებები, რომელსაც აბსოლუტურად სხვა გზით მიჰყავს ქვეყანა, რათა დეკლარირებული დემოკრატია, რაზეც ხელისუფლება ყბადაღებული საუბრობს და მეორეც – ის რეალობა, რომელშიც სინამდვილეში ვიმყოფებით, არის პოლიციაზე დამყარებული დიქტატურა, რეჟიმი, რომელიც შემოიჭრა აბსოლუტურად ყველა სფეროში და რომელიც შთანთქავს ყველაფერს.

რაც შეეხება „პოლიციის შესახებ კანონში" შეტანილ ახალ მუხლებს, არ ვიცი, ამ პროექტის ავტორები როგორ ასხვავებენ ერთმანეთისგან გონივრულსა და უგუნურ ეჭვებს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ფაქტია, ამ კანონის მიხედვით, ჩვენს ე.წ. სამართალდამცავებს ენიჭებათ შეუზღუდავი უფლებები და კაცმა არ იცის, რომელი პოლიციელი როგორ გამოიყენებს ამ უფლებებს. ეს სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლება დღითიდღე უკონტროლო ხდება, თუმცა პირადად ჩემთვის ამ კანონის მიღება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ქვეყანაში, სადაც პოლიციური რეჟიმი სკოლებსა და საბავშვო ბაღებს შეეხება, ასეთი რამ ნამდვილად არ უნდა გვიკვირდეს...

**– ისე, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რაში სჭირდებოდა ხელისუფლებას ეს კანონი, როცა პოლიცია უამისოდაც „მშვენივრად" ახერხებდა მოქალაქეების ჩხრეკას...**

– ამ კანონის შემოღების აუცილებლობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ამის გარეშე პოლიციელი მოქალაქეს ვერ ჩხრეკდა, არამედ დღეს, უბრალოდ, ხელისუფლება ცდილობს, დააკანონოს და კონსტიტუციის ჩარჩოებში მოაქციოს ყველა ის ქმედება, რასაც დღემდე კანონდარღვევით სჩადიოდა. თანაც ამას საჭიროების მიხედვით აკეთებენ. მაგალითად, შარშანდელი ოთხთვიანი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ისეთი ცვლილებები შეიტანეს, რომ ლამის ქვეყანაში მშვიდობიანი მანიფესტაციის გამართვა კანონით აიკრძალა. ასევე მოირგეს და თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით გადააკეთ-გადმოაკეთეს საარჩევნო კანონიც და მთლიანად კონსტიტუციაც... ერთი სიტყვით, მთელი ე. წ. ცვლილებები კანონმდებლობაში გათვლილია იმაზე, რომ, რაც უნდა უმსგავსობა ჩაიდინოს ხელისუფლებამ, საზოგადოება ყველაფერს შეხვდეს მშვიდად, აუღელვებლად და ხალხმა ჩათვალოს, რომ ყველაფერი, რასაც სააკაშვილი და მისი გარემოცვა აკეთებს, კანონიერია...

**–ისე, სხვა რომელიმე ქვეყანაში თუ არსებობს „გონივრული ეჭვის" მსგავსი რაიმე კანონი?**

– ყოველ შემთხვევაში, იმ ცივილიზებული, დემოკრატიული ქვეყნებიდან, რომლებთანაც საქართველოს პარტნიორული ურთიერთობა აქვს, არსად ასეთი კანონი არ მოქმედებს და არც არასდროს ყოფილა. ეს არის გაუგონარი, ყოვლად უპრეცენდენტო შემთხვევა და სიმართლე გითხრათ, მიკვირს, როცა იგივე დემოკრატული დასავლეთის ლიდერებიც ამაზე თვალს ხუჭავენ. ერთადერთი, ვისაც ამ ხელისუფლებაზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, სწორედ ისინი არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, მათთვის მთავარი პოლიტიკაა და არა ის ღირებულებები, რომლებსაც საქვეყნოდ ქადაგებენ – დემოკრატია და ადამიანის უფლებები... სხვათაშორის, ამ ლიდერებმა თავის დროზე საკმაოდ ბევრი იღვაწეს იმისათვის, რომ ჩვენი საზოგადოება დასუსტებულიყო და ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც მიზანს – დღეს ქართველი ხალხი მთლიანად მოწყვეტილია ხელისუფლების კონტროლს და, შესაბამისად, ხელისუფლებაც იმას აკეთებს, რაც მოუნდება...

**– იქნებ, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რაც აქ ხდება...**

– ამას ბევრი ამბობს, მაგრამ ეს აბსურდია, იმიტომ, რომ აქ არის მათი სამსახურები, საელჩოები და შეუძლებელია, ვერ ხედავდნენ, რა მდგომარეობაა ქვეყანაში, თუნდაც დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი იციან, მაგრამ, როგორც გითხარით, მათთვის მთავარი პოლიტიკური ინტერესებია, დემოკრატია და ადამიანის უფლებები კი ჩვეულებრივი სამანიპულაციო თემებია, რომლითაც საზოგადოებას თვალში მუდმივად ნაცარს აყრიან.

**– რაც შეეხება ისევ „პოლიციის შესახებ კანონში" შეტანილ ცვლილებებს, ამბობენ, ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ ოქტომბრიდან ოპოზიცია საპროტესტო ტალღის აგორებას აპირებსო. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია ეს მოსაზრება?**

– ბოლო სამი წლის გამოცდილებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება სავსებით ლოგიკურია... დღეს ხელისუფლებას საზოგადოების მიმართ პანიკური შიში აქვს. პირადად სააკაშვილს, ალბათ, ყოველ ღამე ესიზმრება, თუ როგორ ამხობენ მის ხელისუფლებას, როგორ ასამართლებენ მას და მისი გარემოცვის წევრებს. ამიტომაც ღებულობენ ახალ-ახალ კანონებს, შეაქვთ ცვლილებები კონსტიტუციაში და ცდილობენ, მუდმივი სტრესისა და ტერორის ქვეშ ამყოფონ საზოგადოება...

**– იქნებ, ტერორი არაფერ შუაშია და მართლაც ობიექტური საჭიროება მოითხოვდა კანონის გამკაცრებას... თუ არის თქვენთვის ცნობილი, რა ვითარებაა ამჟამად საქართველოში კრიმინოგენული თვალსაზრისით?**

– სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვითონ ხელისუფლების წარმომადგენლები ტრაბახობენ, ჩვენი რეფორმების წყალობით ქვეყანაში დანაშაულთა რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდაო. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუ ეს ასეა, რა საჭიროა სამართალდამცავთა უფლებების ესოდენ უსაზღვროდ გაზრდა და კანონის გამკაცრება, მით უმეტეს, როგორც სააკაშვილი აცხადებს ხოლმე, თუ პოლიციას საზოგადოების ოთხმოცი პროცენტი ენდობა?! საქმე ისაა, რომ ხელისუფლებას, ბოდიში და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია კრიმინოგენული ვითარება, მისი მთავარი ამოცანა ის არის, რომ საზოგადოებას უთხრას, კანონი ჩემს ხელთაა, ძალაუფლებაც მე მაქვს და წყნარად იყავით, თორემ შავ დღეს დაგაყრითო. სამწუხაროდ, საზოგადოებაც მორჩილად იტანს ამ ყველაფერს და ნაწილობრივ, ალბათ, ამითაც არის ხელისუფლების თავგასულობა, თვითნებობა განპირობებული...

**– საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში რამდენად ჯდება ეს კანონი?**

– არავითარი სამართლებრივი ნორმები, ეს არის ანტიკონსტიტუციური ანომალია, რომლის მსგავსიც არ არსებობს არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში. ჩაიხედონ ერთი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში და ნახონ, როგორაა განმარტებული სიტყვა ეჭვი. იქნება გაუნათდეთ კიდეც გონება და მიხვდნენ, რომ ეს არ არის რაღაც კონკრეტულ მტკიცებულებებზე დამყარებული მოტივი, რის საფუძველზეც შეიძლება ადამიანი შეაჩერო და გაჩხრიკო, თუმცა ეს ისედაც კარგად იციან...

**–რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ კანონის შემოღებას? ანუ როგორ აისახება რეალობაში ეს ცვლილება?**

– შედეგები იქნება ის, რომ მივიღებთ ათმაგად და ოცმაგად უფრო მოძალადე პოლიციას. გაიზრდება პატიმართა რაოდენობა და თითოეულ მოქალაქეს მუდმივად ექნება შიში, ვაი თუ ქუჩაში გავიდეს და შინ დაბრუნების ნაცვლად საპყრობილეში ამოჰყოს თავი. ეს ე. წ. კანონი ამის ყველანაირ პირობას ქმნის, იმიტომ, რომ მასში წერია, პოლიციელი უფლებამოსილია, გონივრული ეჭვის საფუძველზე მოქალაქე გაჩხრიკოსო, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ისედაც გათამამებული სამართალდამცავებისთვის იმის ჩანერგვა, რომ მათ ყველაფერი შეუძლიათ და ყველაფრის უფლება აქვთ.

**– მაინც მგონია, რომ ეს კანონი ოპოზიციურ ძალებზე ზეგავლენის მოსახდენად უფროა მიღებული, ვიდრე რიგით მოქალაქეებზე.**

– იცით რა, როცა პოლიციელს კანონში ჩაუწერ, ვინც გინდა დაიჭირე, ყველაფერი შენზე და შენს გონივრულ ეჭვებზეა დამოკიდებულიო, მერე ამ პოლიციელისგან მართლა ყველაფერია მოსალოდნელი. ნუ გვექნება იმის მოლოდინი, რომ რომელიმე მათგანში პატრიოტიზმის გრძნობა გაიღვიძებს და უარს იტყვის თავის სამსახურზე. ეს არ მოხდება, იმიტომ, რომ ხელისუფლებამ უკვე საკმარისად შეაღწია მათ გულებში და სამარადჟამოდ მოაჯადოვა თითოეული პოლიციელი...

**– ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საზოგადოებამ რა შეიძლება დაუპირისპიროს ხელისუფლების მოქმედებებს? რა შესაძლებლობები რჩება ხალხს თუნდაც ამ ე. წ. „გონივრული ეჭვის" კანონის წინააღმდეგ საბრძოლველად?**

– მე არა ერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, თუ საზოგადოება ისევ ცოცხალია, თუ ხალხს, ერს შესწევს იმის ძალა, რომ ხმა აღიმაღლოს და აღსდგეს ამ ტოტალური უკანონობის, რეჟიმის წინააღმდეგ, უნდა გავერთიანდეთ და ვიბრძოლოთ ბოლომდე. სხვა გზა და გამოსავალი, სამწუხაროდ, არ არსებობს, ვინაიდან საქმე გვაქვს ხელისუფლებასთან, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი.

შეიძლება ვიღაცას გაეცინოს, მაგრამ ამათ შემყურეს არც ის გამიკვირდება, თუ ხვალ და ზეგ კანონში იმასაც ჩაწერენ, რომ პოლიციელი უფლებამოსილია, ადამიანებს სახლებში შეუვარდეს და ოჯახები დააწიოკოსო. სამწუხაროდ, მაგრამ ეს რეალობაა და თუ ამ რეალობას ახლო ხანებში ვერ შევცვლით, მე პირადად ქვეყნის მომავალს ვერ ვხედავ...

## სააკაშვილი ობამას კეთილგანწყობას ყიდულობს

ბარაკ ობამას კეთილგანწყობის მოსაპოვებლად სააკაშვილმა ერთ წელიწადში მილიონ სამას ექვსი ათას რვაასი დოლარი დახარჯა. ეს თანხა საქართველოს მთავრობამ აშშ-ში რეგისტრირებულ ლობისტურ კომპანიებს 2010 წლის განმავლობაში გადაურიცხა. ეს კომპანიებია: The Podesta Group - რომლის ანგარიშზეც აღნიშნული თანხიდან 600.000 აშშ დოლარი ჩაირიცხა, The Iftaca Group - მისი მომსახურება 270 ათასი დოლარი დაჯდა, Gephardt Group - რომელმაც 436.800 დოლარი მიიღო.

გარდა ამის, საქართველოს ხელისუფლება ფულს უხდის ევროპაში რეგისტრირებულ კომპანიებსაც, თუმცა იქ გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და თანხებზე ინფორმაცია რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის საიტზე არ ქვეყნდება, როგორც აშშ-შია მიღებული, ამიტომაც უცნობია, დამატებით რა ოდენობის თანხა გადაურიცხეს ევროპულ კომპანიებს.

## გულმოკლული პრეზიდენტი – ისევ ტყუის, თუ არ იცის

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა **„პირველი საინფორმაციო კავკასიური"** არხის ეთერში ხალხის შეკითხვებს უპასუხა. პროექტი **„პრეზიდენტი გისმენთ"** 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. სოციალური თემატიკა, განათლება, სოფლის მეურნეობა, დასაქმება, ინფლაცია, ხელფასები და პენსიები - ძირითადად ამ საკითხებს შეეხო საზოგადოების მთავარი შეკითხვები თბილისიდან და რეგიონებიდან. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სააკაშვილმა დევნილების პრობლემებზეც ისაუბრა, თუმცა მისი გამოსვლის ამ მონაკვეთიდან არის რამდენიმე დეტალი, რომელზეც ალბათ, ყურადღების გამახვილება აუცილებელია, რადგან გაურკვეველია, პრეზიდენტი გვატყუებს, თუ დევნილების პრობლემებს რეალურად არ იცნობს.

მისი განცხადებით, ***„რეგიონებში დევნილთა საცხოვრებელი ადგილები სწორედ იქ შენდება, სადაც ახალი სამუშაო ადგილები ინტენსიურად იქმნება. უშუალოდ თბილისში კი საცხოვრებელი ფართები 10 ათასმა ოჯახმა დაიკანონა"***.

თუმცა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის წარმომადგენელმა იულია ხარაშვილმა რამდენიმე დღის წინ საქინფორმთან საუბრისას აღნიშნა, რომ სამინისტრო რეგიონებში მდებარე კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში განსახორციელებელი სოც–ეკონომიკური პროექტების მოძიების პროცესშია.

საინტერესოა, როგორ იქმნება ინტენსიურად ახალი სამუშაო ადგილები აღნიშნულ ჩასახლებებში, როცა სუბელიანის უწყება ჯერ კიდევ პროექტების მოძიების პროცესშია.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ძალიან გაბრაზებული და ძალიან უბედურია. ***„ყოველ დღე ვიღვიძებ იმ აზრით, რომ გამწარებული ვარ და თავს სახლიდან გამოგდებულად ვგრძნობ. არც ერთ ადამიანთან და ჯგუფთან არ მაქვს ისეთი სოლიდარობისა და სრული გაიგივების განცდა, როგორც დევნილებთან. მათზე ძალიან ბევრი მიფიქრია და ბევრი უძილო ღამე გამიტარებია"***, – განაცხადა პრეზიდენტმა, თუმცა რამდენად ბევრი აქვს ამ თემაზე ნაფიქრი და რამდენად სტკივა დევნილების პრობლემა, ამას ალბათ, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ქვეყნის პირველ პირს **„პირველი საინფორმაციო კავკასიური"** არხის პროექტამდე, დევნილების განსახლების პროცესთან დაკავშირებით ერთი განცხადებაც კი არ გაუკეთებია.

არადა პროცესი დაახლოებით 1 წელია მიმდინარეობს და მას რამდენიმე სერიოზული სკანდალიც ახლდა თან. გარდა იმისა, რომ პოლიციამ ამ პროცესში რამდენიმე დევნილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, გასულ წელს რამდენიმე დევნილმა პირი ამოიკერა, ერთ–ერთმა მათგანმა ნანა ფიფიამ კი თავი დაიწვა და გარდაიცვალა.

თუ პრეზიდენტს **„არც ერთ ადამიანთან და ჯგუფთან არ აქვს ისეთი სოლიდარობისა და სრული გაიგივების განცდა, როგორც დევნილებთან"**, რატომ არ დაინტერესდა ფიფიას თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზებით? რატომ არ დააყენა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ფიფიას რამდენჯერმე შეურაცხყოფა მიაყენეს და ფოცხო–ეწერში ბალახის საძოვრად სამგზავრო ბილეთი აუღეს. თუ სააკაშვილი თავად არის დევნილი, რატომ არ მიდის ფოცხო–ეწერში ბალახის საძოვრად, ან არ აყენებს სუბელიანის სამინისტროს მაღალჩინოსნის გრიგოლ ტუღუშის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს, რომელიც ამ შემთხვევაში ნანა ფიფიას **„მრჩეველი"** გახლდათ.

თუმცა, ალბათ ეს ყველაფერი ტყუილი **„წყლის ნაყვაა"**, რადგან როგორ უნდა მოსთხოვო პრეზიდენტს სიმართლის ლაპარაკი, როდესაც საზოგადოებას ფიფიას მკვლელობაზე სერიოზული რეაგირება არც კი მოუხდენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.

ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

## ტომი ლაუტონი

დაიბადა 1919 წლის 6 ოქტომბერს, ინგლისში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში კლუბებში: **"ბერნლი", "ევერტონი", "ჩელსი", "ნოტს ქაუნთი", "ბრენტფორდი", "არსენალი"** (ინგლისი).

ლაუტონი ის პირველი ფეხბურთელი იყო საერთაშორისო სპორტულ არენაზე, რომელმაც, გაიგო რა თავისი **"საბაზრო ღირებულება"**, ყველაფერი გააკეთა საკუთარი სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად, რათა მისი საფეხბურთო აქციები არ გაიაფებულიყო. იგი საკმაოდ ხშირად იცვლიდა საფეხბურთო კლუბებს თანაც, ეს ის დრო იყო, როცა ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლისას ფეხბურთელი საკონტრაქტო გარიგებიდან არავითარ ზედმეტ ანაზღაურებას არ იღებდა. მაგრამ ტომი ლაუტონს საკუთარი ხელფასიც საკმაოდ სოლიდური ჰქონდა. ლაუტონი თავისი დროის დიდი ვარსკვლავი გახლდათ, მაგრამ, ამავე დროს გამოუსწორებელი ფრანტიც იყო, რადგან მუდამ თმადავარცხნილი, ბრიოლინით გაბრწყინებული თავით და ძალზე გაკრიალებული ბუცებით გამოდიოდა ხოლმე მოედანზე. იგი დიდ საფეხბურთო მოედანზე 16 წლის ასაკში გამოვიდა და მაშინვე შეასრულა **"ჰეთ-თრიქი"**. ორი სეზონის განმავლობაში იგი პირველი დივიზიონის ბომბარდირის ტიტულს ინარჩუნებდა. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 23 ოფიციალურ მატჩში გაიტანა 22 გოლი და შიდა ჩემპიონატში ლამის არცერთი მატჩი არ დაუმთავრებია გატანილი გოლის გარეშე. ლაუტონი შიშის ზარს ჰგვრიდა მოწინააღმდეგე გუნდის მცველებს მას შემდეგაც კი, როცა 30 წლის ასაკს ბევრად გადასცდა. არა მხოლოდ ინგლისელ მაყურებლებს ჭეშმარიტად დიდი ინტერესი გააჩნდათ ამ არაორდინალური ფეხბურთელის მიმართ.

## როი კინი

დაიბადა 1971 წლის 10 აგვისტოს, ირლანდიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"კობ რამბლერსი", "ნოტინგემ ფორესტი", "მანჩესტერ იუნაიტედი"** (ინგლისი).

როი კინი სავსებით სამართლიანად ითვლება ინგლისური პრემიერ-ლიგის ყველაზე გამოჩენილ, ეფექტურ ნახევარმცველად. მან ფეხბურთის თამაში ირლანდიის ქვედა საფეხბურთო ლიგაში დაიწყო. სწორედ აქ გაბრწყინდა მისი ნიჭი, რის გამოც კინზე კბილების ლესვას შეუდგნენ ინგლისის პრემიერ-ლიგის უძლიერესი გუნდები. მათ შორის ყველაზე მკვირცხლი და **"ფულიანი" "ნოტინგემ-ფორესტი"** აღმოჩნდა, რომელმაც საკმაოდ დიდ საზღაურად **"დაითრია"** კიდეც როი კინი. 1993 წელს როი კინისადმი ცხოველი ინტერესი გამოავლინა მსოფლიოს ერთ-ერთმა პოპულარულმა **"მანჩესტერ იუნაიტედმა"**, რომელმაც 3 მილიონი ფუნტი სტერლინგიც კი არ დაიშურა ამ მართლაც გამოჩენილი ფეხბურთელის შესაძენად. სწორედ ამ ფეხბურთელის ლომის წილი იდო იმაში, რომ **"მანჩესტერ იუნაიტედმა"** 1995-1996 წლების საფეხბურთო სეზონში **"ოქროს დუბლი"** გაიფორმა – ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასის მფლობელიც გახდა. ამ დამსახურებებისათვის როი კინი მალე გუნდის კაპიტნად იქნა არჩეული. მომდევნო წლების სეზონი არც თუ მთლად სახარბიელო აღმოჩნდა **"მანჩესტერ იუნაიტედისათვის"** და ამის მიზეზად ფეხბურთის ინგლისელი სპეციალისტები ასახელებდნენ როი კინის სერიოზულ ტრავმას. 1999 წელს **„მანჩესტერი"** პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ გუნდად იქცა, რომელმაც **"ოქროს ჰეთ-თრიკი"** გაიფორმა, თუმცა, ევროთასის წარმატებულ ფინალში კინს არ უთამაშნია, რადგან წინა მატჩში გაძევებული იყო მოედნიდან.

## ლეონიდას დე სილვა

დაიბადა 1910 წლის 6 სექტემბერს, ბრაზილიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ჰავანეზა", "ბაროზო", "სულ ამერიკანო", "სირიო ლიბანეზი", "ბონსუსესო"** (ბრაზილია), **"ნასიონალე"** (ურუგვაი), **"ვასკუ და გამა", "ბოტაფოგო", "ფლამენგო", "სან პაულუ"** (ბრაზილია).

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ლეონიდას დე სილვა ბრაზილიური ფეხბურთის ნამდვილი სუპერვარსკვლავი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მას მხოლოდ 23 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. სწორედ მისი გამოგონება გახლდათ **"მაკრატელათი"** დარტყმა, რომელიც მან პირველად გამოიყენა ურუგვაის ნაკრებთან მატჩისას და გაიტანა კიდეც ბრწყინვალე გოლი. ამ მატჩში მან ორი გოლი გაიტანა და ფეხბურთის სპეციალისტებზე ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ წამსვე შესთავაზე გადასვლა ურუგვაის ერთ-ერთ მოწინავე გუნდ **"ნაციონალში"**. ურუგვაიში რამდენიმე წლის თამაშის შემდეგ იგი კვლავ ბრაზილიაში დაბრუნდა და გუნდ **"ვასკუ და გამაში"** გააგრძელა თამაში. 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე **"შავ ოქროდ"** წოდებულმა ლეონიდასმა თავი იმით გამოიჩინა, რომ რვა გოლი გაიტანა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 4 გოლი მან მხოლოდ ერთ მატჩში – პოლონეთის ნაკრებთან შეხვედრისას გაიტანა, როცა ბრაზილიამ გაიმარჯვა ანგარიშით 6:5. ლეონიდასი ბრაზილიის ნაკრების იმედი გახლდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მართლაც დიდმა ფეხბურთელმა ისე დასტოვა სპორტი, რომ რაიმე ხელშესახები წარმატებისათვის არ მიუღწევია, რაც დღესაც სპორტულ უიღბლობად მიიჩნევა.

გიორგი ჯალაღანია

## იუმორი

* * *

ოსი მდინარეში პალტოიანად შევიდა. ვიღაცამ ჰკითხა:

– რას აკეთებ?

– პალტოს ვრეცხავ!

– მერე, სარეცხი მანქანა არ გაქვს?

– მაქვს, მაგრამ პალტოიანად ვერ ვეტევი.

* * *

დილით ქმარს ეღვიძება და ცოლს მიმართავს:

– ღამე ეროტიკული სიზმარი ვნახე.

– ცხადია, მთავარ როლში მე ვიყავი, არა? – ეღიმება ცოლს.

– არა, – პასუხობს ქმარი, – მხოლოდ ეპიზოდებში.

* * *

– ვერ გადამიწყვეტია, ცოლს საშობაოდ რა ვაჩუქო.

– რატომ?

– არაფერი მოსწონს და მაშინვე ტირილს იწყებს.

– შენც ადექი და ცხვირსახოცი აჩუქე.

* * *

ექიმი მეგრელ პაციენტს წამალს უწერს და არიგებს:

– დღეში თითო აბი შვიდჯერ უნდა მიიღოთ, ჭამის შემდეგ.

– კი მარა, ამდენი საჭმელი სად ვიშოვნო? – კითხულობს მეგრელი.

* * *

– ჩემს ცოლს მოფერებით ფისოს ვეძახი. ხომ კარგი სახელია?

– სახელს რა უჭირს, მთავარია, თაგვებს როგორ იჭერს!

# ეს ფული ჩვენი ჯიბიდან ამოიღეს

მე-7 გვ.-დან

იცხა ფული. საერთო ჯამში ამ სამსახურმა დამატებით მიიღო 1 მილიონ 300 ათასი ლარი. ჯერ ერთი, 41 მილიონი რატომ უნდა გვიჯდებოდეს ჩვენი ჩინოსნების დაცვა და კიდევ, დამატებით 1 მილიონ 300 ათასი რატომ უნდა მიიღოს ამ სამსახურმა?

**ახლა მეტად საინტერესო ფაქტს გეტყვით. პრეზიდენტის ფონდიდან 25.000 ლარით დაფინანსდა პარლამენტარ პეტრე ცისკარიშვილის და 35.000 ლარით – პარლამენტარ გოკა გაბაშვილის მივლინებები.** პეტრე ცისკარიშვილი მივლინებით იყო **აშშ**-ში, კოლუმბიაში და არუბაში. გოკა გაბაშვილიც მივლინებით გახლდათ **აშშ**-სა და დიდ ბრიტანეთში. ვინმემ იცის, რა მნიშვნელობის იყო ეს ვიზიტები? რა წყდებოდა არუბაში ასეთი მნიშვნელოვანი? პრეზიდენტის ფონდიდან მივლინება ხომ განსაკუთრებული შემთხვევების დროს ფინანსდება, თანაც, მივლინებისთვის ძალიან მაღალ თანხებზეა საუბარი. რა ხდება? გარწმუნებთ, რომ ეს არის დროის სატარებელი ვიზიტები, თორემ არავის გაუგია რომ კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულ არუბაზე რაიმე მნიშვნელოვანი მომხდარიყოს. თუ მოხდა და ეს მივლინებები ქვეყნისათვის აუცილებელი იყო, რატომ დაგვიმალეს, რატომ არ ვიცოდით აქამდე? ბოლო სამი წლის განმავლობაში, საშუალოდ, 8 პროცენტით იზრდება პარლამენტის დაფინანსება და უკვე 33 მილიონ ლარს გადააჭარბა. რა უბედურება სჭირთ? რატომ არ ჰყოფნით ეს 33 მილიონი და თუ არ ჰყოფნით, რას უკეთებენ ხალხს და ქვეყანას იმისთანას, რომ ერთი მივლინება 15.000 ლარი დაუჯდეთ? მე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ვიყავი და 5.000-ზე მეტი არ წამიღია არასდროს, ისიც უკან ჩამომქონდა, მაგრამ ამათ ხომ საუკეთესო თვითმფრინავის საუკეთესო კლასით უნდა იმგზავრონ და საუკეთესო სასტუმროში უნდა იცხოვრონ, იმიტომ, რომ ყველაზე აყვავებული ქვეყნის ხელისუფლების წარმოადგენლები არიან. ფული არ აკლია არცერთს, ყველა ვიღაცის **"კრიშაა"**. წადი და შენი ფული გადაიხადე, ჩემს ფულს რატომ ხარჯავ? თუ ხარჯავ, ის მაინც მითხარი, რაში დახარჯე!

**პრეზიდენტის ფონდიდან 9 მილიონზე მეტი არის გადარიცხული "საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის". ამ თემას ახლა არ განვავრცობ, ტელევიზიების საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალებზე ვმუშაობთ და ამაზე მოგვიანებით შევაჩერებ თქვენს ყურადღებას!**

ახლა კიდევ ერთი უნიკალური კურიოზი. **449.000 ლარია გამოყოფილი ენგურზე საცალფეხო ხიდის მშენებლობის საპროექტო სამუშაოების მოსამზადებელი ეტაპისათვის.** წარმოგიდგენიათ, რა დაჯდება ამ ხიდის საპროექტო სამუშაოები და მშენებლობა?! ალბათ, კიდევ ერთ **"ოლვეისულტრას"** აშენებს. ამ დროს, არ დაგავიწყდეთ, რომ შარშან საქართველო იყო სტიქიური უბედურების ზონა. გვალვამ დააქცია სოფლის მეურნეობა და ერთი თეთრიც არ არის გამოყოფილი ქართველი გლეხის დასახმარებლად. სამაგიეროდ, ჩვენ ვეხმარებით ტაჯიკეთს, ჰაიტის, პაკისტანს სტიქიურ უბედურებათა გამო. მსოფლიოში ყველაზე გაჭირვებული ქვეყანა ვართ და ამ დროს ჩვენი მთავრობა ტუვალუს ეხმარება. 6.000 ლარია გადახდილი ტუვალუში სამედიცინო ტვირთის მხოლოდ ტრანსპორტირებისათვის და თავად ტვირთი რამდენი დაჯდა, ვინ იცის. რატომ? ვინმემ დამისაბუთა, რომ ტუვალუში ხალხი ჩვენზე უარესად ცხოვრობს? ან მოლდოვაში ნახევარი მილიონი რომ გადარიცხეს სახლების მშენებლობისათვის, ჩვენი დევნილები რომ დაუსახლებელი გყავს და იმ ნანგრევებიდანაც ყრი, ამაზე რატომ არ ფიქრობ? დახმარება კარგია, მაგრამ მაშინ, როცა გაქვს. შვილებს ლუკმა გამოაცალო პირიდან იმისათვის, რომ საზღვარგარეთ იფიქრონ, მიშა საააკაშვილი ქვეყნის ამშენებელიაო, ნამდვილად დანაშაულია!

დაბოლოს, საინტერესოა კიდევ ერთი რამ: პრეზიდენტის ფონდიდან 11 მილიონი ლარია გადახდილი საადვოკატო მომსახურეობის შესყიდვისათვის. ორ შემთხვევაში ჩანს, რა მიმართულებით არის ეს საადვოკატო მომსახურება. ერთ შემთხვევაში 3 მილიონზე მეტი გადახდილია საადვოკატო მომსახურეობისათვის რუსეთთან საომარი კონფლიქტის გამოსაძიებლად და მეორე, 5 მილიონია გადახდილი საადვოკატო მომსახურეობისათვის რუსულ ენერგოკომპანია **"იტერა-ინტერნეიშენალთან"** რაღაც დავის გამო, რომლის თაობაზე საქართველომ არაფერი იცის. 5 მილიონს რომ იხდი ჩვენი ჯიბიდან, იქნებ განგვიმარტო, რა დავა გაქვს ასეთი **"იტერა-ინტერნეიშენალთან"**, მან დაარღვია პირობები, თუ შენ დაარღვიე?

მერე იქნებ ისიც მოგვახსენო, მოიგე ეს დავა თუ წაგე? საადვოკატო მომსახურეობისათვის გამოყოფილი 11 მილიონიდან დანარჩენი 3 მილიონი რა სახის მომსახურეობაზეა დახარჯული, მითითებული არ არის, თუმცა, დიდი გამოძიება არც სჭირდება. სააკაშვილი აფინანსებს ვიღაცა ლობისტს, რომელიც ქმნის მსოფლიოში სააკაშვილის იმიჯს და მერე ამ იმიჯით გველაპარაკება სააკაშვილი ჩვენ. აი, ამაზე არის დამყარებული სააკაშვილის მთელი მმართველობა, ხალხისგან ამოღებულ ასეულობით მილიონობით ლარს ხარჯავს იმისათვის, რომ მთელ მსოფლიოს თვალში ნაცარი შეაყაროს. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის მინიმუმ ერთი მესამედი უმუშევარია, ერთი ამდენი სიღარიბის ზღვარს დაბლა ცხოვრობს და ერთი ამდენიც საქართველოდან წასულია ან მზად არის გაიქცეს.

ესაუბრა თეა ასათიანი

გაზეთი "ასავალ-დასავალი", 2011 წლის 24-30 იანვარი, № 4 (851).

ISSN 1987-8966 ილორი

9771987896009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27